წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დღიური

იტალიის ფაშისტური პარტიის საბჭოს გენერალურ მდივნათ დაინიშნა ავგუსტო ტურატი.

ინგლისი ცდილობს, რომ პეკინი ჩან-ძო-ლინმა დაიკავოს.

აბდ-ელ-ქერიმმა კიდევ მიმართა ფრანგებს და ესპანელებს ზავის ჩამოსაგდებათ.

15 მაისიდან საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის გაიხსნება პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა.

საფრანგეთის სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ ბრიანის კაბინეტის ბედის გადაწყვეტის დროს.

პარასკევი, 2 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 73 (1528)

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 34.

სადღეისო ლოზუნგი

ფართე კამპანია ზედნართი ხარჯების შესამცირებლად ეხლახან დაიწყო, მაგრამ უკვე ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებს აქვთ მრავალი ისეთი გასავალი, რომლის აცილება ადვილად შეიძლება, თუ საქმეს რიგიანათ დავაყენებთ და მუშაობაში გამოვიჩენთ საჭირო მიზანშეწონილობას, გეგმიანობას და მომჭირნეობას. ამ გზით გავაკეთებთ არა ერთი ათეული მილიონი მანეთის ეკონომიას (საბჭოთა კავშირის მასშტაბით), რომელიც მოხმარდება მეურნეობის აღორძინება-განვითარებას.

ავიღოთ უთავბოლო ზედნართი ხარჯების რამოდენიმე სახე. ვინ არ იცის, რომ ჩვენში **მივლინებები** მეტად გავრცელებულია. კავშირის გაბმის ისეთი საშუალებები, როგორიც ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონია, არც ისეთ პატივშია. პროვინციებიდან ცენტრში დიდძალი მუშაკები მოდიან, რომ აქ რომელიმე საკითხი გამოარკვიონ, გადასჭრან, დააჩქარონ საქმის შესრულება, საქონლის მიღება-გადაგზავნა და სხვა. ამით ისინი ადგილობრივ სცდებიან მუშაობას და დიდძალი ფულიც იხარჯება ამაზე.

მივლინებებს არა იშვიათად საფუძვლად უდევს ქალაქისაკენ „გამოსეირნების" სურვილი, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბიუროკრატიზმს, რომელიც ჯერ კიდევ ბუდობს ზოგიერთ ცენტრალურ დაწესებულებაში. ხშირად პროვინციიდან მიღებული ქაღალდი ობიანდება დაწესებულების ჯურღმულში, მას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, მასზე სწრაფ (და გარკვეულ) პასუხს არ აძლევენ.

ეს არანორმალური მოვლენა უნდა იქნას აღმოფხვრილი. უბრალო მარკამ თუ დეპეშამ უნდა შეასრულოს ის ამოცანა, რომლისათვის დღეს მაზრებიდან ამოდენა ხალხი მოედინება ცენტრისაკენ. [illegible] რად განისაზღვროს მართლა აუცილებელია თუ არა ცენტრში ამა თუ იმ საქმისათვის კაცის გაგზავნა; სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ ორგანოს, რომლის დაუდევრობა იწვევს გაუმართლებელ მივლინებებს.

სარეკლამო საქმეზე გასულ სამეურნეო წელს საბჭოთა კავშირში დახარჯულ იქნა 21 მილიონი მანეთი. თავის-თავად რეკლამის მნიშვნელობას ჩვენ არ უარვყოფთ, მაგრამ წარმოება-დაწესებულებებმა აქ უნდა დაიცვან ზომიერება, უნდა მიიღონ მხედველობაში, თუ რამდენათ სასარგებლო და აუცილებელია მათთვის ის ხელგაშლილობა ამ დარგში, რასაც ჰქონდა ადგილი. ჩვენ დღეს განვიცდით მრავალ საქონლის ნაკლებობას, მათზე მოთხოვნილება დიდია და ფართე რეკლამის გარეშეც მათი გასაღება უზრუნველყოფილია. მიუხედავათ ამისა, ასეთ პირობებშიაც რეკლამაზე დიდძალი ფული იხარჯებოდა. ამიტომ ხსენებული 21 მილიონიდან ნახევარი თუ არა ერთი მესამედი მაინც წყალში გადაყრილათ ჩაითვლება. ამოდენა ფულის დახარჯვის გამართლება შეუძლებელია.

ასეთივე დაუშვებელ ხელგაშლილობას ვიჩენთ სხვადასხვა **ანგარიშების** გამოცემაში. ყოველი ორგანიზაცია ვალდებულათ რაცხს თავის თავს დაწვრილებითი ანგარიში გამოაქვეყნოს. აქ თქვენ შეხვდებით დიდძალ ცხრილებს, ძვირფასი საღებავებით შესრულებულ დიაგრამებს, ორგანიზაციის მუშაკთა სურათებს და სხვა. ასეთი გამოცემები ხშირად საუკეთესო ქაღალდზე იბეჭდება. ჩვენს წინ დევს, სხვათა შორის, სოც. უზრ. სამმართველოს მიერ ცალკე წიგნად გამოცემული ვრცელი ანგარიში სოციალურ დაზღვევის ორგანოების მუშაობის შესახებ 1924—25 წელში, აგრეთვე თბილისის დამზღვევ კასის მოქმედების ანგარიში ამავე ხნის განმავლობაში. მეორის შინაარსი მთავარ მომენტებში მოცემულია პირველში, ხოლო ორივესი ერთად არსებითად შესულია, პროფკავშირების მუშაობის ანგარიშში, რომელიც ცალკე გამოვიდა. რა საჭიროა ასეთი პარალელიზმი, ასეთი დაწვრილებითი ციფრებით და დიაგრამებით გავსებულ ანგარიშების გამოქვეყნება. ეს არაფრით არ გამართლდება. ჩვენ ანგარიშების წინააღმდეგ კი არ ვილაშქრებთ, პირიქით, საჭიროა ჩვენი მიღწევების თუ ნაკლულევანებათა გაშუქება. მაგრამ ეს შეიძლება და უნდა ხდებოდეს კიდევ უფრო მარტივათ, ნაკლები საშუალებების დახარჯვით. ამ დარგშიც აუცილებელია მომჭირნეობისა და ზომიერების დაცვა.

ჩვენში ბევრი ისეთი გაზეთი თუ ჟურნალი გამოდის (საუწყებო, ცალკე პროფკავშირებისა და ორგანიზაციების), რომელთაც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იშვიათად თუ ვინმე სხვა კითხულობს, გარდა მათში მოთავსებულ წერილების ავტორებისა. ესეც თავისებური მფლანგველობაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

უამრავი ფული იხარჯება სხვადასხვა **კონფერენციების და თათბირების მოწვევაზე.** ეს კონფერენციები, თუ თათბირები საჭირო და აუცილებელია; აქ პოულობს გამოხატულებას საბჭოთა დემოკრატია, მუშავდება კოლექტიური აზრი. უბედურება მხოლოდ მათ სიხშირეშია, აგრეთვე ბევრი არაფერი დაშავდება ზოგიერთ, ვიწრო საუწყებო ხასიათის კონფერენციების მოუწვევლობით. საჭიროა ამ საქმეში კორექტივების შეტანა, მტკიცე წესრიგის შემოღება. დღეს ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას კი მცირე ზარალი არ მოაქვს; [illegible] იხარჯება, მუშაკებიც სცდებიან სამუშაოს და ადგილობრივ საქმე ფერხდება.

მრავალ სხვა დარგში შეიძლება ხარჯების შემცირება, მაგალითად: **სათბობის და ნედლეულის ეკონომიური მოხმარება, შტატების მინიმუმამდე დაყვანა.** საგრძნობი საშუალებები იხარჯება აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებათა **კეთილმოწყობაზე,** რომელსაც **ფუფუნების** სუნი უდის.

ჩვენ განვიცდით კაპიტალების სიმცირეს, რაც საფრთხეს უმზადებს სოციალისტურ მშენებლობის ფართოდ გაშლას. უკიდურესი ეკონომიის რეჟიმი ყველგან და ყველაფერში, —ასეთია ჩვენი სადღეისო ლოზუნგი. ამ გზით უნდა მოხდეს სოციალისტური დაგროვება, უნდა შეიქმნას საკმაო კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად.

ამ ლოზუნგის განხორციელება არ შეიძლება ერთი ხელის დაკვრით. ეს მოითხოვს ხანგრძლივ და სისტემატიურ მუშაობას. მომჭირნეობისათვის ბრძოლაში აქტიურათ უნდა ჩავაბათ ფართე პარტიული და უპარტიო მუშათა მასა, მარტო აპარატით, ცხადია, აქ წარმატებით მუშაობა შეუძლებელია. ამ მხრივ ჩვენში უკვე გაჩაღებულია კამპანია, რომელიც უფრო უნდა გაძლიერდეს. სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ, შემთხვევითი მოქმედებიდან გეგმაშეწონილ საქმიანობაზე.

თვითეული წარმოება-დაწესებულების მუშაობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორი ეკონომია გამოიჩინა მან, თუ რა მაქსიმალურ შედეგებს მიაღწია მან მინიმალურ საშუალებათა დახარჯვით.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

მოსკოვი, 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე ფინანსთა სახ. კომისარმა **ბრიუხანოვმა** წაიკითხა ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის შესახებ.

ბრიუხანოვი შეეხო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ რიგში დაყრდნობილია საგადასახადო სისტემაზე.

„მე უნდა აღვნიშნო, სთქვა მან, ის ტენდენცია, რომელიც ირკვევა წარსული წლის ბიუჯეტთან შედარებით. თუ ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს გამოვაკლებთ ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

25 წ.—70 პროც. და 1925—26 წ.—75 პროცენტს. გადასახადების მნიშვნელობა სახელმწიფო ბიუჯეტში თანდათან იზრდება.

ეს პირველი შეხედვით დადებითი ფაქტია. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადასახადები საუკეთესო საშუალებაა დაგროვების მოსაწესრიგებლად და დაგროვილ დოვლათის გასანაწილებლად. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ჩვენი ბიუჯეტის განვითარების ტენდენცია უნდა იქნეს მიმართული ეგრედწოდებულ არასაგადასახადო შემოსავლის როლის გადიდებისაკენ და საგადასახადო დაბეგვრის შემცირებისაკენ.

მეორეს მხრით, თუ ჩვენ უფრო ყურადღებით ჩაუკვირდებით იმას, თუ რას წარმოადგენს ჩვენი საგადასახადო სისტემა, დავრწმუნდებით, რომ ეს სრულებითაც არ არის დადებითი ხასიათის მოვლენა: საგადასახადო შემოსავლის საერთო თანხიდან პირდაპირი გადასახადები შეადგენენ მხოლოდ 31 პროცენტს, არაპირდაპირი 61 პროც. და ბაჟები 8 პროცენტს;.

მომავალში ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი პირდაპირი გადასახადების გადიდების შესახებ.

ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს შეადგენს წინადადება თავისუფალ სახელმწიფო რეზერვის შექმნის შესახებ, რომელიც შეიტანა სახ. კომისართა საბჭომ ცაკში. ეს წინადადება მდგომარეობს იმაში, [illegible] წილი იქნება არა 4 მილიარდი მანეთი, არამედ 3.900 მილიონი მანეთი; 100 მილიონი მოხმარდება თავისუფალ სახელმწიფო რეზერვის შექმნას. ეს რეზერვი საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ გეგმიანი მუშაობა. ურეზერვოთ, თავისუფალი თანხის გარეშე, ამ თავისუფალი თანხის ამა თუ იმ სამეურნეო და საფინანსო გეგმისათვის მოხმარების გარეშე შეუძლებელია სწორი, გეგმიანი მუშაობა, რადგან ყოველი სტიქიონური უბედურება, ყოველგვარი შემთხვევა უდიდეს დაბრკოლებებს შექმნის სახელმწიფოს წინაშე, ამა თუ იმ სამეურნეო საფინანსო გეგმის შესრულების დროს.

რევოლიუციამდის მეფის მთავრობას ჰქონდა ასეთი რეზერვები. რეზერვები აქვთ უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსაც. მაგრამ იქ ამ რეზერვების მიზანია უმთავრესად სამხედრო ამოცანები, მეზობელზე თავდასხმის ამოცანები. ჩვენში კი რეზერვის შექმნას სულ სხვა მიზანი აქვს. ჩვენ რეზერვებს დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობის საერთო განვითარებისათვის.

გასავლის რესურსების განაწილების სფეროში წარსულ წელთან შედარებით ჩვენ არა გვაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები. სახ. კომისართა საბჭო ბიუჯეტის განხილვის დროს ცდილობდა რაც შეიძლებოდა შეემცირებია ადმინისტრატიული ხარჯები. საერთოდ ადმინისტრატიული ხარჯების ხვედრითი წონა თანდათან მცირდება: წარსული წლების განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტის საერთო თანხაში ეს გასავალი 13-დან 10 პროცენტამდე შემცირდა. შემოსავლის სფეროში ჩვენ ვხედავთ ზრდას 38 პროცენტით, გასავლის სფეროში კი 36 პროცენტით. თუ ავიღებთ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს დავინახავთ, რომ წარსულ წელთან შედარებით ეს ბიუჯეტი გასავლის და შემოსავლის ნაწილში გაიზარდენ 49 პროცენტით. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდა და უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში იყო ასეთი: 395 მილ., 638 მილ. და 952 მილიონი.

როგორ იფარება საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების გასავალი? როგორ ხერხდება ამ ბიუჯეტების წონასწორობის დაცვა? მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები მიმდინარე წელს, საბჭოთა რუსეთის გამოკლებით, დეფიციტიანი, მაგრამ დეფიციტის საერთო თანხა ამ რესპუბლიკებში წარსულ წელთან შედარებით შესამჩნევად შემცირდა. შარშან ყველა მოკავშირე რესპუბლიკების დეფიციტის საერთო თანხა შეადგენდა მათი ბიუჯეტის 14 პროცენტს, მიმდინარე წელს კი ის შეადგენს 8 პროცენტს. ამ მხრივ მდგომარეობის შეცვლა წარსულ წელთან შედარებით აიხსნება მით, რომ საერთო საკავშირო შემოსავლიდან, დიდი ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებს გადაეცათ. რესპუბლიკების ბიუჯეტის 49 პროცენტით გაზრდის დროს, საერთო საკავშირო შემოსავლიდან რესპუბლიკების მიერ მიღებული თანხები გაიზარდა 69 პროცენტით, რესპუბლიკების საკუთარი შემოსავალი კი მხოლოდ 39 პროცენტით. დეფიციტი დიდათ განირჩევა სხვადასხვა რესპუბლიკებში: თურქესტანში შეადგენს მთელი გასავლის 70 პროცენტს, უკრაინაში კი 3 პროცენტს.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის საერთო რაოდენობის ზრდა მოხდა უმთავრესად საგანგებო ხარჯების ხაზით. საგანგებო ხარჯები ჩვენს საბჭოთა ბიუჯეტში ეწოდება განსაკუთრებულ საწარმოო ხასიათის ხარჯებს, რომლებიც ხმარდება მეურნეობას, მრეწველობას, კომუნალურ მეურნეობას, ელექტროფიკაციას, სასოფლო მეურნეობას და სხვ.

ადგილობრივ ბიუჯეტების სფეროში ჩვენ იმავე სურათს ვხედავთ. წარსულ წელთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტების გასავალი გაიზარდა 48 პროცენტით, შემოსავალი 35 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტების თანხა უდრის 125 მილ. მანეთს. საერთო ჯამი ადგილობრივ ბიუჯეტებთან ერთად უდრის: შემოსავლის ნაწილში—4.900 მილ. მანეთს, გასავლის—4.990 მილ. მან.

სათემო ბიუჯეტების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ისინი შეადგენენ: შემოსავლის ნაწილში—260 მილ. მანეთს, გასავლის—222 მილ. მანეთს, წარსული წლის 136 და 149 მილ. მანეთის წინააღმდეგ. აქ ზრდის ტემპი გრანდიოზულია და თითქმის 200 პროცენტს უახლოვდება. ეს ახასიათებს ჩვენი საბიუჯეტო პოლიტიკის საერთო მიმართულებას.

მე ეჭვი არ შემეპარება იმაში, რომ საკავშირო ცაკის სესია მომავალში მეტ საბიუჯეტო შესაძლებლობას და საბიუჯეტო უფლებებს მიანიჭებს ადგილობრივ ბიუჯეტებს, დაწყებული სათემო ბიუჯეტიდან. ეს გზა მიგვიყვანს საკავშირო ბიუჯეტის განტვირთვისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის დატვირთვისაკენ".

ვაინშტეინმა თავის მოხსენებაში ბიუჯეტის შესრულების შესახებ აღნიშნა, რომ 1923—24 წლის ბიუჯეტი გამოანგარიშებული იყო 1.803 მილ. მანეთის რაოდენობით (ამიერკავკასიის და შორეულ აღმოსავლეთის გარეშე) და შესრულებულ იქნა განზრახულზე 6½ პროცენტის გადამეტებით. 1925—25 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2.572 მილ. მანეთის რაოდენობით, ხოლო შესრულდა 2.663 მან. [illegible] ე. ი. 3½ პროც. გადამეტებით.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმის დილის სხდომაზე და საღამოს სხდომის ნაწილი მოუნდა კამათს ბრიუხანოვის და ვაინშტეინის მოხსენებების გარშემო.

ბიუჯეტის შეფასება მოცემულ იქნება შემოსავლის და გასავლის ცალკე ნაწილების დეტალური განხილვის შემდეგ.

ძველ შეცდომებს ასწორებენ

სვენ გედინის წერილი

სტოკჰოლმი, 31 მარტი. კონსერვატიული გაზეთი **„სვენდსკა დაგბლადეტ"** კვლავ ბეჭდავს ცნობილ მოგზაურის **სვენ გედინის** წერილებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ერთ - ერთ თავის უკანასკნელ წერილში **სვენ გედინი** სწერს:

„ბოლშევიკები, რომელთა მეთოდებს ოქტომბრის რევოლიუციის დროს ჩვენ ყველა ვგმობდით, სრულებით არ არიან „კულტურის მტერნი", როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ მათი **სამეცნიერო მუშაობა განსაკუთრებით გეოგრაფიულ გამოკვლევათა დარგში საუცხოვო მომავლისაკენ მიემართება.** თვითონ ჩვენთვისაც სასარგებლოა მეცნიერული თანამშრომლობა მათთან, განუწყვეტელი მტრობის და კინკლაობის მაგიერ".

ისევ ურკვარტი

ნიუ-იორკი, 31 მარტი. ცნობილი ინგლისელი მრეწველი **ლესლი ურკვარტი** ამჟამად ნიუ-იორკში იმყოფება.

ფინანსიურ გაზეთ „უოლსტრიტ-ჟორნალის" ცნობით, ურკვარტი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირის საკონცესიო წარმოებებში ამერიკულ ფინანსების მონაწილეობის შესახებ. ურკვარტს იმედი აქვს, რომ ის მიაღწევს შეთანხმებას საბჭოთა მთავრობასთან და აცხადებს, რომ იმ კონცესიებს, რომლის მიღებასაც ის ფიქრობს, ესაჭიროება ფინანსიური და ტეხნიკური დახმარება ამერიკელ მრეწველთა მხრივ.

ჟენევის კომედიის შემდეგ

ლონდონი, 31 მარტი. ერთა ლიგის მეგობრების საპარლამენტო კომიტეტის **საიდუმლო სხდომაზე ჩემბერლენმა წარადგინა განმარტებები ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიის გამო.**

როგორც იუწყებიან, **ჩემბერლენმა** განაცხადა, რომ ბრაზილია დამოუკიდებლად მოქმედებდა და მასზე ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ მოუხდენია გავლენა.

ფაშისტებს შორის

რომი, 31 მარტი. „სტეფანის" სა-
პარტიის საბჭომ გენერალურ მდივ-
ტურატი.
აგენტო იუწყება, რომ ფაშისტური
ნად დაინიშნა დეპუტატი **ავგუსტო**

სარკინიგზო კავშირი

მოსკოვი, 1 აპრილი. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყება: საბარგო მატარებლების—15 მაისიდან. სამგზავრო-საბარგო მატარებლის—15 ივნისიდან.

პირდაპირ სამგზავრო-საბარგო მატარებლის მიმოსვლის (გადაჯდომით სანაპირო სადგურებზე) ხაზში ჯერ-ჯერობით შეტანილია შემდეგი სადგურები: ვლადივოსტოკი, მანჯურია, ნოვო-სიბირსკი, ორენბურგი, ტაშკენტი, თბილისი, როსტოვი, სარატოვი, ხარკოვი, მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, სიმფეროპოლი, ოდესა, ეკატერინოსლავი, ვოლოჩისკი, შეპეტოვკა, ციტკოვიჩი, მინსკი, ნეგორელოე და ფარინოვი.

მგზავრების გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა იწარმოებს პირდაპირი ბილეთებით და ქვითარებით, რომელიც გაცემული იქნება დანიშნულების სადგურამდე.

ინგლის-ამერიკის მეტოქეობა

ნიუ-იორკი, 31 მარტი. ბერლინიდან მიღებული დეპეშები იუწყებიან, რომ ამერიკის და ინგლისის კაპიტალს შორის კონფლიქტი მოხდა იმ საკითხის გამო, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირისათვის გერმანიის მიერ მიცემულ კრედიტში მონაწილეობის მიღებას.

ნიუ-იორკის ფინანსიურ წრეებში აცხადებენ, რომ რეიხსბანკის დირექტორის **ზახტის ამერიკაში ჩასვლის შემდეგ ამერიკელ ბანკირებთან მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის გერმანიის მიერ კრედიტის მიცემის საკითხში.** ამგვარად გერმანიის მრეწველობის პროდუქცია მოიპოვებს ბაზარს, ხოლო ამერიკის მრეწველობას კონკურენციას არ გაუწევს იმ ბაზრებზე, რომელნიც უფრო მნიშვნელოვანია ამერიკისათვის.

გავრცელებულ ხმების თანახმად **ფინანსთა მინისტრმა მელლონმა მოიწონა ეს შეთანხმება.**

უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ გერმანიის სარეპარაციო გადასახადების გადატანამ ინგლისსა, საფრანგეთსა და ბელგიაზე ხელი შეუშალა გერმანიის ექსპორტის გადიდებას ამ ქვეყნებში და ამით მეტოქეობა გაუწია ამერიკულ საქონელს ამ ბაზრებზე. ამგვარად, ამერიკელმა მრეწველებმა საჭიროთ დაინახეს წააქეზონ გერმანიის ექსპორტის განვითარება საბჭოთა კავშირში, რომლის ბაზრებზე გერმანიის საქონელს არ შეუძლია ისეთი დიდი კონკურენცია გაუწიოს ამერიკულ საქონელს, როგორც სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

ბიუჯეტის საკითხები

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისია ამჟამად იხილავს საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის საკითხებს ცაკის მორიგ სესიაზე წარსადგენათ, რომელიც უნდა შესდგეს მიმდინარე თვის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის მეურნეობის ვითარების საუკეთესო გამომხატველია. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ? 1923—24 წლებში საკავშირო ბიუჯეტის (გარდა ამიერ-კავკასიისა და შორეულ აღმოსავლეთისა) განსაზღვრული იყო 1 მილიარდ 803 მილიონ მანეთით; 1924 — 25 წლების ბიუჯეტი უდრიდა 2 მილიარდ 900 მილიონ მანეთს და დაბოლოს 1925 — 26 წლების ბიუჯეტი გამოიხატება—4 მილიარდ ერთ მილიონ მანეთში.

ამრიგათ მარტო უკანასკნელი სამეურნეო წლიდან საკავშირო ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდ ას ერთი მილიონი მანეთით, ანუ **38 პროცენტით.** აშკარაა, ბიუჯეტის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა შედეგია ქვეყნის მეურნეობის საერთო წინმსვლელობის, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელი წლების განმავლობაში.

მტკიცე და წლიდან წელზე მოზარდი სახელმწიფო ბიუჯეტი იმის საუკეთესო მაუწყებელია, რომ ჩვენ ურყევად და შეუპოვრად მივდივართ წინ ეკონომიურ აღორძინებისა და განვითარების გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საკავშირო ბიუჯეტი არის არა მარტო უდეფიციტო, არამედ მისი შემოსავალი აჭარბებს გასავალს ასი მილიონი მანეთით. ასი მილიონი მანეთი გადავა სახელმწიფოს სალაროში, როგორც სარეზერვო თანხა. თავისუფალ თანხის დაგროვება, რომ ის გამოყენებულ იქნას ყოველ მოულოდნელ შემთხვევაში სახალხო მეურნეობის რაიმე ფათერაკისაგან დასაცავათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის. მომავალში ჩვენი ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, სარეზერვო თანხაც თანდათან უნდა მატულობდეს, ეს, სხვათა შორის, პარტიის მე-14 ყრილობამაც აღნიშნა თავის დადგენილებებში. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლებლობანი. დაცულ იქნას უსასტიკესი ეკონომია სახ. ქონების ხარჯვის დროს, შეძლებისდაგვარათ **შექმნილ იქნას ეკონომიური რეზერვი, ყოველგვარ შემთხვევითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად"...** პარტიის უზენაეს ორგანოს დადგენილება უკანასკნელ საბიუჯეტო წლის განმავლობაში, როგორც დავინახეთ, უკვე ტარდება ცხოვრებაში.

რა შეადგენს ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს? სოციალისტურ სახელმწიფოს ბიუჯეტი უმთავრესად იმით განსხვავდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტისაგან, რომ მას, გარდა საგადასახადო საშუალებათა, აქვს შემოსავლის მეორე და მნიშვნელოვანი წყარო—ეს არის სახელმწიფო მრეწველობა. მიუხედავათ ამისა ჩვენი ბიუჯეტი აგებულია ორსახოვან სისტემის შემოსავალზე: ერთი მხრივ საგადასახადო წყაროებზე და მეორე მხრივ შემოსავალი სახელმწიფო წარმოება - მრეწველობისაგან. ასეთი სისტემის აუცილებლობა გამოწვეულია არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც.

სახელმწიფო პოლიტიკა—ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც სახელმწიფო ერთგვარ გავლენას ახდენს კერძო პირთა ხელში სიმდიდრის დაგროვებაზე. მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობის ცვალებადობაზე. უკანასკნელ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში გადასახადები უდრის 75 პროცენტს.

მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის მთავარი დანიშნულებაა შეუმსუბუქოს მოსახლეობას საგადასახადო ტვირთი და შემოსავლის მთავარ წყაროთ გაიხადოს სხვა საშუალებანი. ამ მხრივ უკვე გადაიდგა მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაიც გამოიხატა სას.-სამ. გადასახადის თითქმის ერთი მესამედით შემცირებაში. შემდეგ კი, ხელისუფლების ყურადღება უნდა იქნას მიქცეული არაპირდაპირ გადასახადთა რაც შეიძლება მეტ შეკვეცაზე, რასაც მოითხოვს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, ე.-ი. მშრომელების, ინტერესები. სამაგიეროთ უნდა გაძლიერდეს პირდაპირი გადასახადები, რომელთა მთავარი სიმძიმე საჭიროა დააწვეს შეძლებულ ელემენტებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს საბიუჯეტო ფრონტზე ერთი საგულისხმო მოვლენა. ესაა ცალკე რესპუბლიკანურ ბიუჯეტის საკითხები. თუ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა, ასე არ ითქმის რესპუბლიკანურ ბიუჯეტებზე. ყველა, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების ბიუჯეტი, გარდა რუსეთის ფედერაციის და უკრაინის ფედერაციისა, დეფიციტიანია. მართალია უკანასკნელი წლის განმავლობაში რესპუბლიკანურ ბიუჯეტების საერთო ჯამი 638 მილიონიდან გაიზარდა 952 მილიონამდე, ანუ 49 პროცენტით და ამნაირათ წინ გაუსწრო საკავშირო ბიუჯეტის ზრდას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, უდრის 38 პროცენტს, მაგრამ ამ მიღწევებზე შეჩერება არ შეიძლება.

საჭიროა გაფართოვებულ იქნას რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტის საშემოსავლო ჩარჩოები და ნაწილი ადგილობრივ ხარჯებისა გადატანილ იქნას ცენტრალურ ბიუჯეტზე. უამისოთ ჩვენ ვერ მოუღებთ ბოლოს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტების დეფიციტიანობას. ამ მხრივ, როგორც დავინახეთ, უკვე არის მნიშვნელოვანი მიღწევები. მომავალში ეს მიღწევები უფრო უნდა გავაფართოოთ, რომ ჩვენ გვქონდეს არა მარტო საკავშირო, არამედ ცალკე რესპუბლიკანური და ადგილობრივი უდეფიციტო ბიუჯეტები.

ლ. ქ.—ლი.

ბრძოლა მაროკოში

აბდ-ელ-ქერიმის საზავო პირობები

პარიზი, 31 მარტი. კაპიტან კანინგისათვის გაგზავნილ წერილში აბდ-ელ-ქერიმი აცხადებს, რომ უცვლელად რჩება ის პირობები, რომელიც მან წარადგინა 1925 წელში საფრანგეთთან და ესპანეთთან ზავის ჩამოსაგდებათ.

რიფების შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, აბდ-ელ-ქერიმის სიტყვით, ძველებურად მტკიცეა. ბლოკადა რიფებს ვერავითარ ზიანს ვერ აყენებს.

აბდ-ელ-ქერიმი ავალებს კაპიტან კანინგს იკისროს შუამავლის როლი საფრანგეთთან და ესპანეთთან მოლაპარაკების განხილვის შემთხვევაში.

საფრანგეთი იარაღს აჟღარუნებს

პარიზი, 31 მარტი. გაზეთ „პტი პარიზიენის" ცნობით, ბრიანი, პენლევე და საფრანგეთის უმაღლესი კომისარი მაროკოში სტეგი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აბდ-ელ-ქერიმმა შეიგნო თავისი უნუგეშო მდგომარეობა და მას ეჭვი არ ეპარება, რომ მოლაპარაკების წარმოება მოუხდება მჭიდროთ გაერთიანებულ საფრანგეთთან და ესპანეთთან.

„პტი პარიზიენის" ცნობით, ბრიანის, პენლევეს და სტეგის თათბირზე დადგენილ იქნა განახლდეს მოლაპარაკება იმ შემთხვევაში, თუ აბდ-ელ-ქერიმი დათანხმდება ოფიციალური მოლაპარაკების წარმოებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაძლიერებულ იქნეს სამხედრო მოქმედება.

ინგლისის კარნახით

პეკინი, 31 მარტი, „აზიატიკის" სააგენტოს ცნობით, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ **სახალხო არმიამ სხვებზე უკეთ შესძლო პეკინში წესრიგის დაცვა.** მაგრამ რამდენათაც სახალხო არმია იცავს სახალხო მოძრაობას, სახელმწიფოებისათვის უფრო ხელსაყრელია, რათა პეკინი დაიკავოს ან ჩან-ძო-ლინმა, ან უ-პეი-ფუმ, თუმცა მაშინ პეკინი გადაიქცევა ბრძოლის ასპარეზად.

იაპონიის დიპლომატიური მისია მხარს უჭერს პეკინის გადაცემას ჩან-ძო-ლინისათვის. ამერიკა ილაშქრებს ამის წინააღმდეგ და ეშინია იმის, რომ ზედმეტად გაიზრდება იაპონიის გავლენა ჩინეთის საქმეზე.

გარდა ამისა „აზიატიკის"ს სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა ზოგიერთ სახელმწიფოებთან ერთად გამოიმუშავა მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ პეკინი ჩაიგდო ხელში. ეს გეგმა, როგორც სააგენტო ამტკიცებს, მდგომარეობს იმაში, რომ ჩაქრობილი იქნება ეროვნული მოძრაობა და შეცვლილი იქნება პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. **უკანასკნელს განსაკუთრებით მოითხოვს ინგლისი,** რომელიც წინადადებას აძლევდა ჩჟან-ძო-ლინს მოითხოვოს კარახანის გაწვევა და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან.

ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩან-ძო-ლინმა ხელში ჩაიგდო პეკინი და განახორციელა ეს გეგმა, ინგლისი მისცემს მას დიდ სესხს შეღავათიან პირობებში.

ამავე სააგენტოს ცნობით, იაპონია თანახმაა, რომ ჩაქრობილი იქნეს ეროვნული მოძრაობა, მაგრამ წინააღმდეგია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავების.

სააგენტოს ძალიან რთულად მიაჩნია შექმნილი მდგომარეობა. უ-პეი-ფუს პოზიცია დღემდის არ არის გამორკვეული. როგორც სააგენტო ფიქრობს, უ-პეი-ფუ ფრთხილად მოიქცევა და თავს შეიკავებს უკიდურეს ზომების მიღებისაგან, რათა აღადგინოს პატრიოტის რეპუტაცია, რომელიც შეირყა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება დასდო ჩან-ძო-ლინთან.

აღმოსავლეთის ცხოვრება

პალესტინის არაბების გაფიცვა

ლონდონი, 31 მარტი. იერუსალიმიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის კომისარის **დე-ჟუვენელის გამგზავრებამ პალესტინაში გამოიწვია პალესტინის არაბების გაფიცვა.** პროტესტის ნიშნად საფრანგეთის მიერ სირიაში წარმოებულ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ეხლანდელი გაფიცვა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ყველა იმ გაფიცვებთან შედარებით, რომელთაც დღემდე ადგილი ჰქონიათ პალესტინაში.

ვაფდის წევრების პროცესი

ალექსანდრია, 31 მარტი. ქაიროში დაიწყო ეროვნული პარტიის ვაფდის 7 წევრის პროცესი, რომელთაც ბრალდებათ ინგლისელებზე თავდასხმაში **მონაწილეობის მიღება.** ბრალდებულთა შორის არის ზაგლულ ფაშას მთავრობის განათლების მინისტრი ახმედ ფაშა.

ქურთების აჯანყების შესახებ

მოსკოვი, 1 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ოსმალეთის სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში **ზეკაი-ბეიმ** მოდიატში მომხდარ აჯანყების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„მოძრაობა, რომელიც უკანასკნელ დროს წარმოიშვა მიდიატის მიდამოებში და, რომელსაც ხელს უწყობდნენ ჯიზრედან გადასული ბანდები. ამჟამად უკვე სავსებით ჩაქრობილია **ნისიშიან-ჯიზრე-მოდიატის** რაიონში.

უკანასკნელი ცნობები

საქონლისათვის

ბერლინი, 1 აპრილი. ჩეხის რეზიდენტმა ვარშავაში განაცხადა, რომ პოლონეთსა და ჩეხიას შორის უთანხმოება უმთავრესად გამოწვეულია მით, რომ ჩეხიამ აკრძალა თავის საზღვრებში პოლონეთის საქონლის შეტანა.

„ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობით პოლონეთ - ჩეხო-სლოვაკიის მოლაპარაკებაც სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ შეწყვეტილია.

მთავრობის კურსი

პრაღა, 31 მარტი. ჩეხის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" თავის მოწინავეში მიიქცევს კომპარტიის წევრების ყურადღებას იმ მდგომარეობაზე, რომ ჩერნოვის კაბინეტის შედგენის შემდეგ მთავრობამ გააძლიერა დევნა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ დროს აქტიურ წევრებს დასდევდენ პოლიციის აგენტები. პოლიციამ გაჩხრიკა პარტიის სამდივნო.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მზადდება ახალი პროვოკაციული გამოსვლები კომპარტიის წინააღმდეგ; ამიტომ პოლიციის აგენტები წინდაწინვე, განზრახ ავრცელებენ ხმებს, თითქოს პარტია 10 აპრილისათვის გამოსვლას აწყობდეს.

იარაღის საიდუმლო საწყობის აღმოჩენა

ლონდონი, 31 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს სატახტო ქალაქში, დუბლინში, ერთ - ერთ კერძო სახლში აღმოჩენილია იარაღის დიდი საწყობი. საწყობში აღმოჩნდა 18 ფუთი ასაფეთქებელი მასალა, 300 ყუმბარა, 18.000 დეტანატორი და რევოლვერებისა და ვაზნების დიდძალი რიცხვი.

ამერიკის კაპიტალი საზღვარგარეთ

ვაშინგტონი, 31 მარტი. შეერთებულ შტატების სავაჭრო სამინისტრო იუწყება, რომ საზღვარგარეთ დაბანდებულია 10.500 მილიონი დოლარი. ამ თანხაში არ შედის ის სესხი, რომელიც შეერთებულ შტატების მიერ მიცემული სხვა სახელმწიფოებისათვის მსოფლიო ომის დროს.

კატასტროფა რკინისგზაზე

ნიუ-იორკი, 31 მარტი. ბოგოტა-ჟირარდოს რკინისგზის ხაზზე (კოლუმბიაში, ჩრდილოეთი ამერიკა) სასწრაფო მატარებლის დაჯახების დროს საბარგო მატარებელთან მოკლულია 20 კაცი, დაჭრილი 20. სასწრაფო მატარებლის წინა ვაგონები მდინარეში გადავარდა.

ფინანსიური კანონპროექტი მიღებულია

პარიზი, 1 აპრილი, **დილის 9 ს. და 35 წუთზე დეპუტატთა პალატამ მიიღო ფინანსიური კანონპროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიუჯეტის წონასწორობას, 236 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 159 ხმისა.**

ეს პროექტი დღეს განხილული იქნება სენატის ფინანსიურ კომისიაში და ხვალ შეიტანებენ პლენუმზე.

აჯანყება გემზე

ბერლინი, 1 აპრილი. **ინგლისის გემზე „ტენასიტზე" მოხდა აჯანყება. გემი შევიდა ვიგოს (ესპანეთი) ნავთსაყუდში წითელ დროშით. ესპანეთის პოლიციის დახმარებით აჯანყება ჩაქრობილ იქნა და აჯანყებულები დაატყვევეს.**

ომის წინააღმდეგ მოქმედების კომიტეტი

ბერლინი, 31 მარტი. 18 მარტს ამსტერდამში შესდგა ომის წინააღმდეგ მოქმედების კომიტეტის სხდომა, რომლის წევრებათ არიან ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის წევრებისგან და ამ საკითხით დაინტერესებული სამთომადნო, მელითონეების, ტრანსპორტზე მომუშავეთა და ფაბრიკის მუშების საერთაშორისო სამდივნოები.

სხდომაზე გაირჩა საკითხი, თუ რა ზომას უნდა მიმართონ ომის გამოცხადების შემთხვევაში.

დაადგინეს, რომ საფუძვლად მიიღონ ის ღონისძიებები, რომლებიც გამოიმუშავა სამთომადნო მუშების ინტერნაციონალმა, განხილულ იქნეს ის და გარჩეული დაწვრილებით ცალკე ქვეყნების პროფკავშირებში.

კომუნისტები და სოციალისტები

პარიზი, 1 აპრილი. სანამდი დეპუტატთა პალატა მიიღებდა ფინანსიურ კანონპროექტს, პალატის სხდომაზე გამოვიდა პარიზის მეორე სექტორიდან ახლად ამორჩეული კომუნისტი დეპუტატი ფურნიე, რომელმაც გამოაქვეყნა მანიფესტი ფინანსიურ პროექტის და დეპუტატთა პალატის წინააღმდეგ.

რადგან მემარცხენე ბლოკი წინდაწინ ხედავდა, რომ დამარცხდებოდა, წინადადება მისცა სოციალისტებს, ერთად ემოქმედათ. რენოდელმა განაცხადა, რომ სოციალისტებმა კვირას არჩევნებში ხმა მისცეს კომუნისტებს იმიტომ, რომ დაემარცხებიათ რეაქცია. პარტია განაგრძობს თავის რესპუბლიკანურ პოლიტიკას.

მონოპოლია ნავთზე და შაქარზე

ბერლინი, 1 აპრილი. **მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ფინანსიური კანონპროექტი, დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის მონოპოლიას შაქარსა და ნავთზე.**

ვანდერველდე — პესიმისტი

პარიზი, 1 აპრილი. ჟურნალისტებთან საუბარში ერთა ლიგის სესიის გამო, ვანდერველდემ განაცხადა, რომ უკანასკნელი კრიზისი ერთა ლიგისა შეაფერხებს მისი განვითარების საქმეს. ის შიშს გამოსთქვამს, რომ მაისში და სექტემბერშიც ერთა ლიგის წინაშე დიდი დაბრკოლებები იქნებაო. ბრაზილიის ჯიუტობა ერთა ლიგას ჩიხში მოამწყვდევსო.

ორი სახელმწიფო, ერთი ხალხი

პარიზი, 1 აპრილი. **ვენის გაზეთის „ნეიე ფრეიე პრესსე"-ს თანამშრომელთან საუბარში შტრეზემანმა განაცხადა, რომ ავსტრია და გერმანია ერთ მთლიან ერთეულს შეადგენენო.**

„ჩვენ ორი სახელმწიფო ვართ, მაგრამ ხალხი კი ერთი" — სთქვა მან.

ბრიანის კაბინეტის გასაჭირი

სოციალისტები თავს იკავებენ

პარიზი, 31 მარტი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ, როცა საკითხი დაისმება მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. სოციალისტები თავს შეიკავებენ აგრეთვე ალებ-მიცემობაზე გადასახადის გადიდებისათვის კენჭის ყრის დროსაც.

საერთო სამოქალაქო გადასახადი

პარიზი, 31 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საფინანსო პროექტების განხილვის დროს დეპუტატთა პალატამ მიიღო საერთო სამოქალაქო პროგრესიული გადასახადი.

კომპარტიის აზრი საფინანსო პროექტების შესახებ

პარიზი, 31 მარტი. მთავრობის საფინანსო პროექტის წინააღმდეგ დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა **გარშერიმ,** რომელმაც დაამტკიცა, რომ **საერთო სამოქალაქო გადასახადის მთელი ჯამის სამი მეოთხედის გადახდა მუშებს და გლეხებს მოუხდებათ.**

გარშერიმ აღნიშნა, რომ სახაზინო გადასახადები და გადასახადი ალებ-მიცემობაზე ნაციონალური ბლოკის საფინანსო პროგრამის მუხლებს წარმოადგენენ. თუ მემარცხენე ბლოკს არ სურს საბოლოოდ სახელის გატეხა, მან ყურადღება უნდა მიაქციოს პარიზის ამომრჩეველთა ხმას, რომელნიც ემხრობიან გადასახადს კაპიტალზე და ეწინააღმდეგებიან ღარიბების დაბეგვრას.

**კომფრაქციის წინადადებები ბანკების, მრეწველობის სამონოპოლიო დარგების, საგარეო ვაჭრობის ნაციო-
ლების პროგრესიული დაბეგვრის
ონალიზაციის და აგრეთვე კაპიტა-
შესახებ** უარყოფილ იქნა ხმების უმრავლესობით.

უარყოფილ იქნა აგრეთვე რესპუბლიკანურ - სოციალისტური პარტიის დელეგატის **დეზარონის** წინადადება, რომელიც მოითხოვდა, რომ საერთო სამოქალაქო გადასახადის შემოღების მაგიერ გადიდებული ყოფილიყო გადასახადი ალებ-მიცემობაზე და დაწესებულიყო გადასახადი უძრავ - მოძრავ ქონებაზე.

ახლად არჩეული კომუნისტ დეპუტატები

პარიზი, 31 მარტი. დეპუტატთა პალატაში ახლად არჩეულ კომუნისტ დეპუტატებს **დიუკლოს** და **ფურნიეს** მქუხარე ტაშისცემით შეხვდა კომფრაქცია, რამაც მემარჯვენეებს საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობის საბაბი მისცა. კომუნისტებმა „ინტერნაციონალის" სიმღერით უპასუხეს. პალატის თავმჯდომარემ **ერიომ** შესწყვიტა სხდომა.

მუშათა ბრძოლა

ინგლისის მანქანების საამშენებლო მრეწველობაში

ლონდონი, 31 მარტი. ლონდონის მანქანების საამშენებლო ქარხნების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, რომელიც წარადგინეს მანქანების საამშენებლო მრეწველობის 16 პროფკავშირის წევრებმა. **პროფკავშირები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 20%-ით მუშების ყველა კატეგორიისათვის, მამაკაცებისა, ქალებისა და შეგირდებისათვის.**

საკითხი განსახილველად გადაეცა მეწარმოებელთა და მუშათა წარმომადგენლების კონფერენციას, რომელიც შესდგება 9 აპრილს.

უმუშევართა დემონსტრაციის გარეკა

ლონდონი, 31 მარტი. ჰაიდ პარკში „რემედის"-ის ინგლისის სექციის უმუშევარმა წევრებმა გამართეს დე**მონსტრაცია,** რომელიც მოითხოვდა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას. დემონსტრაცია პოლიციამ გარეკა.

გარეკის მიზეზი იყო დემონსტრანტების შეტაკება ფაშისტებთან. ერთი დემონსტრანტი დაპატიმრებულია, რამდენიმე კაცი დაჭრილია.

ლითონის ჩამომსხმელთა მოთხოვნილება

ლონდონი, 31 მარტი. ხარტლეპულში გამართა ლითონის ჩამომსხმელ მუშების კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთის განყოფილებათა დელეგატების კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მანქანების საამშენებლო მრეწველობის მწარმოებელთაგან დაუყოვნებლივ მოითხოვოს მინიმალური ხელფასად კვირაში 3 გირ. სტერლინგის დაწესდეს.

ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში იმყოფება ყველაზე დიდი ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება უცხოეთში

ფაშისტური იტალია და საფრანგეთი

საფრანგეთში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს იტალიის საგარეო პოლიტიკას. ფაშისტური მთავრობა ოცნებობს იტალიის იმპერიის შექმნაზე. იტალია აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს ბალკანეთზე და ხმელთაშუაზღვის აფრიკის სანაპიროებზე.

იტალიის ეს აგრესიული პოლიტიკა დიდ შიშიანობას იწვევს საფრანგეთში, რადგან ამ ნიადაგზე ადრე თუ გვიან აუცილებელია კონფლიქტი იტალიასა და საფრანგეთს შორის.

მართალია, ზოგიერთი ოპტიმისტები საფრანგეთში ამტკიცებენ, რომ იტალიის იმპერიალისტური ყიჟინა—ეს ჩვეულებრივი ფაშისტური ბაქიბუქობა არის და მეტი არაფერი, მაგრამ ფაქტებით მტკიცდება, რომ საფრანგეთის ოფიციალური წრეების შიშს რეალური საფუძველი აქვს.

იტალია ოცნებობს ტერიტორიის გაფართოებაზე, ახალი კოლონიების და მოსაზღვრე ტერიტორიების დაპყრობაზე. იტალია ჯერჯერობით მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს: არა იტალიელებით დასახლებულ ოლქების იტალიანიზაცია (საკმაო გავიხსენოთ გერმანია-იტალიის კონფლიქტი სამხრეთ-ტიროლის გამო), საჰაერო და საზღვაო ფლოტის გაძლიერება, საერთო „პატრიოტული" განწყობილების შექმნა მასაში და სხვ.

თუმცა მუსოლინი უარყოფს იტალიის აგრესიულ ზრახვებს, მაგრამ ფაშისტური პრესა არ მალავს, რომ იტალიას თავისი ტერიტორიის და კოლონიების გაფართოება შეუძლია და უნდა გააფართოვოს საფრანგეთის ხარჯზე.

„ეს აბსურდია,—ამბობს მუსოლინი,— იტალია იყო და რჩება საფრანგეთის ერთგულ მოკავშირეთ. ჩვენ ვოცნებობთ მშვიდობიან აღმშენებლობაზე და მეზობლებთან მეგობრულ თანაცხოვრებაზეო".

მაგრამ ამ განცხადებებთან ერთად იტალიის მთავრობა ადიდებს სამხედრო ბიუჯეტს, აწარმოებს სასწრაფო მუშაობა ახალი სამხედრო გემების და აეროპლანების ასაგებათ და, შვეიცარიული გაზეთების ცნობით, ალპებში აწარმოებს ფოტოგრაფიული სურათების გადაღება (გზების, გასამაგრებელი ადგილების და ხეობების).

ბუნებრივია, რომ იტალიის ასეთი „მშვიდობიანი აღმშენებლობა" ნერვიულობას იწვევს საფრანგეთში.

საფრანგეთის შიში განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საზღვაო მინისტრმა პენლევეს კაბინეტში ბორელმა შეიტანა პალატაში წინადადება საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრა საფრანგეთის სენატის საზღვაო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ რადიკალ-სოციალისტმა კერგენზეკმა.

გაზეთ „რადიკალ"-ში და „მატენ"-ში მოთავსებულ წერილებში კერგენზეკი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის საზღვაო ძალები ხმელთაშუაზღვაზე იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალებთან შედარებით იმდენათ მცირეა, რომ ადვილათ შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთი მოწყვეტილი აღმოჩნდეს სამხრეთ-აფრიკის კოლონიებიდან. კერგენზეკი თავის აზრს ციფრებით ადასტურებს: იტალიას ხმელთაშუაზღვაზე ყავს 30 ნაღმოსანი, საფრანგეთს—12, იტალიას ყავს 41 წყალქვეშა ნავი, საფრანგეთს—21. ასეთივე მდგომარეობაა საჰაერო ფლოტის მიმართაც.

თითქოს კერგენზეკის აზრის დასადასტურებლათ იტალიის უკიდურეს ფაშისტების ორგანო „იმპერო" 6 თებერვლის ნომერში სწერდა:

„მდგომარეობა ასეთია: ან საფრანგეთს ბრძოლა მოუხდება იტალიასთან და მაშინ ის აღმოჩნდება ისეთ პირობებში, რომ ვერ ისარგებლებს თავისი კოლონიალური ჯარების დახმარებით და უკეთეს შემთხვევაში იძულებული შეიქნება უარი სთქვას თავის ყველა ან თითქმის ყველა კოლონიებზე. ან საფრანგეთს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან და მაშინ, რათა მას დახმარება აღმოუჩინოთ, დაგვითმობს თავისი კოლონიების დიდ ნაწილს აფრიკაში და აზიაში."

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის შიში უსაფუძვლო არ ყოფილა.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

მუშათა მოძრაობა ავსტრალიაში

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ავსტრალიის პროფკავშირების შესახებ ეკუთვნის 1924 წ. სულ ავსტრალიაში 1924 წ. ითვლებოდა 376 პროფკავშირი 729.155 წევრით. 1922 წ. კი იყო 387 პროფკავშირი 702.938 წევრით. ამრიგათ ავსტრალიის პროფმოძრაობაში ვამჩნევთ კონცენტრაციის ტენდენციას—პროფკავშირების რიცხვი შემცირდა, წევრების რიცხვი კი გაიზარდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ავსტრალიაში მუშების რიცხვი ორ მილიონამდი აღწევს, ნათელი გახდება, რომ პროფკავშირებში გაერთიანებულია მუშების მხოლოდ ერთი მესამედი, გაერთიანებულო არიან მაღალი კვალიფიკაციის მუშები, ე. წ. მუშათა არისტოკრატია.

უმუშევართა რიცხვი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთ დონეზეა გაჩერებული—100.000-ღი აღწევს.

ავსტრალიაში საშუალოდ არსებობს 46 საათიანი სამუშაო კვირა. ორ შტატში—ახალ სამხრეთ-უელსში და კვინსლონდში—შემოღებულია 44 საათიანი სამუშაო კვირა (1925 წლიდან).

მთელ ავსტრალიაში პროფმუშაობის სახელმძღვანელოდ და კერძოდ იმ გაფიცვების სახელმძღვანელოდ, რომლებიც ერთი შტატის ფარგლებს სცილდებიან, დაარსებულია (1925 წ..) ე. წ. „დიდი მუშათა საბჭო".

საბჭომ მიმართა წყნარი ოკეანეს ნაპირებზე მდებარე ყველა ქვეყნების მუშათა პოლიტიკურ და პროფესიულ ორგანიზაციებს წინადადებით მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაში, რომელიც მიმდინარე წლის პირველ მაისს შეიკრიბება სიდნეიში „აღნიშნულ ქვეყნების მუშათა მოძრაობის შეთანხმების მიზნით".

დასავლეთ ავსტრალიის შტატში მუშავდება პროექტი პროფკავშირების რეორგანიზაციისა საწარმოო პრინციპის მიხედვით, ნაცვლად არსებულ საამქრო ორგანიზაციისა. ამავე შტატში განზრახულია საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების დაარსება. ვიქტორიას შტატის რკინისგზელებს განზრახული აქვთ შტატის ყველა ტრანსპორტის მუშათა გაერთიანება ერთ მთლიან პროფკავშირში. კვინსლენდის ტრანსპორტის მუშებს შორის ძლიერდება მოძრაობა პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა პარტია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. 1925 წ. პარტიამ მოიპოვა უმრავლესობა ორ ახალ შტატში—ახალ სამხრეთ უელსში და ტასმანიაში. ამრიგათ მუშათა პარტიას უმრავლესობა ყავს 5 შტატში (ავსტრალიაში სულ 6 შტატია) მაგრამ უკანასკნელ არჩევნების დროს ავსტრალიის საერთო პარლამენტში მუშათა პარტია დამარცხდა. მიზეზი ამ დამარცხებისა უნდა ვეძიოთ იმ პოლიტიკაში, რომელსაც ინგლისის მუშათა პარტიას მსგავსად აწარმოებდა ავსტრალიის მუშათა პარტია კომუნისტების მიმართ. კომუნისტების და მემარცხენე ელემენტების დევნამ ბევრი ხმები დაუკარგა ავსტრალიის მუშათა პარტიას საპარლამენტო არჩევნების დროს.

საფრანგეთის რკინისგზელთა რევოლიუციონური ფედერაცია

ფრანგ რკინისგზელთა რევოლიუციონური ფედერაცია ძლიერ გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. 1922 წ. ფედერაციაში—60.000 წევრი იყო, 1923 წ.—70.000 1924 წ.—80.000, ახლა კი ფედერაცია—100.00 კაცს აერთიანებს. მიუხედავათ ამისა, ფედერაციის წინაშე დასმულია წევრთა რიცხვის კიდევ უფრო გადიდების საკითხი. საფრანგეთში—500.000 რკინისგზელია, მათგან მხოლოდ— 180.000 კაცია გაერთიანებული.

ფედერაციის მეორე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ტრანსპორტის მუშათა ორგანიზაციების კონცენტრაცია. ასე მაგალითად, დღის წესრიგშია დასმული რკინისგზელთა ფედერაციის და ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის გაერთიანების საკითხი. ახალ ორგანიზაციას ეწოდება „ხმელეთის ტრანსპორტის მუშათა ფედერაცია." შემდეგ განზრახულია ნავთსადგურის მუშების და გემების სააღმშენებლო ქარხნების მუშების და საზღვაო ტრანსპორტის მუშათა გაერთიანება.

კუკი და ხიკსი

ვიმბლდონში ინგლისის სამთო-მადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა ბალდვინი მოუწოდებს ინგლისის ხალხს ლოცვისაკენ და ქადაგებს „კაცთა შორის სიყვარულსა და სათნოებას", შინაგან საქმეთა მინისტრი ჯოინსონ ხიკსი ყველგან აცხადებს: „ჩვენი შტრეიკბრეხერთა ორგანიზაცია უკვე მზად არის. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ბრძოლა მუშებთან".

„ამას შეიძლება ვუწოდოთ პროვოკაცია და სხვა არაფერი,—სთქვა კუკმა.—მათხოვრის მდგომარეობაში ჩავარდნილ მუშების სამართლიან მოთხოვნილებაზე ინგლისის მინისტრი უპასუხებს: „ფრთხილათ, თორემ სისხლში ამოგაღრჩობთო".

პატარა ფელეტონი

კიდევ ომი!..

კაცობრიობას ჯერ კიდევ ვერ მოუშუშებია ის ჭრილობები, რომლებისაგან დაისერა მთელი დედამიწის პირი მსოფლიო ომის დროს.

ამერიკელმა ექიმბაშმა დაუესმა თუმცა დიდი ხანია გამოიგონა ჭრილობის მოსაცხები მალამო, მაგრამ მის წამალს ისეთი თვისება დაჩემდა, რომ თუ ერთს ჰკურნავს, მეორეს სიკვდილის პირს აყენებს.

ერთა ლიგის საბჭომ რამდენჯერმე მოიყარა სათათბიროდ თავი, რათა სხვა რაიმე უებარი წამალი გამოეგონებია, მაგრამ ყოველთვის ერთი დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ მის ნაყოფიერ მუშაობას: საკურნებელ მალამოსათვის საჭირო იყო ერთი ისეთი ნივთიერება, რომელიც მოიპოვებოდა მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მიწა-წყალზე და არსად სხვაგან.

„როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო",— ნათქვამია.

ერთა ლიგის ექიმბაშებს მეტად უჭირდათ და ამიტომ სასიკვდილს არ დაზოგავდენ, რომ შეეძინათ საჭირო მასალა საბჭოთა კავშირისაგან, მაგრამ აქაც გადაულახავი დაბრკოლება გადაეღობათ წინ: საბჭოთა კავშირის მიწა-წყლის ნაყოფს ჰქონდა ისეთი თვისება, რომელიც აბათილებდა მის ღირსებას ერთა ლიგისათვის: ის იყო წითელი ფერის, რომლის დანახვა თავბრუს უხვევდა ლიგის წევრებს.

ამგვარად, მსოფლიო მოჯადოებულ წრეში იმყოფებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შედარებით მაინც მშვიდობიანობა სუფევდა ქვეყანაზე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეტი სიმძღრით და მეორე ნაწილი მეტის-მეტი სიმშილით უდროოთ ესალმებოდენ წუთისოფელს).

ამ დროს, როგორც მზიან დღეში მეხი, ისე გავარდა ხმა მძვინვარე ომის დაწყების შესახებ ევროპის შუა გულში.

ამ ამბავმა თავზარი დასცა კაცობრიობას, ცინიდან არავის არ სურდა გამხდარიყო მისი მოწმე, რაც განიცადეს მსოფლიო ომის დროს.

თვით ერთა ლიგის საბჭო, რომელსაც ამ დროს ჟენევაში ჰქონდა ბჭობა მშვიდობიანობის განმტკიცების შესახებ, ისე დაიბნა ამ ამბის გაგონებაზე, რომ სასწრაფოთ შეწყვიტა სხდომები და დელეგატები გაეშურენ თავიანთ ქვეყნებისაკენ, შიშით დამფრთხალნი, რომ არ მომწყვდეულიყვენ ალყის ხაფანგში.

ომის დაწყების მიზეზი არის ევროპიელ ქართველების იმპერიალისტური მისწრაფებანი.

ამ ქართველების ერთ ნაწილს, ეგრედ წოდებულ „შეფიცულებს", გადაუწყვეტიათ საქართველოს სამფლობელოს შემოხღუდვა ევროპის ფარგლებში ოდენკურის მეფე პიუოს პროტექტორატის ქვეშ.

მეორე ნაწილი კი, ეგრედ წოდებული „თეთრ გიორგის" ორდენელები, უფრო მიზანშეწონილად სცნობენ, რათა საქართველო დარჩეს იქ, სადაც იმყოფება დღეს, მხოლოდ ევროპა და აზია შეუერთდეს მას პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამ საკითხის გადაჭრაში შეუთანხმებლობამ გამოიწვია ის სასტიკი ომი, რომლის პირველი „რეპეტიცია" ჯერ კიდევ 9 იანვარს მოხდა, როდესაც იერიში იქნა მიტანილი ვალენტინის ყავახანაზე.

მთავარი ბრძოლა გაჩაღდა 28 თებერვალს ქალაქ ოდენკურის მიდამოებში, რომელიც გაგრძელდა ორ დღეს. ამ ბრძოლაში ორივე მოწინააღმდეგე მხარეზე მონაწილეობას ღებულობდენ ორმოცი დელიყანდები (თითო დელიყანდი უდრის ლეგიონს).

„შეფიცულების" მხედრობას სარდლობდა გენერალი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, „თეთრი გიორგის" ლეგიონერებს—გენერალი კვინიტაძე.

ომში მონაწილეობას ღებულობს მესამე მხარე, ეგრედ წოდებული „მოტყუებულნი", გლეხი გაბოს *) მეთაურობით. ეს მესამე ძალა ხან ერთ მხარეზე გადადის და ხან მეორეზე,—იმისდამიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო მოხერხებულად მოატყუებს მას.

პირველსავე მძვინვარე შეტაკების დროს მოკლულ იქნენ სამი,—მათ შორის მოხუცი ეფრემ ქარციძე,—სასიკვდილოთ დაჭრილნი—ექვსი და მსუბუქად დაშავებული—ერთი მანდილოსანი.

თავგახეთქილია აგრეთვე „მოტყუებულთა" სარდალი გლეხი გაბო, რომელმაც ვერ გამოიჩინა შესაფერი გამოცდილება ომის ახალი ტეხნიკის მიხედვით წარმოებაში.

მიუხედავად ძალების სიმცირისა, „შეფიცულების" მხარეზე ეფინოდა გამარჯვება ომის დაწყების პირველ ხანებში, მაგრამ შემდეგ გამარჯვების სასწორი გადაიხარა „თეთრგიორგელებისაკენ".

მორწმუნეთა აზრით, ალბად, მათ ეხმარებიან უჩინრად სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგი.

ს. თ—ია.

---

*) ეს ის გლეხი გაბო არის, რომელმაც ერთ შემთანხმებელ კრებაზე სასოწარკვეთილი მუდარებით წამოიძახა: „ძმებო, განათლებულო ხალხო, დიდო აფიცრებო, თქვენი ჭირიმე შერიგდით, ტვინს ნუ აჭუხებთ ბევრი ლაპარაკით!..." მაგრამ მისი ძახილი დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პურის დამზადების კამპანია

მოსკოვი, 1 აპრილი. **პურის დამზადების კამპანიის დაწყებიდან 25 მარტამდე, დამზადებულია სულ— 485,111, 8 ათასი ფუთი პურის პროდუქტი.**

ფულის ტრიალი

მოსკოვი, 1 აპრილი. მარტის მეორე ნახევარში ფულის ტრიალი საბჭოთა კავშირში შემცირდა— 11.347.00 მანეთით. **შემცირება მოხდა უმთავრესად ბანკნოტების გამოშვების ხარჯზე.** კავშირის ფულის ტრიალის საერთო თანხა 21 მარტამდე უდრიდა 1.244.000.000 მანეთს.

ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ლენინგრადი, 1 აპრილი. საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ამხ. **მანუილსკიმ.**

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის საერთო საქალაქო კრება ესალმება იმ ერთსულოვნობას და მთლიანობას, რომლის ნიშნის ქვეშ ჩატარებულ იქნა პლენუმზე ბრძოლა კომუნისტური პარტიების ბოლშევიზაციისათვის ულტრა მემარცხენე და მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ.

აქტივის კრებამ დაადგინა მიეცეს ფართო ახსნა - განმარტება პარტიის წევრებს და უპარტიო მუშებს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის შედეგების და მნიშვნელობის შესახებ".

პოლიტგანათლების სრულიად რუსეთის ყრილობა

მოსკოვი, 1 აპრილი. მაისის შუა რიცხვებში მოსკოვში მოწვეული იქნება პოლიტგანათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობა, რომლებზედაც მთავარი ყურადღება ექნება მიქცეული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას სოფლად.

სკოლების ექსპორტი

მოსკოვი, 1 აპრილი. **საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ 4.000 ფუთი სოკო გაუგზავნა ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ამ დღეებში გაიგზავნება კიდევ 900 ფუთამდე.**

საზღვაო ტეხნიკუმის მოგზაურობა

ლენინგრადი, 1 აპრილი. საზღვაო ტეხნიკუმი მაისში ექსპედიციას აგზავნის დედა-მიწის გარშემო—გემით „კრასნაია ზვეზდა".

საგადასახადო შეღავათები

მოსკოვი, 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ინსტრუქცია კოლექტიურად გაერთიანებულ უმუშევართათვის საგადასახადო შეღავათების მიცემის შესახებ. **ამ ინსტრუქციის თანახმად სამრეწველო და სავაჭრო წარმოებები, რომელნიც მოწყობილია შრომის ბირჟის კომიტეტის და უმუშევართა კოლექტივების მიერ განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადებისაგან 6 თვის განმავლობაში მათი დაარსების დღიდან** იმ პირობით, თუ თვითონ უშუალოთ იქნებიან ჩაბმული წარმოებებში და არ იქნებიან დაშვებული გარეშე პირნი, გარდა ადმინისტრატორებისა და სპეციალისტებისა. **ის წარმოებები რომელთა ბრუნვა წელიწადში 20.000 მანეთს არ აღემატება სრულიად თავისუფლდებიან სარეწავო და საშემოსავლო გადასახადისაგან.** საწარმოო დაწესებულებათა დაბეგვრა დაკლებულია 50%-ით, სავაჭრო დაწესებულებათა 25%-ით.

ეკონომიის რეჟიმისათვის

მოსკოვი, 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად კამენევის და ფიგატნერის ხელის მოწერით გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის ინტერესების ძალისთვის და რეალურ ხელფასის შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა პოლიტიკურ და სამეურნეო ფასების დაკლებას საერთოდ და ფართო მოხმარების საგნების ფასების დაკლებას.

ბრძოლა საწვრილმანო ფასების დაკლებისა და ეკონომიის ჯანსაღ რეჟიმისათვის უნდა იქნას მიმართული ყველა იმ არა საწარმოო ხარჯების შემცირებასა და მოსპობისაკენ, რომელსაც არ მოითხოვს სავაჭრო აპარატის ნორმალური განვითარება. (როგორც მაგალითად: სარეკლამო და სატრანსპორტო ხარჯები, არასაჭირო მივლინებანი, შუამავლობა და ზედმეტი სამუშაოები). საჭიროა ზედნადები ხარჯების შემცირება, სავაჭრო აპარატის ქსელის სწორი მოწყობა, მისი რაციონალიზაცია, ანგარიშების სწორი წარმოება და სხვ.

ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაკებმა.

ვაჭრობის სახ. კომისარიატი და საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა ცეკა მოუწოდებს სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელებს და კავშირის ადგილობრივ განყოფილებებს აქტიური ბრძოლა აწარმოვონ სახელმწიფო ფასების ზრდის წინააღმდეგ.

ხელფასის დროზე გასტუმრება

მოსკოვი, 1 აპრილი. **საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიმართა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს მოხსენებით, რომელშიც საჭიროთ სთვლის ხელფასის გასტუმრების დავვიანების ლიკვიდაციას.**

დავალიანება გამოწვეულია უმთავრესად საშუალებათა უწესოთ ხარჯვით და სახარჯთაღრიცხვო ანგარიშების შეუსრულებლობით.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე აყენებს საკითხს ხელფასის დავალიანების სასწრაფო ლიკვიდაციის შესახებ—და დაუშვებლად მიაჩნია იმ წარმოება-დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის შემცირება, რომელნიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

სახლების დემუნიციპალიზაცია

ბაქო, 31 მარტი. სახ. კომისართა საბჭომ 1600 მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლიდან მოახდინა 389 სახლის დემუნიციპალიზაცია.

„ბაკინსკი რაბოჩის" მომავალი იუბილეის გამო

ბაქო, 30 მარტი. 5 მაისს სრულდება 20 წელი „ბაკინსკი რაბოჩის" გამოსვლის დღიდან.

„ბაკინსკი რაბოჩის" პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის აპრილის ბოლოში პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ. გაზეთი გამოდიოდა არალეგალურად, როგორც ბაქოს ორგანიზაციის ორგანო. გაზეთი თავიდანვე ბოლშევიკური მიმართულების იყო.

20 წლის იუბილეის დღისათვის რედაქცია ფიქრობს „ბაკინსკი რაბოჩის" ისტორიის გამოშვებას და ამიტომ სთხოვს „ბაკინსკი რაბოჩის" ყველა მონაწილეებს, თანამშრომლებს და ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ დასახული მიზნის განხორციელებაში.

გლეხს სახლი

ბაქო, 30 მარტი. განჯაში ეწყობა გლეხის სახლი, რისთვისაც მიღებულია საჭირო თანხა.

ახალი აქციონერები

ბაქო, 30 მარტი. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების შესვლა აქციონერებათ უკრაინის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოებაში, რომელიც 1 მაისს ხსნის რეისს თბილისი-ბაქო-როსტოვი-მოსკოვი.

შეჯიბრება

ბაქო, 1 აპრილი. სამთო წარმოების მიერ გამოცხადებულია შეჯიბრება საშენებელ ქვის ამომღები მანქანის შესახებ.

მოსკოვის საბჭოთა ქარხნებიდან მიღებულია 3 პროექტი, წინადადება აგრეთვე მიღებულია შვედურ ფირმა „ატლას დიზელიდან".

საგაზაფხულო მატყლის დამზადება

ბაქო, 1 აპრილი. დაიწყო მუშაობა გაზაფხულის მატყლის დასამზადებლად. **განზრახულია 14.000 ფ. მატყლის დამზადება.**

საფეიქრო ფაბრ. ნახიჩ. მხარეში

ბაქო, 1 აპრილი. **აზ. უმაღ. ეკ. საბჭო შეუდგა ნახიჩევანის მხარეში საფეიქრო ფაბრიკის აშენების პროექტის შემუშავებას**

პროლეტარული მწერლობა

ბაქო, 1 აპრილი. **ბაქოში მოეწყო პროლ. მწერალთა სრ. საკავშირო ასოციაციის განყოფილება.** დადგენილი იქნა, კავშირი დაიჭირონ პროლ. მწერალთა და პოეტთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და აგრეთვე მოითხოვონ მწერალთა და პოეტთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

მაისის ბოლოს შესდგება აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, რომელზედაც მოწვეულ იქნებიან სხვა თურქ-თათართა ქვეყნების ლიტერატ. ორგანიზაციების წარმომადგენლნიც.

რემედასის პირველი ყრილობა

ბაქო, 1 აპრილი. გაიხსნა „რემედასის" პირველი ყრილობა აზერბეიჯანში. დღის წესრიგშია: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. საანგარიშო და სავარაუდო მოხსენებანი რემედასის დროებითი ცეკასი და არჩევნები.

ყრილობაში მონაწილეობას იღებს 250 დელეგატი. აქედან 42 არის მაზრიდან.

ყრილობა გახსნა ცეკას თავმჯდომარემ ამხ. ტაუტიევმა, მან აღნიშნა რემედასის მნიშვნელობა კაპიტალისტურ მსოფლიოში, კლასიურ ბრძოლის გამწვავების დროს.

მომხსენებელი ამბობს: „ყოველდღე ვიღებთ ახალ-ახალ ცნობებს, თუ რა დევნასა და წამებას აყენებენ მსოფლიო რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

„აზერბეიჯანის ორგანიზაციაში ითვლება 52,000 წევრი, მათ წინაშე ამოცანათ სდგას არა მარტო წამებულ მებრძოლთა დახმარება, არამედ ისიც, რომ მშრომელთა მასსებიდან შექმნან ახალი რაზმები ლენინიზმის, რემედასის და კომინტერნის დროშის ქვეშ. ამ რაზმებმა უნდა იბრძოლონ მსოფლიოს ოქტომბრისთვის და ყველა მშრომელთა გასანთავისუფლებლად".

ყრილობამ პატივი სცა რევოლიუციისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას, პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეულ არიან: ამხ. სტალინი, ლეპეშინსკი, კლარა ცეტკინი, აღამალი-ოღლი, კიროვი, რაკოში და ლუნაჩარსკი.

ყრილობამ მიიღო მისალმება რემედასის ცეკადან. მოსმენილ იქნა მისალმებანი აზცაკიდან, უნგრეთის პოლიტემიგრანტ ამხ. ტერეკასი და მრავალი სხვა.

ყრილობამ საპასუხო დეპეშა გაუგზავნა რემედასის ცეკას.

ბაქო, 1 აპრილი. დროებითი ცეკას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელ დროს ორგანიზაცია ძლიერ გაზრდილა.

დღეს „რემედას"-ში ითვლება 19.000 წევრი, აქედან 17.000 წევრი მოდის განაპირა რაიონებზე. „რემედასი"-ს წევრების 47 პროც. მუშებია, 12 პრ.—გლეხები, 31 პროც.—მოსამსახურენი და 10 პროც. მოსწავლე ახალგაზრდობა. „რემედასი"-ს წევრთა უმრავლესობა უპარტიოებია. საანგარიშო დროს ჩატარებულია 6 საპროტესტო მიტინგი თეთრი ტერორის წინააღმდეგ. კაპიტალისტების ციხეებში მყოფ რევოლიუციონერებთან კავშირი თანდათან მყარდება. ორგანიზაციამ ამ ხანში მიიღო 8 წერილი. მათ გაეგზავნათ 2.000 მანეთი.

საანგარიშო დროში „რემედასი"-ს სალაროში შემოვიდა 81.000 მანეთი, აქედან 48.000 მან. გადაეგზავნა „რემედასი"-ს ცეკას.

ცეკას მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

პარტიული ცხოვრება

ამხ. კარპოვის ხსოვნას

30 მარტს ულმობელმა სიკვდილმა კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებს მოულოდნელად გამოაცალა საუკეთესო ამხანაგი ანდრო. ამხანაგი ანდრო პატარაობიდანვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. როგორც პროლეტარ რკინისგზელის შვილი, ის მთელს თავის ნორჩ ძალას და ენერგიას დაუზოგავად სწირავდა ახალგაზრდა რკინისგზელთა შეკავშირების და აღზრდის საქმეს. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა შევიდა კომპარტიის რიგებში, სადაც ის თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა სარკინისგზო ტრანსპორტში. როგორც პარტიის და რკინისგზელთა კავშირის სამაგალითო მუშაკი, ის განსაცვიფრებელი დახელოვნებით ახორციელებდა პარტიის მჭიდრო კავშირს მასასთან. ის უყვარდათ, მას პატივსცემდენ სარკინისგზო ტრანსპორტის ყველა პატიოსანი მუშაკები. ასეთივე პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მან მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაკებს შორისაც. შემდეგში ის გაგზავნილ იქნა სამუშაოდ ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, სადაც მან სავსებით გაამართლა პარტიის და პროფკავშირის ყველა იმედები.

მიუხედავათ იმისა, რომ ის შეპყრობილი იყო დაუძლეველი სენით—ჭლექით, რომელიც მას დღითი-დღე ძალ-ღონეს ხრთმევდა, ის ყოველთვის იმყოფებოდა თავისი უჯრედის პირველ რიგებში და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

დაგვეკარგე ამხ. ანდრო, მაგრამ გჯეროდეს, რომ შენი დატოვებული საქმე შენივე ამხანაგების სამედო ხელშია. შენი ხსოვნა კი სამუდამოდ დარჩება შენი ამხანაგების გულში.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომუჯრედის ბიურო.

უჯრედთა ბიუროების მომავალი არჩევნების გამო

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტ. პლენუმმა დაადგინა აპრილის განმავლობაში ჩაატაროს უჯრედთა ბიუროების მორიგი არჩევნები. მომავალ არჩევნებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელიც ჩვენს წინაშეა დასმული და ამიტომ უჯრედები სერიოზულად და საქმიანად უნდა მიუდგენ ამ კამპანიის ჩატარებას.

მოსახლეობის ყველა ფენების და კერძოდ მუშათა კლასის აქტივობის შეუჩერებელი ზრდა ჩვენ გვავალებს მაქსიმალურად და სასარგებლოდ გამოვიყენოთ ეს აქტივობა და მივმართოთ ის სწორ საზოგადოებრივ-პარტიულ კალაპოტით.

უდავოა, რომ ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა და გაფართოვდა აქტივი, გაიზარდა უჯრედებში პარტიულ მასების აქტივობა და თვითმოქმედება. მეორე მხრით, ამჟამად მუშათა კლასის და მთელი ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ერთგვარი დაბრკოლებები სახალხო მეურნეობის და პირველ ყოვლისა მრეწველობის შემდეგი აღორძინების საქმეში. საჭიროა პარტიული ორგანიზაციის და მთელი მუშათა კლასის რიგების რკინისებური გამძლეობა და ფოლადისებური შემჭიდროება რომ სწრაფად დავძლიოთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი სიძნელენი. პირველ ყოვლისა საჭიროა მთელი კამპანია ჩავატაროთ გაწეულ მუშაობის თვითშემოწმების ლოზუნგს ქვეშ, აღნიშნულ იქნეს საანგარიშო მოხსენებაში როგორც მიღწევები, ისე ნაკლულევანებანი, რომელთაც უსათუოდ ადგილი ჰქონდა განვლილ პერიოდში, მომხსენებლებმა თავისი მოხსენებები ისე უნდა შეადგინონ, რომ მათში გაშუქებული იქნენ ჩვენი ყოველდღიური პარტიული მუშაობის ყველა მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც ცოცხალ გამოძახილს და ინტერესს იწვევენ პარტიის წევრთა ფართო ფენებში.

საჭიროა აგრეთვე თავიდან იქნეს აცილებული „კაზიონური" ფრაზები, როცა მომხსენებელი აცხადებს, რომ ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი საუცხოვოდ კეთდებაო. მუშაობის ნაკლზე მითითების დროს საჭიროა მაშინვე აღნიშნულ იქნეს მისი მიზეზი, ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი გარემოებანი, მითითებული უნდა იქნეს პრაქტიკულ გზებზე, რომლითაც მათი აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება მომავალში.

საჭიროა აგრეთვე მოხსენებაში შეჩერება პარტიის თანამედროვე ამოცანებზე, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე და ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულების მუშაობაზე. საბჭოთა დაწესებულებებში მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველ აპარატის გაუმჯობესებას, ბრძოლას მომჭირნეობისათვის და ადმინისტრაციასთან სწორი ურთიერთობის დამყარებას და სხვ.

რადგან ჩვენი ამოცანაა მოხსენების განხილვაში ფართო პარტიული მასის ჩაბმა, სასურველია რომელიმე ხელმძღვანელ ორგანიზაციის (კომკავშირის უჯრედის ბიურო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის და ადგილკომის ფრაქციის, საწარმოო თათბირის) ან წარმოების ხელმძღვანელის — პარტიულის მხრივ თანამოხსენების გაკეთება, რომელშიაც რასაკვირველია აღნიშნული უნდა იქნეს წარმოების ყველა ორგანიზაციების და კომისიების ხელმძღვანელობის საკითხები.

არჩევის და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის ფრთხილად განხილვის და გადაუხვევლად გატარების ნიადაგზე ახალ ბიუროში შერჩეული უნდა იქნენ ისეთ ამხანაგები, უჯრედის პრაქტიკულ მუშაობაში და რომელნიც უზრუნველყოფენ სწორ პარტიულ ხელმძღვანელობას.

პარტიის ამ ახალ ძალების წამოყენების და ბიუროების განახლების დროს, არ უნდა მოხდეს მეორე უკიდურესობაში გადავარდნა, საჭიროა დაცულ იქნეს ერთგვარი მემკვიდრეობა ბიუროს მუშაობაში, ბიუროებში დატოვებული უნდა იქნენ ის ამხანაგები, რომელთაც გამოიჩინეს მუშაობის უნარი. უჯრედებმა წინასწარ უნდა გაითვალისწინონ ყველა ეს საკითხები და ემზადონ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

შ. პ.

შორაპნის სამაზრო პარტკომის პლენუმი

28 მარტს შესდგა შორაპნის სამაზრო პარტკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც უჯრედების მდივნებიც დაესწრენ. პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ ეხლა-ხან ჩატარებულ საბჭოთა არჩევნებში. გამოირკვა, რომ მაზრაში პარტიის ხაზი არჩევნების დროს სწორედ ტარდებოდა. არჩევნების დროს გამოირკვა, რომ პარტიის უჯრედები სოფლად, უპარტიო გლეხებში საკმაო ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ქალთა განყოფილების მუშაობის ანგარიში.

ანგარიშიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში სამაზრო პარტკომისა და რაიკომების ხელმძღვანელობა გაძლიერდა, რამაც შესაფერისი ნაყოფი გამოიღო: ქალთა შორის მუშაობა მთელ მაზრაში საგრძნობლად გაცხოველდა. მართალია, ამ მუშაობას მაზრაში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება, განსაკუთრებით ქალთა ჩამორჩენილობა, ოჯახური კარჩაკეტილობა და სხვა, მაგრამ მიუხედავათ ამისა თანდათანობით მშრომელ ქალთა ახალ-ახალი ფენები ებმებიან ორგანიზაციებში. პლენუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ქალთა შორის მუშაობის კიდევ მეტად გასაცხოველებლათ და გასაღრმავებლათ.

დასასრულ პლენუმმა განიხილა პარტკომის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი ექვს თვიანი სამუშაო გეგმა.

ივ. კუ—ძე.

ჩვენი საქმიანობა

(№ ლეგ. მე-2-ე კომუჯრედი)

ჩვენ უჯრედს, პირველ ყოვლისა, სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა მუშაობის დაწყება ახალ წვეულებში, განმტკიცება მათში დისციპლინის, შესწავლა თვითეული წითელი არმიელის და მისი ჩაბმა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე მტკიცე კავშირის გაბმა სამოქალაქო ორგანიზაციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედს საგრძნობი მიღწევები აქვს ამ მიმართულებით. უჯრედმა თავიდანვე ალლო აუღო ჯარში მუშაობის ძირითად ამოცანებს, მტკიცედ დაუკავშირდა უპარტიო წითელ არმიელებს, გადაიტანა მასში მუშაობის მთავარი ცენტრი. ლენკუთხესთან შექმნილია: წითელი არმიის და ა. ლ. კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები. არის აგრეთვე სხვა წრეებიც. მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს. ამას გარდა, შექმნილია სხვადასხვა ბირთვები და დროც საუკეთესოდ არის განაწილებული. წითელ არმიელს ეძლევა საშუალება დაესწროს სხვადასხვა ბირთვის მეცადინეობას. კლუბთან შექმნილია დრამწრე და ლიტწრე, რომელიც ატარებს წარმოდგენებს და გასამართლებებს, სადაც უპარტიო წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

უჯრედმა შესძლო ყოველკვირეული კედლის გაზეთის გამოშვება, რომელშიაც თანამშრომლობს წითელ არმიელთა ფართო მასა. კედლის გაზეთთან არსებობს ძლიერი სამხედროთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგები და აწარმოებს სისტემატიურ მეცადინეობას.

ჩვენს უჯრედთან არსებობს პარტსკოლა, რომელშიც 40 მოწაფე წითელ-არმიელებია, როგორც პარტიული ისე უპარტიო.

უჯრედმა შესძლო მტკიცე კავშირის გაბმა სამოქალაქო ორგანიზაციასთან. კავშირი აქვს როგორც საწარმოო ისე სოფლის კომუჯრედთან, სადაც გზავნის მომზადებულ წარმომადგენლებს და აცნობს ჩვენი წითელი ჯარის ორგანიზაციას და ტერსისტემის მნიშვნელობას. უჯრედს შეფად ყავს აყვანილი ტროცკის სახელობის ბავშვთა კოლექტივი, რომელსაც უწევს დახმარებას.

მ. ჭყონია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ლიის თემკომის საქმიანობა

(ზუგდიდის მაზრა)

დ. ლიის ა. ლ. კ. კ. თემკომი აერთიანებს სამ უჯრედს, რომლებშიაც ითვლება 27 წევრი და კანდიდატი. ორგანიზაციული მუშაობა თავის დონეზე არ იყო დაყენებული თემკომის დაარსებიდან. თემკომის დაარსების შემდეგ გამოცოცხლდა უჯრედის მუშაობა. გამოყოფილია ქალთა შორის, პიონერთა შორის და მოჯამაგირეთა შორის მომუშავე ამხანაგები; ქალთა შორის მუშაობა ამ ბოლო ხანებში ძალიან გამოსწორდა დ. ლიის თემკომში შემავალ უჯრედებში. წინად მხოლოდ ორი ქალიშვილი ირიცხებოდა, დღეს კი 13 ქალიშვილია. კომკავშირელებს უპარტიო ახალგაზრდებთან კარგი კავშირი აქვთ, რაც გამოიხატება შემდეგში: ხშირ-ხშირად იმართება გაერთიანებული კრებები, არის დაარსებული კომკავშირის და უპარტიო ახალგაზრდების გაერთიანებული ლიტერატურული წრე. დრამწრეები და სხვა. არ არის ისეთი კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრ., რომლებიც ჩაბმული არ იყვნენ წრეებში. გვაქვს 3 პოლიტმკითხველტიას შორის კარგი დამოკიდებულებაა. არის კავშირის წევრები; კომკავშირს და კომპარტიის შორის კარგი დამოკიდებულობაა. არის გამოყოფილი კ. პ. წევრი, რომელიც სისტემატიურად ესწრება კომკავშირის კრებებს. კომკავშირის უჯრედებიდან არის გამოყოფილი ამხანაგები, რომლებიც ესწრებიან კ. პ. კრებებს. ყურადღება უნდა მიექცეს წევრებში „ახალგაზრდა კომუნისტის" გავრცელებას.

მიხ. ჯალაღანია.

ეკონომიური ცხოვრება

ს. მ. უ. საბჭოში

გეოლოგიური გამოკვლევანი.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა გეოლოგიური სამუშაოებისა, რომლებიც შესრულებული უნდა იქნეს მიმდინარე წელში.

გეოლოგიური გამოკვლევების საწარმოებლად გადადებულია 40.000 მანეთი.

აბხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის გამოკვლევა.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გამოკვლეული იქნეს აბხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მრეწველობა.

გამოკვლევის საწარმოებლად გადადებულია საჭირო თანხები.

ტყავის ტრესტის პროგრამა.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს წინაშე, რათა უცვლელად იქნეს დატოვებული საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტის პროგრამა.

პრეზიდიუმი შუამდგომლობას ასაბუთებს იმით, რომ საქართველოში არის ნედლი მასალის საკმაო რაოდენობა და საჭირო არ იქნება მისი შემოტანა საზღვარგარეთიდან.

მეტრიულ სისტემაზე გადასვლა.

ს. მ. უ. საბჭოს ტრესტებში ამჟამად წინასწარი მუშაობა სწარმოებს მეტრიულ სისტემაზე უმტკივნეულოდ გადასასვლელად.

ცემენტის ქარხანა.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, განზრახულია საქართველოში გაიხსნას ცემენტის ქარხანა. ამჟამად მუშავდება ქარხნის პროექტი.

ქარხნის მოსაწყობად გადადებულია 10.000 მანეთი.

თამბაქოს საცდელ-საჩვენებელი პლანტაცია.

ფოთლოვანი თამბაქოს თვითღირებულების გამორკვევის და აგრეთვე თამბაქოს კულტურის გაუმჯობესების მიზნით, ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო თამბაქოს ტრესტს სამეურნეო წესით მოაწყოს ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს საცდელ-საჩვენებელი პლანტაცია 10 დესეტინაზე, რისთვისაც უნდა დაიხარჯოს არა უმეტეს 12.000 მანეთისა.

აჭარისტანის მრეწველობა

თებერვლის თვის განმავლობაში აჭარისტანის სამრეწველო წარმოებათა ნაყოფიერებას გამოხატავს შემდეგი ციფრები:

აჭარისტანის ვაჭრ. გ. მრეწველობის სამმართველოს თუჯის ჩამომსხმელმა ქარხანამ დაამზადა (ჩამოასხა) თებერვლის განმავლობაში 8.587 კილო თუჯი და 562 კილო სპილენძი, რომლელთა ღირებულება 8.600 მანეთს უდრის.

ბიდონის ქარხანამ დაამზადა ამავე ხნის განმავლობაში 62.200 ცალი სანავთე ბიდონი.

თუნუქის ქარხანამ დაამზადა 2.478 ფუთი სხვადასხვა თუნუქოვანი ნაწარმოები,—რომლის ღირებულება 26 ათას მანეთს უდრის.

ფანერის ქარხანამ გააკეთა 2.300 მანეთის სხვადასხვა ზომის ყუთი ხილეულობის ჩასალაგებლად და ამავე დროს დახერხა 5.364 ხე-ტყე.

ქიმიურმა ქარხანამ დაამუშავა 61 ტონა (დაახლოებით 3.750 ფუთი) ოხრა, 113 ტონა ბარიტი, სულ 35.944 მან. ქიმიური ნაწარმოები.

არაყის ქარხანამ დაამუშავა 18.600 გრადუსი ჭაჭის სპირტი—9.300 მანეთის ღირებულებისა; თამბაქოს ფაბრიკამ დაამუშავა 12 მილიონი ცალი პაპიროსიდ 1.186 გირვანქა თამბაქო —სულ 73.500 მანეთის თამბაქოს ნაწარმოები. ტყავის ქარხნებმა გადაამუშავეს 1.085 მსხვილი და 472 წვრილი ტყავი—სულ 59.500 მანეთის ნაწარმოები.

ყველა წარმოებებში პროგრამა შესრულებულ იქნა 100%-ით.

ალებ-მიცემობის ბრუნვა თებერვალში

(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან)

საანგარიშო თვეში ექსპორტის ღირებულება უდრის 3,2 მილ. მან., იმპორტის—7,9 მილ. მანეთს. საერთო ბრუნვა უდრის 11,1 მილ. მან.

იანვართან შედარებით ჩვენი ალებ-მიცემობა მცირდება. განსაკუთრებით მცირდება ექსპორტი (36,1 პროც.).

თებერვლის ექსპორტი უდრის 3254,8 ათ. მან., იმპორტი 7865,5 ათ. მან.,—საერთო ბრუნვა უდრის—11.120,3 ა. მან., გატანილ საგნებს შორის თავისი ღირებულებით პირველი ადგილი უკავია შავ-ქვას—941,2 ათ. მან., ღვინოს მეორე—651,8 ათ. მან., შემდეგ სპირტეულს—401 ათ. მან.,ნედლ ხილს —390,0 ათ. მან., კაკალსა და თხილს— 247,4 ათ. მან. და ბამბას—209,8 ათ. მან.

საანგარიშო თვეში გატანილია (ათას ფუთობით) შავი-ქვა—2091,6, ღვინო—76,7, ნედლი ხილი—78,0, კაკალი და თხილი— 38,1, სპირტი და სპირტეული სასმ.—8,3, აბრეშუმის პარკი—0,68, ბამბა—10,36 და სულ—244,6.

ყველაზე მეტად გაიზარდა ბამბის გატანა (250 პროცენტით). დანარჩენ საგნების კი შემცირდა, განსაკუთრებით შემცირებულია აბრეშუმის პარკის გატანა (61,4 პროც.).

შემოტანილ საგნებიდან თავის ღირებულებით პირველი ადგილი უკავია ხორბალს —2,3 მილ. მან., შემდეგ შაქარს—1.9 მილ. მან., ფართალს—1,7 მილ. მან. და სხვ.

შემოტანილია საანგარიშო თვეში: ფქვილი—684,9 ათ. ფუთი, ფართალი—23,6 ათ. ფ., შაქარი—171,8 ათ. ფ., ნავთი და ნავთის ნაწარ.—401,5 ათ. ფ., მარილი—143,2 ათ. ფ., რკ. თუჯი და ფოლ. დაუმ.—29,1 ათ. ფ., სიმინდი—114,7. ფქვილის შემოტანა მატულობს 1,5 პროც., მარილის—18,4 პროც., სიმინდის—42 პროც. დანარჩენ საგნების კი მცირდება.

საიმპორტო საგნების გეგმიანი შემოტანა შემდეგ ნაირად შესრულდა საანგარიშო თვეში: ხორბლეული—171,7 პროც., ბამბეულის ქსოვილი—100,0 პროც., შაქარი— 133,8 პროც., სილიკატი—63,2 პროც., კალოშები (ათ. წყვ.)—43,3 პროც., ასანთი— 87,5 პროც., ქაღალდი—89,7 პროც., მარილი—150 პროც., ლითონი—6-ან 41,3 პროც. და ნავთი—59,4 პროც.

100 პროცენტათ შესრულებულია ბამბეული ქსოვილის შემოტანა, ხოლო გადაჭარბებით პურეული (71,7 პროც.), მარილი (50 პროც.) და შაქარი (33,8 პროც.). დანარჩენი საგნების შემოტანა გეგმაზე მცირე რაოდენობით არის შემოტანილი.

წინა თვესთან შედარებით მხოლოდ ორი საგნის შემოტანა ვერ შესრულდა. იანვარში ათი საგნიდან ოთხის მიმართ ვერ შესრულდა გეგმა, თებერვალში კი ათ საგნიდან ექვსის მიმართ არ არის შესრულებული შემოტანა.

ამნაირად, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საერთო შემცირებასთან ერთად, საანგარიშო თვეში მთავარ საიმპორტო საგნების გეგმის შესრულება უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელია ვიდრე იანვარში.

სასოფლო მეურნეობა

მიწის მუშაკთა პირველი ყრილობა

ამ ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მაზრების სამ-სამი აგრონომი, მიწათმოწყობის გამგეები და აღმასკომის თავმჯდომარეები. ყრილობა განიხილავს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირითად საკითხებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ 1923 წლის აგრონომიულ ყრილობის შემდეგ ასეთი ყრილობა არ მომხდარა. ცხოვრებამ კი ამ ხნის განმავლობაში ბევრი საკითხი წამოაყენა გლეხის მეურნეობის ირგვლივ.

ყრილობა გაუკეთებს ჯამს სოფლის მეურნეობაში მიღწეულ შედეგებს. გამოიყენებს ადგილების გამოცოცხლებას, ასახავს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობას და მომავალისათვის განვითარების გეგმას.

ყრილობა დაახასიათებს, თუ როგორია დღეს ჩვენი რესპუბლიკის აგრონომიული ორგანიზაცია, მისი დაწესებულებები, უჯრედები და დამხმარე ორგანოები. რანაირი პირობებში უხდებათ მუშაობა რაიონულ აგრონომებს. აღინიშნება აგრეთვე რა მიღწევებია ალაგობრივ და რა ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი, რომ აგრო-ორგანიზაციული პირობები არ აფერხებდენ აგრონომის ძირითად მისწრაფებას, აგრო-წარმოებას.

ყრილობა ალბათ განმარტავს, თუ როგორი აგრონომის ტიპი ესაჭიროება დღევანდელ ახალ სოფელს. რევოლიუციამ შესცვალა წინანდელი, ეროვნის დროინდელი, აგრო-პროგრამული მუშაობა. ჩვენი სოფლის მეურნეობა ამ გზით შორს არ წასულა. როგორც იდეა მისი, ისე ორგანიზაციული ფორმა შეუფარდებელი იყო გლეხის წვრილ მეურნეობის ინტერესებთან. დღეს შექმნილია ისეთი პირობები, როდესაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია დიდი ნაბიჯით მიდის წინ. აქ, რა თქმა უნდა, აგრონომი უნდა გახდეს გამტარებელი კოლექტიური ფორმებისა.

სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვენ სოფლის მეურნეობის მთელი სისტემის ძირითად გარდაქმნას, რისთვისაც ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება, უპირველეს ყოვლისა, აგრონომი-ორგანიზატორი, აგრონომი-ტეხნიკი და აგრონომი-სპეციალისტი, რომელსაც სოფლის მეურნეობის განსაზღვრული დარგი ზედმიწევნით აქვს შესწავლილი. აგრონომი სოფლად მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული საბჭოთა საზოგადოებრივობასთან და აქტიური მონაწილე გახდეს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენმა აგრონომიამ უნდა თავის თავზე აიღოს შექმნა ტიპიურ რაიონებში სამაგალითო მეურნეობების, ეზოების, გლეხის ოჯახების.

ყრილობაზე სათანადო ყურადღება დაეთმობა სას.-სამ. კოოპერაციასაც. ეს ორგანიზაცია ჯერ ნორჩია ჩვენში. მას სულ სამი წლის ისტორიაც არა აქვს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აგრონომიული ორგანიზაცია დახმარებას უწევს მევენახეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მეთამბაქოებას, ნარინჯოვანს და სხვას.

არ არის არც ერთი დარგი კოოპერატიულათ გაერთიანებული მეურნეობისა გარდა მეთამბაქოებისა, სადაც მას არ მოემზადებიოს გლეხმეურნეთა კადრი და არ დაეარსებიოს ამ მომზადებული გლეხებისაგან გლეხ - ორგანიზატორთა (ასისტენტთა) წრეები.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სრულიად საქართველოს მიწის მუშაკთა პირველი ყრილობა ამომწურავ პასუხს გასცემს ჩვენი სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს და ამნაირათ ხელს შეუწყობს სოფლის ეკონომიურათ დაწინაურებას.

აგრ. ევ. გოგოლაძე.

ამიერ-კავ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ადგილზე უკვე თავდება პავილიონების (გამოფენის შენობების) აგება.

გამოფენის ადგილზე (დიდუბეში) გაყვანილია დასამხარი გზები და ბილიკები. იქვე ეწყობა ელექტრონის სადგური, რომელიც მისცემს სინათლეს გამოფენის ადგილს და ამავე დროს იგივე სადგური წარმოდგენილი იქნება, როგორც სოფლის მეურნეობაში გამოსადეგი საშუალო ელექტრონის სადგური. ამ სადგურს აწყობს შვეციის ფირმა „ატლას დიზელი".

მომავალ კვირიდან შეუდგებიან გამოფენის ადგილის გამშვენიერებას და კეთილმოწყობას. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურად ახალ-ახალი განცხადებები შემოდის უცხოეთის ფირმებისაგან გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ. უკვე იმდენი წინადადება არის შემოსული, რომ აჭარბებს გეგმით გათვალისწინებული რიცხვს. ამის გამო გამოფენის კომიტეტს განზრახვა აქვს გააფართოვოს გამოფენის მოსაწყობი მოედანი, რისთვისაც საჭირო იქნება ახალი შენობების აგება. სხვათა შორის, გამოფენაზე ტრაქტორების გამოცდის დროს წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის რამდენიმე ფირმის ტრაქტორები.

ვაზის სანერგეები

მიმდინარე წელს განზრახულია ამერიკული ვაზის ყველა სანერგეების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება. გაერთიანებული ორგანიზაცია დაექვემდებარება საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებენ გაერთიანებული სანერგეები. მყნობის გასაფართოებლად განზრახულია აგრეთვე რიხტერის ახალი სათბურების აგება შემდეგ სადგურებში: ვაზის უბანში, ჩუმლაყის, კონდოლის, მუკუზანის და ჭრებალოს სანერგეებში.

კრედიტები სოფლის მეურნეობას

რამდენი მიეცემა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს სესხად დაურიგოს 785.700 მანეთი.

ცალკე რესპუბლიკებს შორის ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცემა— 416.000 მანეთი, აზერბეიჯანის ბანკს— 179.000 მანეთი, სომხეთის ბანკს—110.500 მანეთი, აფხაზეთის ბანკს—53.600 მანეთი და [illegible] ბანკს—25.900 მანეთი.

კრედიტები ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით დაურიგდებათ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, კომუნებს და გლეხებს.

კრედიტები რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების აქციების საყიდლათ

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დადგენილება 27.500 მანეთის განაწილების შესახებ.

ეს თანხა უნდა მოხმარდეს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითადი კაპიტალის გადიდებას. აღნიშნული თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის აქციების საყიდლათ გადადებულია 11.000 მანეთი, აზერბეიჯანის ბანკის აქციების საყიდლათ—10.000 მანეთი და სომხეთის ბანკის—6.500 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

ყოფილ მენშევიკების კრება

ფოთი, 1 აპრილი. შესდგა ყოფილ მენშევიკების კრება. საზღვარგარეთ მყოფ ქართული ემიგრაციის შესახებ მოხსენება გააკეთეს **ჟღლაძემ და კუპრაშვილმა.**

მომხსენებლები ამომწურავ პასუხს აძლევდენ ყველა შეკითხვებზე.

საბჭოების სამაზრო ყრილობა

მესტია, 1 აპრილი. დაიხურა საბჭოების სამაზრო ყრილობა. სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **დვალმა**, რომელმაც აღნიშნა მნიშვნელოვანი მიღწევები გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების სფეროში. **ყრილობამ სამაზრო აღმასკომის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.**

არჩეულ იქნა აღმასრულ. კომიტ. 13 წევრის და 4 კანდიდატის შემადგენლობით.

ჯვარი — მესტიას გზატკეცილი

ლახამულა, 1 აპრილი. მთელ რიგ თემების მცხოვრებთა კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები, იმუშაონ უფასოდ ჯვარი — მესტიას გზატკეცილის გაყვანაზე.

კოოპერატივი

ლახამულა, 1 აპრილი. გაიხსნა **სამაზრო კოოპერატივის „უშბას" განყოფილება.**

მოსახლეობა ამ ამბავს აღტაცებით შეხვდა.

ქალაქის საბჭოს არჩევნები

ქუთაისი, 1 აპრილი. **დამთავრდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები.** არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 44.28 პროცენტმა. საბჭოში არჩეულია 170 დელეგატი, მათ შორის 15 ქალი.

ქუთაისის სამაზრო არჩევნების შედეგები

ქუთაისი, 1 აპრილი. ქუთაისის მაზრაში 47 თემის საბჭოებში არჩეულია 2.402 წევრი, აქედან 162 ქალი.

საბჭოს წევრთა რიცხვში პარტიულია 477 კაცი. სამაზრო საბჭოს არჩევნებზე ყველა 47 თემიდან არჩეულია 251 დელეგატი, აქედან 22 ქალი.

აჭარისტანი

ჭაობების ამოშრობა

ბათომი, 1 აპრილი. **დაიწყო მუშაობა ნატანების რაიონის ჭაობების დასაშრობად, რომლის მიდამოც უდრის 4.000 დესიატინას.**

დახმარება სახალხო მამულს

ბათომი, 1 აპრილი. საზ. „საქართველოს ჩაიმ" ჩაქვის სახალხო მამულს მისცა სესხის სახით 100.000 მან. საგაზაფხულო მუშაობისათვის.

ტრაქტორით მოხვნა

ბათომი, 1 აპრილი. ქობულეთის საკრ. ამხანაგობა შეუდგა მინდვრის მუშაობას. **ხნავენ ტრაქტორით.** ეს პირველი მაგალითია აჭარისტანში ტრაქტორით მოხვნისა.

ა/კ. რკ. გზათა სახელოსნოების შეკეთება

ბათომი, 1 აპრილი. **დაიწყო სამშენებლო მუშაობა ბათომის უბნის რკ. გზის კვანძზე.** სწარმოებს შეკეთება ყველა სახელოსნოებისა და შენობებისა; ამ საჭიროებისათვის გაცემულია 22.000 მან.

ინფლუენცა

ბათომი, 1 აპრილი. ბათომში და მის მაზრაში გახშირდა ინფლუენცათი ავადმყოფობა.

განახლებული თემსაბჭოების ამოცანები

თემსაბჭოების უკანასკნელი არჩევნები დამთავრდა. საბჭოს არჩევნების შედეგმა 99 პროცენტით გაამართლა ის ხაზი, რომელიც ჰქონდა აღებული, კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. გლეხობის აქტივობა, იმდენად გაიზარდა, რომ საარჩევნო კრებებს ზოგიერთ ადგილას ამომრჩეველთა 80—90 პროც. ესწრებოდა. გლეხობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საბჭოს კანდიდატების შერჩევაში და სოფლის კეთილდღეობის საკითხების გაშუქებაში. თუ გადავავლებთ თვალს იმ განაწესებს, რომელთაც იმუშავებდა სათემო ყრილობები და აძლევდა თემ საბჭოებს მომავალი მუშაობისათვის, დავრწმუნდებით, რომ გლეხობა საქმით დიდათ იყო დაინტერესებული. განაწესებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თემსაბჭოებმა გან- მიაქციონ სკოლების, ხიდ-ბოგირე- საკუთრებული ყურადღება უნდა ბის და გზების შეკეთებას. მათ დაევალათ აგრეთვე ყურადღებით მოეკიდონ გლეხკომებისა და კოოპერატივების მუშაობის გაჯანსაღებას. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამ დავალებების შესრულებას სჭირდება დიდი ენერგია და ხარჯები.

სათემო საბჭოებმა და აღმასკომებმა უნდა დასძმონ თავის ძალები და ენერგია, რომ პირნათლად შესრულონ ამომრჩეველთა დავალებანი. დღეს, სოფლის მშრომელი ინტელიგენცია სდგას საბჭოთა პლატფორმაზე და დარწმუნებულიც არის, რომ საბჭოების საშუალებით შეიძლება სოფლის მეურნეობის აყვავება და გლეხების კულტურულად ამაღლება. სათემო საბჭოებმა და აღმასკომებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რათა მთელი სოფლის ინტელიგენცია ჩააბას საბჭოს მუშაობაში. განაწესებში აღნიშნულ დავალებათა შესასრულებლად თემსაბჭოებს დიდი თანხები დასჭირდებათ. ცხადია, იმ ბიუჯეტით, რომელიც აქვთ დღეს მათ, ისინი დავალებათა 10—15 პროცენტსაც ვერ შეასრულებენ. თემსაბჭოებმა უნდა გამონახონ თანხები დავალებათა შესასრულებლად. ამ თანხების გამონახვა კი უმეტეს შემთხვევაში თვითდაბეგვრით შეიძლება. გლეხობის აქტივობის ზრდასთან ერთად, მასში ის შეგნებაც გაიზარდა, რომ სოფელი უფრო კარგად და კულტურულად უნდა მოეწყოს. გლეხებმა ისიც იციან, რომ ყველა ამ საქმეს სჭირდება ფულები, და უნდა ითქვას, ის ფულებს არ ზოგავს. ეს ნათლად გამოირკვა სასოფლო კრებებზე და საბჭოების სხდომებზე. გლეხობა ხშირად უკმაყოფილებასაც კი გამოსთქვამდა იმის გამო, რომ თემსაბჭოები ვერ იჩენენ შესაფერ თაოსნობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ თემსაბჭო და თემაღმასკომი ვერ გაატარებს თვითდაბეგვრას, ვინაიდან დღევანდელი დეკრეტი, რომელიც არსებობს თვითდაბეგვრის შესახებ, არ არის სოფლის სინამდვილესთან შეფარდებული. მაზრაღმასკომებმა და ცენტრმა უნდა შეისწავლონ ყოველმხრივ ეს საკითხი და შემდეგ სოფლის პირობებთან შეფარდებით გამოსცენ შესაფერისი კანონი. ეს გააადვილებს სათემო აღმასკომებს მუშაობას. მაშინ ის უფრო იოლად შესძლებს იმ დიდ საქმის შესრულებას, რომელიც აქვს დავალებული ამომრჩევლების მიერ.

გ. ჩიტალაძე.

აპოლონ ორატორი

(ცაგერი)

8 მარტს, ადგილობრივ 9-წლედის შენობაში ქალთა დღის აღსანიშნავად მოწვეული იყო საზეიმო სხდომა. დარბაზი ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსიც კი ვერსად ჩავარდებოდა. თავმჯდომარემ კრება გახსნილად გამოაცხადა. დაიწყო მისასალმებელი სიტყვები. ყველაფერი ჩინებულათ და პატიოსნად მიდიოდა.

მაგრამ ვერ ისვენებდა ნოეს წვენით ატაცებული აპოლონ ყიფიანი. ადგა, სიტყვა ითხოვა. თავმჯდომარემ უარი ვერ უთხრა. დაიწყო აპოლონმა ბოდვა. ძნელი გამოსაცნობი იყო, ენა ლაპარაკობდა თუ ტვინი. ჯერ ცხონებულ მენშევიკებს შეუკურთხა. ხალხი ამაზე კიდევ ჩუმათ იყო. მაგრამ შემდეგ, როცა მოსდგა თავის თავის ქება-დიდებას; ხალხმა ღვინით გალეშილ ორატორს ყური აღარ ათხოვა და დარბაზში სიცილ-ჩურჩული შეიქნა.

აპოლონი კი განაგრძობდა არხეინათ აბდა-უბდის ჩმახვას. მოთმინებიდან გამოსულ თავმჯდომარემ მორიდებით მიმართა ენამოშვებულ ორატორს „გთხოვთ, საკითხს დაუახლოვდეთ"-ო.

აპოლონს ეს შენიშვნა ძმრათ გადაევლო. ჯერ გინებით გასცა გაგულისებულ ორატორმა პასუხი თავმჯდომარეს: „ტუტუცო და უზრდელო" ვინმე რომ არ იყვე, შენ მაგას როგორ მკადრებდიო, უპასუხა მან თავმჯდომარეს. შემდეგ სიტყვებს საქმეც მოჰყვა, ენას ხელები მოეშველენ და აპოლონ ყიფიანმა შეუტია თავმჯდომარეს.

მართალია ხალხი მაშინვე ჩაერია საქმეში, მაგრამ აპოლონმა იმდენი ხელმარდობა მაინც იხმარა, რომ სამიოდე ლევაში ააფარა სახეზე თავმჯდომარეს. ატირდა ბავშვები, შეიქნა ქალების კივილი და მამაკაცების ჩოჩქოლი. საზეიმო დღე კი არა, კაცს წარღვნის სურათი წარმოუდგებოდა თვალწინ.

შეურაცყოფილი თავმჯდომარე გაშეშებული იდგა და პირში ენას ველარ აბრუნებდა მალე მილიციაც გამოჩნდა და აპოლონ „მკლავაძეს" თავის ბინა მიუჩინეს.

სხვას შეიძლება ასეთი თავხედობა კიდევ ეპატიება, ან უმეცრებათ ჩამოერთმევა, მაგრამ აპოლონ ყიფიანს, როგორც ქართული მუშფაკის მსმენელს, ამგვარი საქციელი არაფრათ შეეფერება. თავის ხულიგნური გამოსვლით მან არევ-დარევა შეიტანა საერთო ზეიმში და დააუხამა ცაგერის მშრომელ მოქალაქეებს საერთაშორისო რევოლიუციონური დღესასწაული.

ფარე.

უნდა დავეხმაროთ

(წითელ ქალაქი).

ამ რამოდენიმე თვის წინად წითელ ქალაქში გადმოიყვანეს ქ. გორიდან საბავშვო სახლი, რომელშიაც უპატრონო 52 ბავშვია.

ბავშვებს სურთ პატარა ბაღის დამუშავება და მოვლა, მაგრამ მათ განკარგულებაში პატარა ნაჭერი მიწა არის. კარგი კი იქნება, რომ აღმასკომი მისცემდეს საბავშვო სახლს მიწას დასამუშავებლად. ამით ორი საქმე გაკეთდება: ბავშვები ისწავლიან მუშაობას და ამასთანავე ბოსტანში მოიყვანენ ხახვს, კომბოსტოს, კარტოფილს და სხვ., რაშიაც თვეში [illegible] მანეთი ეხარჯება სახლს.

ბავშვები კარგად სწავლობენ, მაგრამ მათ არა აქვთ ტანთსაცმელები და თითქმ. ფეხშიშველი, დაგლეჯილ-დაფლეთილებში დადიან. მთელი ზამთარი ამ გაჭირვებაში გაატარეს და ერთხელაც არ ჰქონდათ საშუალება წასულიყვნენ წითელ ქალაქის კლუბში, ვინაიდან მათი ბინა კლუბზე ერთი ვერსით არის დაშორებული. შეფათ ამ სახლს ჰყავს ქართული მე-4 ლეგიონი, რომელიც ვერ უწევს მატერიალურ დახმარებას.

სიკო.

ზომები დროზე უნდა იქნეს მიღებული

(მარნის თემი, სენაკ. მაზ.)

1925 წლის ზაფხულში, ხშირი წვიმების გამო, მარნის თემში მდებარე არხები „ტყემალა" და „რუშა" ადიდდენ, ვინაიდან ზემო ხსენებული არხების რიონთან შესართავი ნაწილი შესწორებული აქვთ, წყალმა იმსხვერპლა 15 წლის ბავშვი. გარდა ადამიანის მსხვერპლისა, წყალმა გაანადგურა რამოდენიმე დესეტინა ნათესები. ასეთი მოვლენა თითქმის ყოველ ზაფხულობით ხდება, რაც მეტად ცუდ პირობებში აყენებს ახლო-მახლო მდებარე სოფლებს. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, შესაძლოა ეს ამბავი წელსაც განმეორდეს.

პ. გოგიშვილი.

დანაშაული არ მიუძღვის

(სურამი)

„კომუნისტი"-ს 36 ნომერში მოთავსებული იყო „ნ. მ"-ს წერილი, რომელშიაც ის ბრალს სდებდა ექიმ აკოფოვს, თითქო ეს უკანასკნელი არ გაჰყვა მას ავადმყოფი დედის სანახავად და, გარდა ამისა, მასთან მყოფი ექიმი უგრეხელიძეც არ გამოუჩინა ავადმყოფს.

ასეთივე განცხადება აღმასკომმაც მიიღო. და დანიშნა კვლევა ძიება. გამოირკვა რომ ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება.

სურამის აღმასკომის თავმჯდომარე
აბრამიშვილი.

ახალი გზა

(ლეჩ ხ. მ.)

იშვიათია ლეჩხუმში ისეთი, კრებები, თათბირები, კონფერენციები და ყრილობები სადაც გზის საკითხი პირველ ადგილს არ იჭერდეს.

მაზრის მცხოვრებნი უგზოობით დიდ სივიწროვეს განიცდიან. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს კითხვა რამოდენიმეჯერ დასვა მთავრობის უმაღლეს ორგანოებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაპირებების გარდა არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ამას წინათ თხუთმეტი სოფლის მცხოვრებლები შეკავშირდნენ და საკუთარი ძალით შეუდგენ ლვირიშის ლელიდან ცაგერის მიმართულებით გზატკეცილის გაყვანას. ეს გზა გადის შუა ლეჩხუმზე.

მეორე თვე არის რაც ყოველდღიურათ 500—700 კაცი მუშაობს ამ გზაზე. დაახლოვებით 6 ვერსი უკვე გაკეთებულია. ხალხი დიდი ხალისით განაგრძობს მუშაობას, მხოლოთ ხელს უშლის, ასაფეთქებელი მასალების და შესაფერი იარაღების უქონლობა. გეგმიანი მუშაობისათვის აუცილებელია ტეხნიკის მეთვალყურეობა. გლეხები შრომას არ იშურებენ, მაგრამ ფულის გაღება მეტის მეტათ უმძიმთ.

რასაკვირველია გლეხების აქტივობას უეჭველათ უნდა გამოეხმაუროს სამაზრო აღმასკომი და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს მასას ამ დიდ საქმის გაკეთებაში.

ჩიბა.

ისტორიული განძი უყურადღებოთ არის.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მრავლად მოიპოვებიან ისტორიული მნიშვნელობის სიძველენი, მონასტრები, კოშკები და გვირაბები. ერთ ასეთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს ატენის (გორის მაზრა) ტაძარი. ტაძარი აშენებულია საქართველოს გაქრისტიანების ხანაში და დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი მის მშვენიერ ნაშენობას. მიწის ძვრის დროს იგი ცოტაოდენი დაზიანდა, ეხლა ტაძარი უყურადღებოთ არის მიტოვებული. ტაძრის კარები ღიაა, და ცუდ ამინდში მეცხვარეები შიგ ჯოგს ერეკებიან ხოლმე, რის გამოც შიგნით დიდ უსუფთაობას აქვს ალაგი. ამას გარდა, აქა იქ ტაძრის კედლებში გამოღებულია ჩუქურთმებიანი ქვები. სახურავის დაზიანების გამო, შიგ ჩამოდის წვიმა და აფუჭებს მხატვრობას. ტაძარს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ ის დაინგრევა.

კოსი.

ყურადღება სალიბაურის სახალხო მამულს

(საქ. სთ. „საქართველოს ჩაი"-ს საყურადღებოთ)

სალიბაურის სახალხო მამული (ყოფ. პოპოვის)—ჩაქვის მამულის შემდეგ—ერთი მნიშვნელოვანი მამულია აჭარისტანში. ეს მამული აჭარისტანის მიწათ-მოქმედ. კომისარიატისათვის გადმოცემამდე ნახევრად ტყეს წარმოადგენდა. სიმართლე უნდა ითქვას, მას დიდი წარმატება დაეტყო პირველ ხანებში. მაშინდელი გამგე ქიქოძე, თავის ძალღონეს და ენერგიას არ ზოგავდა მამულის საქმეების თავის დონეზე დაყენებისათვის.

მაგრამ სამწუხაროდ თავი იჩინა ინტრიგამ, რომლის გამო ქიქოძემ თავი დაანება სამსახურს. მამული ისევ ტყემ მოიცო, საქმეები აიწეწ-დაიწეწა. ეს იყო 23 წლის ივლისში. მას შემდეგ გამოცვლილი იქნა ხუთი გამგე და უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი დათვგურ სამსახურს უწევდა მამულს. ქიქოძე თუმცა—როგორც ადმინისტრატორი მკაცრი იყო, მაგრამ ვერ ნახავთ ვერც ერთ მუშას ისეთს, რომელიც მამულის და საზოგადოებრივ ინტერესებს პირად ანგარიშებზე მაღლა აყენებს—რომ ქიქოძით უკმაყოფილო იყოს, პირიქით, ხშირად გაიგონებთ: „ქიქოძის წასვლით ჩვენც ვიზარალეთ და მამულის საქმეები მთლად უკუღმა წავიდაო".

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ ამ მამულს და გამგედ გამოგზავნიან ისეთ პირს, რომელიც შესძლებს ამ მამულის მოვლას და წარმატების გზაზე დააყენებს.

მუშკორი ვარიანტი.

სახიფათო გზები

(ს. მუხურა, შორ. მ.)

მუხურის თემი ცნობილია მთელ მაზრაში მიწის სიმცირით. გლეხების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემოსავ. წყარო არის შეშის და ხე-ტყის მასალის დამუშავება. მაგრამ ამ მეურნეობას ხელს უშლის უვარგისი გზები, უმთავრესად ეგრედ წოდებული ბარდნელას გზა. წარსულ წელს აღმასკომის თავმჯდომარემ მიაქცია ამ საქმეს სათანადო ყურადღება. მაზრიდანაც გამოგზავნეს გზის დასაგეგმავათ ტეხნიკი. ერთ ხანს მუშაობა კარგათ სწარმოებდა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში სრულებით შეწყდა მუშაობა.

ეს იმითაც აიხსნება, რომ საბჭოში არის მოქცეული იმისთანა პირები, რომელთაც სრულებით შეწყდა მუშაობა. ეს იმითაც აიხსნება, რომ საბჭოში არის მოქცეული იმისთანა პირები, რომელთაც სრულიად არ აინტერესებთ გზის გაკეთება. გლეხები ერთხმად გაიძახიან. [illegible] და ყველანი გამოვალთ გზის სამუშაოთო. ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ბარდნელას გზით ვერც ურემი დადის უშიშრად და ვერც კაცი. ამას წინათ ერთი გლეხი—ბოჭორიშვილი გადმოვარდა ამ გზაზე კლდიდან და სული განუტევა.

ი. ზუიძე.

წერილებიდან

საგარეჯო (გარე-კახეთი).

26 მარტიდან საგარეჯოს თემაღმასკომს ხელმძღვანელობით დაიწყო გზების შეკეთება. ჯერ-ჯერობით კეთდება ბაზრის და თეატრისაკენ მიმავალი გზები. შეკეთება გზების ფუნდამენტალურია, მიუხედავათ ცუდი ამინდისა ხალხი სამუშაოდ ბლომად გამოვიდა. ამ მოკლე ხანში დაიწყება გზების შეკეთება სადგურამდის და იორის ხიდამდე.

გ. გარსიაშვილი.

შენობა არის—ექიმი არაა

(აცანა, გურია)

აცანაში და ახლო-მახლო თემებში არ მოიპოვება არც საექიმო პუნქტი და არც ექიმი. აცანის თემის გლეხკომის მიერ შეძენილი იქნა საექიმო პუნქტისათვის საუკეთესო შენობა. დღესაც ეს შენობა მზად არის საჭიროა მხოლოდ მისი სათანადოთ მოწყობა და ექიმის დანიშვნა. კარგი იქნებოდა რომ, სათანადო ორგანოები გვეგვიწევდენ დახმარებას და დაგვინიშნავდენ ექიმს. მით უმეტეს, რომ მოსახლეობა უექიმოთ დიდ გაჭირვებას განიცდის. დღეს ექიმის მოყვანა ავადმყოფთან ჯდება 15—20 მანეთი, რაიც, რასაკვირველია, არ ძალუძს ღარიბ გლეხობას.

ლ. ქინქლაძე.

ქურდები „ამუშავდენ"

(ჯუმათი, ოზურგეთის მაზრა)

18 მარტს, ღამე ბოროტმოქმედებმა ბუხარი შეანგრიეს და გაძარცვეს ჯუმათის თემის კოოპერატიული სავაჭრო. წაიღეს ოთხასორმოცდაათი მანეთი. (ფული და საქონელი) სწარმოებს კვლევა-ძიება. საერთოდ ამ ბოლო ხანებში მძარცველები „ამუშავდენ" ჯუმათის კოოპერატივზე. ცოტა უფრო ადრე გაძარცულ იქნა ჩოჩხათის თემის სოფ. გულიანის კოოპერატივი და ნინოშვილის თემის მცხოვრების კერძო ვაჭრის მ. ჩხარტიშვილის სავაჭრო. სამივე თემის საგამომძიებლო კომისიები გაერთიანებულათ მუშაობენ. იქვით დაპატიმრებულია ჯუმათის თემის მცხოვრები კ. ჩხარტიშვილი.

ექვ. ურუშაძე.

საყვედური გამოეცხადა

„კომუნისტი"-ს 53 ნომერში მოთავსებული იყო წერილი დიღომის ტყის მცველების შესახებ. აღნიშნულ წერილ. წამოყენებული ბრალდებები არ დადასტურდა. მართალი გამოდგა მოლოდ ის, რომ ტყის მცველს გაუსვრია უმიზეზოთ სანადირო თოფი.

საქმის გამოსარკვევათ დანიშნულმა საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა საყვედური გამოეცხადოს ტყის მცველს ასეთი ქცევისათვის. დანარჩენი ბრალდებანი კი, რომელიც წაყენებული იყო დიღომის ტყის მცველების წინააღმდეგ, როგორც უსაფუძვლო, მოხსნილი იქნა.

მიწათმოქმედების კომ. სატყეო განყოფ. გამგე—ბაქრაძე.

მკითხავი „რახილა"

(ქუთაისი)

ქუთაისში, ჯავარიძის პირველ შესახვევში № 2 სცხოვრობს მკითხავი ვინმე „რახილა". გლეხობა ძალიან ეტანება ამ მატყუარას და ისიც სარგებლობს: ტყავს აძრობს ბნელ და უვიც, ცრუმორწმუნე ხალხს.

ვ. ჯოხაძე.

წნორის-წყალი

(სიღნაღის მაზრა)

წნორის-წყალზე ცნობილ ყოფილ ვაჭრის გიგო ყარალაშვილის სახლის წინ აუარებელი ნეხვი და ნაგავია მოგროვილი. მცხოვრებლები ეხლა მკვდარ ძაღლებსა და კატებსა ყრიან იქ. ირგვლივ ჰაერი მოწამლულია, იქვე ცხოვრობს ექიმი, მაგრამ ის ყურს არ იბერტყავს.

წნორელი გლეხი.

სასამართლომ გაამართლა

„კომუნისტი"-ს წარსული წლის 14 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა მოქ. ა. ზაიდაშვილს.

მოქ. ზაიდაშვილი მიმდინარე წლის 22—23 მარტს გაასამართლა ალმ. საქ. საოლქო სასამართლომ და გაამართლა ის სავსებით.

N.

პასუხისგებაშია მიცემული

„კომუნისტი"-ს № 51 მოთავსებულ წერილის „კოსტას თავგადასავალი"-ს გამო სწარმოებს კვლევა-ძიება. საქმე გადაცემული აქვს გამოსაძიებლათ ზუგდიდის მეორე უბნის სახ. გამომძიებელს. უკანასკნელის მიერ ამ საქმეზე დაპატიმრებულია და მოთავსებულია ზუგდიდის გამსახლში 3 მილიციონერი.

სოფლის ქრონიკა

◆ **წყალსადენების გაყვანა.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს გამოძიება ზოგიერთ სოფლებში განზრახულ წყალსადენების გაყვანის დაგვიანების გამო.

◆ **სოფ. შქმერში (რაჭა)** აგებენ 4 წლიანი შრომის სკოლის შენობას.

◆ **სანერგე.** სოფ. ხვანჭკარაში რაჭის სამაზრო აღმასკომი აწყობს ვაზების სანერგეს.

◆ **გლეხკომებმა აღძრეს შუამდგომლობა** სიღნაღის სამაზრო აღმასკომის წინაშე, სოფლის ბაზრობებზე სავაჭრო მაგიდების გაქირავების შესახებ.

◆ **ტყეების გადაცემა.** რაჭის მაზრაში დღემდე გლეხებს გადაეცათ 8.314 დესეტინა ტყე.

საგლეხო სესხის რეალიზაცია

— გუშინ დონის როსტოვში დაიწყო მეორე მომგებიანი საგლეხო სესხის მეორე ტირაჟი.

— საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო ფოსტა-ტელეგრაფის თბილისის საოლქო კანტორასთან და მუშკოოპის გამგეობასთან, რომლის ძალით აღნიშნული ორგანიზაციები კისრულობენ მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელებას თბილისში და აღმოსავლეთ-საქართველოს მაზრებში.

მუშკოოპის მიერ ობლიგაციები გაყიდული იქნება თბილისის ოთხ ცენტრალურ მაღაზიაში და განაპირა უბნების პუნქტებში.

— მეორე საგლეხო სესხის პოპულიარიზაციის მიზნით, საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილებამ გამოსცა პოპულიარული ბროშიურა „მეორე საგლეხო სესხი" (რა უნდა იცოდეს და აკეთოს სოფლის კონტრ-აგენტმა მეორე სახელმწ. საგლეხო 12 პროცენტიანი მომგებიან სესხის რეალიზაციის შესახებ).

— საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილებამ გამოსცა აგრეთვე მეორე საგლეხო სესხის პლაკატები და სხვადასხვა ლოზუნგები, რომლებიც დაიგზავნა ადგილებზე.

ა-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციების გამოკვლევა.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ხე-ტყის დამამზადებელ და ტყეების დამმუშავებელ ორგანიზაციების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ როგორ სწარმოებს ტყეების ექსპლოატაცია და დამუშავება.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები ტყეების ექსპლოატაციის საქმეში, რომელთა შორის აღსანიშნავია სხვადასხვაობა სატყეო მასალის გაცემის წესებში. მიუხედავად ტყეების ექსპლოატაციის ერთნაირი ბუნებრივი პირობებისა, რესპუბლიკებში დაწესებული წესი სატყეო მასალის გაცემისა არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ხე-ტყის ღირებულების დაწესება ხდება ომის წინა ხანების ნიხრის მიხედვით; მხედველობაში მიღებულია გასაბჭოების შემდეგ შედგენილი ნიხრებიც, მაგრამ ხელმძღვანელობა ამ ნიხრებით არ შეიძლება, რადგან ისინი პერიოდულად გადასინჯული არ ყოფილა. ეს დიდი ნაკლია, რომლის გამო ხშირად ხე-ტყის ფასის დაწესება არ ხდება სწორად.

გარდა წმინდა პრაქტიკული მომენტებისა, აღნიშნული იქნა აგრეთვე საორგანიზაციო ხასიათის დეფექტები, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენს ტყეების ექსპლოატაციის საქმეზე.

ასეთი დეფექტების რიცხვს ეკუთვნის: ზოგიერთი სატყეო ტრესტების დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზაციებად დატოვება და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაკავშირება, რაც ასუსტებს მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაობას, ტრესტების და სატყეო სამმართველოების ურთიერთობის მოუგვარებლობა, სწორი ინსტრუქციების უქონლობა და სხვ.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა გამოკვლევის მასალები შემუშავებულ ღონისძიებებთან ერთად დასკვნისათვის გაუგზავნოს რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

სახალხო კომისართა საბჭო

საკონტროლო კომისიის შემადგენლობა

ა.-კ. ცაკ-ის ა. წ. თებერვლის 15-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ფინსახკომის მოადგილე ამხ. **ი. ფანცხავა**, ხოლო წევრებათ შრომის სახ.კომისარიატიდან ამხ. **გ. გოგინაშვილი**, მუშათა და და გლეხთა ინსპექციიდან ამხ. **ვ. გოგიბერიძე** და იუსტიციის სახ. კომისარიატიდან ამხ. **თ. ღლონტი**.

სესხის მიცემა სახელგამისათვის

სახკომსაბჭოს დადგენილებით შავი ქვის საგანგებო სამმართველომ უნდა მისცეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას 50.000 მან. ორწლიანი კრედიტის სახით.

აჯამეთის არხის მოწესრიგება

რადგან აჯამეთის არხის კალაპოტს ძლიერ აფუჭებს ამ არხზედ მდებარე მოქ. კაკაურიძეების კუთვნილი წისქვილი, სახკომსაბჭომ დაადგინა აღნიშნული წისქვილი გაუქმებულ იქნეს. დადგენილება წარედგინა დასამტკიცებლად საქართველოს ცაკ-ს.

სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის შესახებ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა სოხუმის საცდელი სადგურის შესახებ.

მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა უფრო ფართოდ იქნეს გათვალისწინებული აფხაზეთის სოფლის მეურნეობის საჭიროებანი და თვით საცდელ დაწესებულებათა მოქმედებაც უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეს მშრომელ გლეხობის მეურნეობას, დაევალოს აფხაზეთის სახკომსაბჭოს შეადგინოს აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი საქმის რეორგანიზაციისა და სოხუმში არსებული საცდელი სადგურის ფუნქციების გაფართოების გეგმა.

დაევალა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს მოიწვიოს ქ. თბილისში სრულიად საქართველოს მასშტაბით თათბირი სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმესთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობა

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრებად დამტკიცებულია ამხ. **ლ. მორჩილაძე** (სახკომის მოადგილე), **მ. გოგინაშვილი, ვ. კილოსანიძე** და **ამიროვი**.

ღარიბ გლეხობის მამულების აღდგენა

ს. ს. რ. კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ გადასდო საქართველოს ღარიბ გლეხობის მამულების აღსადგენად—62.000 მან.

სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოების გაუქმების წესი

წინადადება მიეცა ყველა სამაზრო აღმასკომებს სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოთა გაუქმებისა ან შემცირების საკითხი ყოველ კერძო შემთხვევაში წინასწარ შეუთანხმონ სათანადო ცენტრალურ უწყებათა ხელმძღვანელებთან.

დამატებითი რენტის გაწერა-აკრეფის ვადის გაგრძელება

საქართველოს ფინსახკომის შუამდგომლობის თანახმად, დამატებითი რენტის გაწერა-აკრეფის ვადა გაგრძელებულ იქნა ა.-წ. აპრილის 15-დე.

განათლების ფრონტზე

„საწერკალამი"

განათლების კომისარიატთან არსებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელი განყოფილება გადაკეთდა საზოგადოებათ, რომელსაც ამიერიდან ეწოდება „საწერკალამი". საზოგადოების სათავეში სდგას გამგეობა, სამი წევრისაგან შემდგარი.

პედაგოგიური ჟურნალი.

ახლო ხანში განათლების კომისარიატი გამოსცემს პედაგოგიურ ჟურნალს—„ახალ სკოლისაკენ".

ცხრაწლედები.

განათლების კომისარიატმა აცნობა ცხრაწლედების გამგეებს—ცხრაწლედებში განხრა შეუფარდონ ადგილობრივ სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებებს.

საბავშვო ლიტერატურა.

განათლების კომისარიატმა აცნობა განათლების ინსპექციებს, რომ საბავშვო ლიტერატურის შეძენა სკოლის წიგნთსაცავებისათვის სავალდებულოა. მათ უნდა მიიღონ ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად ლიტერატურით.

სოფლის სკოლების ხელმძღვანელობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

განათლების კომისარიატმა დაადგინა, რათა სოფლის სკოლებში სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული სწავლების საქმე, ადგილობრივ აღმასკომებს დაევალოს განინსპექციის და ინსტრუქტორების ადგილებზე მოწვეულნი იქნენ ისეთი პირები, რომლებსაც შეეძლებათ სავსებით უხელმძღვანელონ ადგილობრივი სკოლების მუშაობას და პედაგოგიურ საბჭოებს.

სწავლის ფულისაგან განთავისუფლება.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, რესპუბლიკის ქალაქებში არსებულ სკოლებში ღარიბი მოსწავლეები სწავლის ფულისაგან თავისუფლდებიან სიღარიბის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა მიიღონ მცირეწლოვანთა უფლებრივ დაცვის განყოფილებიდან.

არა ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ.

ამ დღეებში თბილისში შესდგა თბილისის არა ქართულ სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა კონფერენციის 1-ლი სხდომა.

კონფერენციის მიზანია—განიხილოს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შედგენილი პროგრამები ყველა სახის არ ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ. კონფერენცია მოწვეულია თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მიერ.

კონფერენციის მოწვევა გამოწვეულია იმით, რომ არა ქართულ სკოლებისათვის მთელ რესპუბლიკის ფარგლებში დღემდე არ იყო გამომუშავებული ერთი მთლიანი პროგრამა, რაც ხელს უშლიდა ქართული ენის სწავლების საქმის სასურველად დაყენებას.

კონფერენციის შემდეგი სხდომა შესდგება შაბათს, საღამოს 7 საათზე, მე-15-ე შრომის სკოლის შენობაში.

გლეხკომების მუშაობა

„შრომის ფონდები".

სოციალურ უზრ. კომისარიატმა და სრ. საქ. გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ცენტრ. კომიტეტმა ადგილებზე დაგზავნეს ახალი ცირკულიარული მიწერილობები გლეხკომების მიერ „შრომის ფონდები"-ს დაარსების შესახებ.

„შრომის ფონდები" დაარსებულნი იქნებიან ნებაყოფლობით ნიადაგზე და აქვთ შემდეგი მიზანი:

გლეხკომს აჰყავს აღრიცხვაზე ის შრომის უნარდაკარგულები, რომელთაც ოჯახში არ მოეპოვებათ მუშა-ხელი. შემდეგ საზოგადო კრება აწესებს და იკვლევს, თუ რომელ შრომის უნარდაკარგულს რამდენი დღით ესაჭიროება სამუშაო დახმარება. გლეხკომის პრეზიდიუმი კი აწარმოებს თადარიგს და ანგარიშს, თუ ვინ რა სამუშაო იარაღით და როდის უნდა იმუშაოს, ან ვის როგორი სახის და როდის ესაჭიროება ასეთი დახმარების გაწევა. ამნაირად, განსაზღვრულ თემში ჩვენ მივიღებთ სამუშაო კაც-დღეთა განსაზღვრულ რიცხვს, რაიც იქნება არსებითად „შრომის ფონდი".

აღნიშნული ღონისძიების მიზანია გლეხკომების მიერ შრომითი დახმარების საქმის მოწესრიგება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ეხლა, როდესაც გლეხკომებს ჩამოერთვათ სავაჭრო ფუნქციები და მათმა შემოსავლის წყაროებმაც იკლო, რის გამო გლეხკომებს აღარ აქვთ საშუალება ულარიბეს გლეხებს გაუწიონ ფულადი დახმარება.

ამჟამად მაზრებში უკვე მიმდინარეობს მუშაობა „შრომის ფონდები"-ს დასაარსებლად. სენაკის მაზრის 13 თემში კამპანია უკვე ჩატარდა, აგრეთვე კამპანია ჩატარებულ იქნა დუშეთის მაზრაშიაც. ამჟამად კამპანია მიმდინარეობს გორისა და სხვა მაზრებში. გლეხები ყველგან თანაგრძნობით და კმაყოფილებით ხვდებიან „შრომის ფონდები"-ს დაარსებას.

ეს ახალი საქმეა მთელ საბჭოთა კავშირში და ამ ღონისძიების გამონახვა ეკუთვნის საქ. სოც. უზრ. კომისარიატის საპენსიო განყოფილებას.

ხელფასის მოწესრიგება

სატარიფო-საკონფლიქტო ორგანოების თათბირი

ამ დღეებში ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი იწვევს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების სატარიფო-საკონფლიქტო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირს, რომლის მთავარი მიზანია მუშაობის გეგმის გამომუშავება სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ნორმის განსზღვრავად.

კონტროლი ხელფასის ფონდის ხარჯვაზე

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ინსტრუქცია ხელფასის ფონდის ხარჯვაზე ფაქტიური კონტროლის დასაწესებლად. ინსტრუქციის მიხედვით წესდება კონტროლის სხვადასხვა ფორმები ხელფასის ფონდების ხარჯვაზე, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში.

სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის ნორმის განსაზღვრა

ა.-კ. უმაღლესმა ორგანოებმა მიიღეს ა.-კ. ფ. ს. რ. და ა.-კ. რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ხელფასის ნორმის განსაზღვრის პროექტი. ამავე დროს ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალა ამ მოკლე ხანში წარადგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ხელფასის ნორმის განსაზღვრისათვის საჭირო მუშაობის ხარჯთაღრიცხვა.

ხელფასის რეფორმის ჩასატარებლად

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატთან მოწყობილია საგანგებო კომისია იმ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, რომელიც დაკავშირებულია ხელფასი რეფორმის ჩატარებასთან. კომისიას ევალება აგრეთვე სათანამდებო განაკვეთების და ერთიანი ნომენკლატურის პროექტების განხილვა. ამავე დროს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან მოეწყობა კომისია, რომელსაც დაევალება მტკიცე შტატის დაწესება სახელმწიფო დაწესებულებებში ახალი საბიუჯეტო წლისათვის.

მუშათა ცხოვრება

საჭიროა თუ არა ქორწინების რეგისტრაცია?

— დიახ, საჭიროა!

— რათა?

— იმიტომ, რომ ქალს (ე. ი. ცოლს) ჰქონდეს სრული მოქალაქეობრივი უფლება, რომ მან ადვილად შესძლოს თამამად წარსდგეს ყოველივე დაწესებულების წინაშე ან ქმართან გაყრის დროს, ანდა ქმრის სიკვდილის შემდეგ, მოითხოვოს საერთო ქონებიდან თავისი კუთვნილი ნაწილი და რომ ყოველგან და ყოველთვის მას არ დასჭირდეს თავისი მეუღლეობის მტკიცება.

ავიღოთ, მაგალითად, აგრეთვე ფაქტიური ცოლ-ქმარი, რომლებიც არ არიან გატარებული რეგისტრაციაში. ქმარი მსახურობდა რომელიმე დაწესებულებაში, იგი იყო აღნიშნული ცოლშვილიანად. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ფაქტიური ცოლი მიდის დაწესებულებაში და აგრეთვე დამზღვევ სალაროში, რომ მიიღოს დახმარება ობლების აღსაზრდელად, რადგანაც მისი ქმარი მსახურობდა რამოდენიმე წლობით, აქვს დამსახურებული საპენსიო სტაჟი და სხვ. როგორც დაწესებულება, აგრეთვე დამზღვევი სალაროც თხოულობს ჩვეულებრივ საბუთებს, რომ ის მართლაც არის მიცვალებულის მემკვიდრე (ე. ი. ცოლი). მაგრამ, მის საუბედუროთ, მისი საბუთების ქაღალდი ქვრივის გვარს უჩვენებს, სულ სხვას, ვიდრე გარდაცვალებულისა იყო, რის გამო ამ ქვრივს ეუბნებიან უარს მის თხოვნაზე და თხოულობენ კანონიერ დოკუმენტებს.

გულზე ხელდაკრეფილი ქვრივ-ობოლი ბრუნდება სახლში, უხდება მეუღლეობის სასამართლოს წესით მტკიცება და ძებნა მემკვიდრეობისა, რომ ის ნამდვილად ცხოვრობდა მეუღლეთ გარდაცვალებულთან. ამ კვლევა-ძიებას უნდება რამოდენიმე თვე და მასთან ფულის ხარჯვაც და აურაცხელი უსიამოვნება.

აქ იბადება კითხვა: არის თუ არა ამ კანონპროექტით დაცული ქალის უფლება?

— არა. ქალის ასეთი „უფლებები" ძალაუნებურად მომაგონებს იმ „თავისუფლებას", რომელიც ბატონყმობის დროს მიიღეს გლეხებმა (19 თებერვალს 1861 წ.)—„თავისუფლება მხოლოდ უმიწოდ და უიარაღოდ".

შემცდარია ის აზრი, რომ ვითომდა ქალს ამცირებდეს ქმრის გვარზე გადასვლა, რადგანაც ყველა ესენი შეადგენენ ერთს ოჯახს, ერთს კერას და, როგორც ქმარი, აგრეთვე ცოლიც დაინტერესებული არიან თავიანთი ბავშვების აღზრდით. ორივენი ერთ უღელში ეზიდებიან ყოველივე ჭირ-ვარამს თავიანთი ოჯახის აღმშენებლობისათვის.

ამისთანა მთლიან ოჯახსა და კავშირში ყოვლად დაუშვებელია ბავშვებმა უწოდონ დედას, როგორც „თეთრაძეს" და მამას კი—როგორც „წითლაძეს", რადგანაც ეს უფლებები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს შვილებს და ნათესავებსაც და მით უფრო საქართველოში ასეთი „ალხან-ჩალხანური" ფაქტიური ქორწინება შეუძლებელია.

მუშკორი ლევ. გუნია.

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში დრამატიული წრის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. კლუბში დაარსებულია მრავალი სხვა და სხვა წრეები. კლუბის გამგეობამ შეფობა აიღო ლენინის უბნის ფეხბურთელთა გუნდზე და უწევს მათ ყოველგვარ დახმარებას.

ზამთრის სეზონში კლუბის გამგეობამ დადგა რამოდენიმეჯერ სხვა და სხვა ოპერა სახელმწიფო ოპერის დასის მონაწილეობით. აგრეთვე რამოდენიმეჯერ გაიმართა წარმოდგენა „დეზერტირკა" რუსთაველის თეატრის დასის მონაწილეობით.

გამგეობის ენერგიული მუშაობით ნაძალადევის მუშები დიდათ დაინტერესებული არიან კლუბით. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ყველა წარმოდგენას ესწრებიან მრავალი მუშა და მათი ოჯახის წევრები.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ წარმოდგენაზე მოსულან იმდენი მუშები, რამდენიც ადგილი არ არის, რომლებიც უკმაყოფილო წასულან უკან.

პლეხანოვის კლუბის შენობა ვერ აკმაყოფილებს ნაძალადევში მცხოვრებ მუშებს უადგილობის გამო და მას უნდა მიექცეს ყურადღება

მართალია ხსენებულ კლუბში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მაინც დისდევს მას ერთი ნაკლი, რასაც გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება. ეს ნაკლი არის—წარმოდგენის დროს ხმაურობა, რაც სცენაზე მოთამაშეებს ხელს უშლის.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ასრულებენ ამ კლუბში მსახიობები თავიანთ როლებს, უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ უმრავლესობას შესწევთ სცენაზე თამაშის ნიჭი, აქვთ საქმისადმი დიდი უნარი, მაგრამ ისეთ როლებში, სადაც საჭიროა კილო-კავი (გურული, მეგრული, იმერული ან სხვა) ხშირად ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ უკანასკნელი წარმოდგენა

28 მარტს ხსენებულ კლუბში დადგმულ იქნა წარმოდგენა „ვინ არის დამნაშავე" მსახიობების თამაშიდან საერთო შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ თუ პერსონალურად შევეხებით ყველა მოთამაშეებს და უმეტესად მთავარ როლებს, ვერ მოვასწოროთ.

სასურველია აღნიშნული ნაკლებიც გამოსწორება.

კოტე ქვენობნელი.

პირუტყვს მფარველობა უნდა გაეწიოს

თბილისის აღმართებში საშინლად იტანჯებიან ცხენები თავისი შეუბრალებელი პატრონთაგან. დაუდებენ საშინელ მძიმე ტვირთს და გასწიე, ცხენო, ჯანი გაიგდეშიე!

უენო პირუტყვსაც მეტი რა გზა აქვს, ემორჩილება პატრონს.

ან რა ქნას, რომ არ დაემორჩილოს?

რას იზამს?

იჩივლებს თუ?

სად იჩივლოს? ვის მიმართოს? ვინ გაუწევს მას მფარველობას?

ვერის დაღმართზე, სწორედ შუაზე, ტრამვაის ლიანდაგზე, გაჩერებულა ყუთებით დატვირთული დროგი. მის უკან დგანან ხალხით სავსე რონოდები და ელიან გზის განთავისუფლებას, დროგში შებმული ცხენი საშინლად იტანჯება, მთელი თავისი ძალღონით უნდა გასწიოს, ოფლში იწურება, მაგრამ ღონე არ შესწევს, ადგილიდან ვერ იძვრის.

— ნოო! ნოო!!—უყვირის მედროგე, სცემს, რაც ძალი და ღონე აქვს, სცემს უმოწყალოდ თავში, გვერდებში. ამასთან იგი იგინება ხმამაღლა უშვერად, უსირცხვილოდ...

საჭიროა ამ მუშა-საქონელსაც გაეწიოს მფარველობა.

მილიციავ მიაქციე ყურადღება!

დაიცავით მუშა-საქონელი

— ვის სცემენ ყველაზე ბევრს?—შემეკითხა ერთი მუშა.

მე გამაკვირვა ამ უცნაურმა შეკითხვამ.

— ვის უნდა სცემონ?! ცემა-ტყეპა აკრძალულია, არავის ცემა არ შეიძლება; თუ გაბედა ვინმემ ვისიმე ხელის შეხება, ის უეჭველად დაისჯება,—მიუგე მე.

— მე შენ ადამიანებზე არ გეუბნები...

— ჰოო, ეხლა კი მივხვდი... ცხენებს, როდესაც ისინი აღმართებში ტვირთს ვერ ზიდავენ.

— სხვა კიდევ?

— სხვა არავის.

— მაშ ეს რა არის?—მიჩვენა მან იქვე მდგომი მენახშირის ვირი, რომელსაც ნამეტანი ცემისგან გავა გადაყვლეფილი ჰქონდა და სისხლი შემხმარი იყო ზედ.

აი, მუშკორი თუ ხარ, ამის შესახებაც უნდა დასწერო რამე, რომ ყურადღება მიაქციონ ამ მუშა-საქონელს რომელსაც საშინლად ტვირთავენ და შეუბრალებლადაც სცემენ. იგი მუშა-საქონელია ცოდვაა.

მილიციავ მიაქციე ყურადღება!

მუშა—ასლამ.

არაა მართალი

(ტრამვაის დირექციის განმარტება ქრონიკ. შენიშვნაზე)

„კომუნისტ"-ის № 64-ში სწერია: „კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობამ განუმარტა ტრამვაის დირექტორს, რომ მათ უფლება არა აქვთ ქარხკომს საჭირო ცნობები არ მისცეს"-ო, ასე არ იყო. მე გამოვსთქვი ჩემი აზრი; ვინაიდან ტრამვაის ბუჰხალტერიას უხდება ადგილკომების მაგიერ მუშაობა, რიაცა ბუჰხალტერიის საქმიანობას ძალზე აფერხებს, ამიტომ და ვინაიდან ტრამვაიში სამი ადგილკომი არსებობს, სადაც მუშაობს სამი პასუხის მგებელი მდივანი, სამი ტეხნიკური მდივანი, ორი მოანგარიშე-ბუჰხალტერი, ორი მბეჭდავი მანქანა და ერთი დამხმარე კასის მოანგარიშე, რომლებიც მთლად და სავსებით განთავისუფლებულნი არიან წარმოების მუშაობიდან და მუშაობენ მხოლოდ ადგილკომებში, მიზანშეწონილი იქნება ადგილკომებმა თვითონ აწარმოონ ადგილკომების საქმიანობა და კავშირის საწევრო გადასახადის აკრეფისათვის საჭირო ცნობები თვითონ შეკრიფონ მუშა-მოსამსახურეთა საანგარიშო წიგნაკებიდან. ამ აზრს დაეთანხმა კავშირის ცენტრალური გამგეობის მდივანი ამხ. მარიანიძე და სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე ამხ. ლივშიცი.

რაც შეეხება ცნობების მიუცემლობას, ამას ადგილი არ ჰქონია და ვაცხადებ, რომ ტრამვაის ბუჰხალტერიას უხდება ადგილკომების მაგიერ მუშაობა იმ დროს, როდესაც ადგილკომებში ძალზე საკმაო რიცხვი მომუშავეები არიან და თუ მიუხედავათ ამისა ცენტრალურ გამგეობას სურს, რომ ტრამვაის ბუჰხალტერიამ აწარმოოს ადგილკომების მაგიერ საწევრო გადასახადის საქმე, ეს უკანონობა იქნება და მაშინ აღარც საჭირო იქნებოდა ადგილკომებში II ჯამაგირიანი მომუშავეს ყოლა.

დირექტორი ფარნიევი.

მოსპეთ სიბინძურე.

არტილერიის ბალკაში, მაშხალის შესახვევის ბოლოში, გრიგორენკოს და მანუკოვის სახლებს შუა არის უნომრო პატარა სახლი, სადაც სცხოვრობს სამი ოჯახი. ამ სახლს ფეხისადგილი არ აქვს და ამის გამო მისი მდგმურები აბინძურებენ იქაურობას, რის გამოც საშინლად ჰყარს აქ. კარგი იქნება სახლის პატრონს, ან მის მდგმურებს დაევალებოდეს და ფეხისადგილი გაკეთდებოდეს, თორემ მყრალი სუნით ვიღრჩვებით იქ მცხოვრებნი.

რატომ სანიტარული კომისია არ ჩამოხედავს ამ გაბინძურებულ უბანს?

ბალკელი მუშა.

შინაური ხელიც ურევია.

ამ ბოლო ხანებში მთავარ სახელოსნოებს ემჩნევა ქურდ-ბაცაცების შემოსევა, რომლებიც ბოქლომიან და პლომბიან კარებს სტეხენ და ეზიდებიან სხვადასხვა ძვირფას მასალას. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად ხდება სალითონო საამქროში, საიდანაც იპარავენ ფუთობით ისეთ ძვირფას საქონელს, როგორიც არის კალა და ბაბიტი.

აი ერთი მაგალითი: 25 მარტს სალითონო საამქროში დარაჯს შეუწყვიტეს პლომბი, გასტეხეს კარი და მოჰპარეს 4 ფუთზე მეტი კალა და ბაბიტი, რომელიც კედელზე გადატანის დროს დაკავებული იქნა იქვე მთავარ სახელოსნოებთან ახლო მცხოვრებ დარაჯის მიერ.

საუბედუროდ, როგორც მან განაცხადა, ქურდ-ბაცაცები კი გაქცეულიყვნენ.

ასეთივე ქურდობას ჰქონდა ადგილი წარსულ მარტის წინა თვეებშიაც: ამავე საამქროდან მოიპარეს 2 ფუთზე მეტი საუკეთესო ხარისხის კალა და მიიმალენ.

საჭიროა იმის გაგება: შესძლებს თუ არა უცხო პირი ასეთ ბოროტმოქმედებას, თუ არ გაერია შინაური ხელიც?

ამის შესახებ ადგილკომმა უნდა მიიღოს ზომები, რადგანაც ეს მოვლენა უკვე ეპიდემიურ ხასიათს იღებს.

მუშა ხიონელი.

ადგილკომო, გაიღვიძე!

ექვსი თვე სრულდება მას აქეთ, რაც ქალაქის მთავარ მილიციის სამმართველოში მსახურობს ექსპედიტორის თანაშემწეს თანამდებობაზე ამხ. ივ. ხოხიაშვილი, რომელიც მთელ ამ ხნის განმავლობაში ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას. მაგრამ, მიუხედავად მისი ენერგიული მუშაობისა, ის დღემდე არ არის მაინც ჩარიცხული შტატში, თუმცა კავშირის წევრად ირიცხება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მის შემდეგ ბევრი მოვიდენ დროებით სამუშაოზე და მათი უმრავლესობა ჩარიცხულია შტატში....

საკითხავია: რა დააშავა ამხ. ხოხიაშვილმა, რომ დღემდე ის შტატს გარეშე მუშაობს?

ამის შესახებ მან ერთხელ მიმართა განცხადებით, სადაც ჯერ არის, მაგრამ რაღაც გამოურკვეველი მიზეზით უყურადღებოდ დარჩა მისი მიმართვა.

საერთო წესით, ვინც სამ თვეზე მეტს იმსახურებს, ის უნდა იყვეს შტატში გადაყვანილი.

ადგილკომო, გეკითხებით: რაშია საქმე, თუ მარტო ამხ. ხოხიაშვილზე არ ვრცელდება ეს საერთო წესი?

ასკანელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **არც შვებულება მისცეს და არც მისი საკომპენსაციო ჯილდო.** ა.-კ. რკინისგზის დამცველ რაზმში წ. წ. 15 ივლისიდან მსახურობს ამხ. პეტრე ვახტანგიშვილი. ადმინისტრაციასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით ამხ. ვახტანგიშვილს უნდა მიეღო მორიგი ორკვირეული შვებულება წ. წ. 30 დეკემბერს, მაგრამ მას არც შვებულება მისცეს და არც გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდო.

ადგილკომო რაშია საქმე?

— **სახლის პატრონი თაღლითობს.** შერემეტიევის ქ., სახ. № 18-ში დაიქირა ერთი ოთახი (სივრცით 48 კვ. არშინი) „რუსის"-ის მუშამ ამხ. ალექსი ბურჭულაძემ. დაქირავების დროს მინები (ცხრა ცალი) დამტვრეული ჰქონდა. სახლის პატრონი პირდებოდა მუშას მის ჩასმას, მაგრამ მან არ შეასრულა ეს დაპირება და თვითონ მუშას მოუხდა ფანჯრების შეკეთება და ხარჯების გაღება, რადგანაც სახლის ამ ხარჯების ანაზღაურებაზე უარს აცხადებს.

აღმასკომო, ჰკუა ასწავლე ამ ცუღლუტ ვინმეს!

მუშკორი კარგი.

— **ათისთავი — „დერჟიმორდა".** სოფ. ცაისში შავი ზღვის რკინისგზაზე მუშების ათისთავად არის ვინმე გაბიუროკრატებული ანდრო თოფურია, რომელიც რკინისგზის მუშებს ამუშავებს თავის საჭიროებისათვის; გზავნის დუქანში, სახლში შეშის-დასაწყობად და შესაზიდად, ცეცხლის ასანთებად და სხ. ჯამაგირს ამ მუშებს აძლევს რკინისგზის კანტორა.

განა ასეთი მოვლენა დასაშვებია?

მუშკორი ვოლი.

— **თბილისის მესამე საავადმყოფოში.** ამ საავადმყოფოში უწესრიგობა ხდება: ავადმყოფებს ეძლევათ დღეში ორი გირვანქა პური და ავადმყოფების მომვლელი ქალები, ამით ძლიერ სარგებლობენ. როდესაც ავადმყოფებს პური ურიგდებათ, მომვლელი ქალები ამ პურის მესამედს ავადმყოფებს აძლევენ და დანარჩენს კი თვითონ ითვისებენ, და ავადმყოფები მშივრები რჩებიან.

მთავარო ექიმო, ჩვენის აზრით ასეთი თაღლითობა ყოვლად დაუშვებელია.

მუშკორი გულშემატკივარი.

— **შევღობოთ, მოვაწყოთ ეს ბაღიც.** ლენინის უბნის კეთილმოწყობისათვის აღმასკომმა დახარჯა დიდძალი თანხა. მოეწყო წყალსადენი, საკანალიზაციო მილები, ქვაფენილიც, სამ-ოთხ ადგილას მუშათა ბაღებიც და სხვა და სხვა. მხოლოდ იურიევის ქუჩაზე გაშენებული ბაღი არ არის მოწყობილი, მას ღობე შემოენგრა, ქვაფენილი ძალიან დაზიანებულია. ეს ბაღი დაგვეღუპება თუ მას დროზე არ უპატრონეთ.

ეს კი, აღმასკომო, შენი საქმეა!

მუშკორი მიხრუხა.

პროფკავშირებში

საკავშირო მუშაობის მტკივნეული საკითხები

ბორჯომის პროფკავშირებში

ამა წლის 1 თებერვალს ქ. ბორჯომში შესდგა პროფბიუროს გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც ბორჯომის პროფბიუროს და კავშირების დათვალიერების შესახებ მოხსენება გააკეთა ს. პ. კ. ს. წარმომადგენელმა ამხ. თოხაძემ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, კავშირების მუშაობას ბევრი ნაკლი ჰქონია.

აღმშენებელთა კავშირში

კავშირის მუშაობა ვერ არის თავის სიმაღლეზე. გამგეობა თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს არავის არ უკეთებდა. მას არ ჰყოლია აღრიცხული სეზონზე მომუშავე მუშები, რის გამოც მან არ იცის, თუ სად იმყოფებიან ამჟამად, ზაფხულზე ლიბანის სანატორიუმში მომუშავე კავშირის წევრები.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ კავშირს თვით დაუნიშნავს ურთიერთ—დამხმარე სალაროს ბიურო, როდესაც ასეთი უნდა ირჩეოდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. სხვა შემჩნეულ დეფექტებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ძალიან მოისუსტებს ქვემდებარე კომისიების მუშაობა. კოლექტიური ხელშეკრულებები ხელის მოწერამდე მასას საერთო კრებაზე არ ეცნობოდა. წარმოება-დაწესებულებებთან საწარმოო თათბირები თითქმის არსად არ მუშაობდენ.

განათლების მუშაკთა კავშირში

კავშირში ძლიერ სუსტობს მასიური მუშაობა წევრთა შორის. ძალიან მოისუსტებს ქვე-კომისიების მუშაობა. მაგ. შემფასებელი საკონფლ. კომისიებს გამოტანილი აქვთ ისეთი დადგენილებები, რომლებიც მათ პირდაპირ დანიშნულებაში არ შედიან. სარევიზიო კომისიები, თუმცა რევიზიებს აკეთებენ, მაგრამ დეფექტების წინააღმდეგ არ ღებულობენ რადიკალურ ზომებს. კავშირს ამასთანავე ეტყობა ადმინისტრატიული ფუნქციების მითვისება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკთა კავშირში

ამ კავშირში თუმცა მუშაობა უკეთ სწარმოებს, მაგრამ დეფექტები მაინც შემჩნეულია, მაგ. არ მუშაობენ საწარმოო თათბირები, არ იმართება პროფრწმუნებულთა კრებები და საკავშირო ფონდების ხარჯვაშიც არ არის დაცული სისწორე.

მიწა-ტყის კავშირში

კავშირი ვერ აწარმოებს გეგმიან მუშაობას, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საწარმოო თათბირები არც აქ მუშაობენ. გარდა ამისა პროფრწმუნებულები იმ დროს, როცა ისინი უნდა ექვემდებარებოდენ გამგეობას, მუშაობენ ადგილკომების გავლენის ქვეშ.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირში

გამგეობის სხდომები რეგულიარულად არ იმართება. სხვა დეფექტებს შორის აღსანიშნავია, რომ კავშირის გამგეობას წევრები მიუღია საერთო კრების გარეშე პირდაპირ თავის დადგენილებით.

კომუნ. მეურნ. მუშაკთა კავშირის მუშაობა

აღნიშნულ კავშირში შემჩნეულია მნიშვნელოვანი დეფექტები: პროფრწმუნებულები დანიშნულია კავშირის მიერ იმ დროს, როცა ასეთები ირჩევიან საერთო კრებებზე. ადგილკომები არ დაარსებულა ყველგან, სადაც საჭირო იყო. საერთოდ სალაროს ბიურო დანიშნულია გამგეობის მიერ. სალაროსათვის რევიზია არავის გაუკეთებია, რის შედეგიც არის ის მოვლენა, რომ გაცემული დახმარება (სესხი) სალაროში ძლიერ დაგვიანებით შემოდის.

პროფბიუროს მუშაობაშიც აღმოჩენილ დეფექტთა შორის უმთავრესად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ბიუროს უმუშავნია უგეგმოდ, მას არც ხარჯთ-აღრიცხვა ჰქონია გამომუშავებული; ბიუროს ცოცხალი დამოკიდებულება არ ჰქონია კავშირებთან, რითაც ალბად უნდა აიხსნას ზემოაღნიშნული დეფექტები. ბიუროს პლენუმებზე არ კეთდება სამხეო ორგანოების ანგარიშები. ბიუროს საკმაო ყურადღება არ მიუქცევია საწარმოო თათბირების მუშაობისათვის, რომ ამით შრომის ნაყოფიერების და წარმოების აწევის საქმე წინ წასულიყო. გარდა ამისა, რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, ბიუროს არ დაუთვალიერებია კავშირები და არ გამოუკვლევია მათი მუშაობის ნაყოფიერება.

პროფკორი.

პროფმუშაობის ქრონიკა

ფეიქართა კავშირში

— **შრომის დაცვა.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ საჭიროდ სცნო მოწვეულ იქნეს ფართო თათბირი შრომის დაცვის კომისიებისა, შრომის ზედამხედველის თანდასწრებით, მათი ვალდებულების და შრომის კანონების წესების დეტალურად გაცნობისათვის.

— **მუშაობის აღრიცხვა.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა შემოღებულ იქნეს წარმოებებში მუშაობის აღრიცხვა, მათი თავის დროზე შესრულებისა და თვისობრივობის თვალსაზრისით.

— **კვალიფიკაციის აწევა.** მუშა-ხელის კვალიფიკაციის ასაწევად ჩატარებულ იქნება ფართო კამპანიები საწარმოო კომისიების სხდომებზე და თათბირებზე.

სურსათ - გემოვნების კავშირში

— **უმუშევართა აღრიცხვა.** თბილისის ფაბრიკებში სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირში ირიცხება 445 უმუშევარი კავშირის წევრი.

— **სასულე ორკესტრი.** სურსათ-გემოვნების პროფკავშირთა დადგენილებით შეკეთებული იქნება კავშირის სასულე ორკესტრი. ორკესტრში ჩაეწერებიან მუშები.

ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში

— **რადიო - დანადგარების შესახებ.** რადიო-ბიურომ მოისმინა მოხსენება პროვინციებში რადიო-დანადგარების დადგმის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ხელში გადაცემის შესახებ. რადიო-ბიურომ საჭიროდ სცნო ეს აზრი გაატაროს ცხოვრებაში.

ქიმიკოსთა კავშირში

— **წიგნთსაცავი.** ქიმიკოსთა კავშირთან მოეწყო წიგნთსაცავი, საიდანაც მუშებს სახლში წასაკითხავად მიეცემათ წიგნები.

— **სატარიფო თათბირი.** ქიმიკოსთა კავშირმა გადასწყვიტა ამ ახლო ხანში მოიწვიოს საქალაქო - სატარიფო თათბირი.

საბჭოთა მუშაკთა კავშირში

— **მომღერალთა გუნდი.** კავშირმა მომღერალთა გუნდის საჭიროებისათვის ყოველთვიურად გადასდო 150 მ.

— **ფიზკულტურის წრისათვის.** კავშირმა გადასდო 110 მან.

— **უმუშევართა ფონდი.** ც. გამგეობამ წინადადება მისცა ქ. გორის განყოფილებას. რათა მან დაარსოს უმუშევართა ფონდი, რომ მომავალში უმუშევრები არ იგზავნებოდეს ც. გამგეობაში.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ც. გ-ში

— **ბიბლიოთეკისათვის.** ც. გამგეობამ გაიღო კულტფონდიდან კავშირის ცენტრალური სამკითხველოს პროფლიტერატურის შესაძენად საკმაო თანხა.

— **პიონერთა შორის მუშაობისათვის.** პიონერთა შორის მუშაობის გასაუმჯობესებლად გამგეობამ დაადგინა გამოჰყოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

— **სატარიფო თათბირის მოწვევა.** ყველა იმ საკითხების დეტალურად გასაცნობად, რომლებიც ეხებიან სატარიფო-ეკონომიურ მუშაობას, მოწვეული იქნება უბნის მასშტაბით სატარიფო თათბირი.

მედსანშრომის კავშირში

— **მედიკო-სანიტარულ კავშირის წევრთა ჯანმრთელობის გამოსაკვლევათ.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. სთხოვა ქალაქის ჯანმრთელობის დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილებას მოახდინოს მედსანშრომის მუშაკთა ჯანმრთელობის შემოწმება.

— **კინო-სეანსები მუშათა კლუბებში.** ფოთის საქალაქო პროფბიურომ საჭიროდ სცნო, ხშირად გამართოს კინო-სეანსები მუშათა კლუბებში.

— **ხელფასის დავალიანების წინააღმდეგ.** ლეჩხუმის სამაზრო პროფბიურომ აცნობა ადგილობრივ წარმოება - დაწესებულებებს, რომ მათ მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაცემი ჯამაგირი არ მოახმარონ სხვა საქმეს. სამპროფბიუროს ადგილობრივ დავალიანებაზე ცნობები ყოველთვიურად გადაეგზავნება საქართველოს პროფსაბჭოს.

— **ლეჩხუმის სამპროფბიუროს სხდომები.** ლეჩხუმის სამპროფბიუროს წევრთა სხდომები შესდგება ყოველ ხუთშაბათობით.

— **სამპროფბიუროს ახალი თავმჯდომარე.** ლეჩხუმის სამპროფბიუროს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. დომენტი გოგორიშვილი.

თბილისის პროლეტ. სტ. ბიუროში

— **სტუდენტთა ჯანმრთელობის გამოსაკვლევათ.** საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სტუდენტთა ბიურო საჭიროდ სცნობს შესწავლილ იქნეს სტუდენტების, მუშფაკელებისა და სპეციალურ ტეხნიკუმებში მოსწავლეთა ჯანმრთელობა. პირველ რიგში სტიპენდიანტები იქნებიან შემოწმებული.

— **სტუდენტთა კომიტეტის რეორგანიზაცია.** პარტ-სკოლასთან არსებული სტუდკომი გადაკეთდა განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კომიტეტათ.

— **უმუშევარ სტუდენტთა გადარიცხვა.** სტუდენტთა ბიუროს გადაწყვეტილებით სხვა კავშირის წევრი უმუშევარი სტუდენტები გადაირიცხებიან განათლების მუშაკთა კავშირის წევრებად.

— **ურთიერთ დამხმარე სალაროების დეცენტრალიზაცია.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. დაადგინა მოაწყოს ურთიერთი დამხმარე სალაროები იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც 50 კაცი სალაროს წევრი ირიცხება.

მეზღვაურთა კავშირში

◆ **კინო აპარატის შესაძენათ ფოთის პორტის მუშათა კომიტეტისთვის.** მეზღვაურთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ფოთის პორტის მუშებისათვის შეიძინოს კინო აპარატი.

წამლეულობის მიღების გაადვილება

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა თბილისის ფარმაცევტების თათბირი, რომელზედაც დაისვა საკითხი, რათა ამიერიდან დაზღვეულ ავადმყოფებს უფასო წამლეულობა მიეცეს ყველა საბჭოთა აფთიაქებიდან. ეს საკითხი წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ აფთიაქები დატვირთულნი არიან შეკვეთებით, რის გამო უფასო წამლეულობის გამცემი აფთიაქები ვერ უთავდებიან სამუშაოებს და წამლეულობის დამზადება ხშირად 10—20 საათი გრძელდება, ეს იმ დროს, როცა სხვა საბჭოთა აფთიაქებს, რომლებიც მოქალაქეებს აწვდიან მხოლოდ ფასიან წამლეულობას, ხშირად არა აქვთ საკმაო სამუშაო.

კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ამ არა ნორმალური მდგომარეობის მოსპობა და დაადგინა დაევალოს სახმედვაჭრობას, რომ ამიერიდან დაზღვეულ ავადმყოფებს ყველა აფთიაქებიდან მიეცეს წამლეულობა. ხსენებული დადგენილება უკვე განხორციელებული იქნა სათანადო ორგანოების მიერ და ამ ჟამად წამლეულობა ეძლევათ ყველა აფთიაქებიდან.

ქრონიკა

მისალოცი დეპეშა.

ცეკამ და სახალხო კომისართა საბჭომ მისალოცი დეპეშები მიიღეს რაჭის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობისაგან.

დანიშვნა.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნულია ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმის გარეშე საქმეთა განყოფილების უფროსი ამხ. გიკი.

თბილისის აღმასკომში.

◆ **ქალაქის კეთილმოწყობა.** თბ. აღმასკომი ახლო მომავალში დაამთავრებს ვერის ხიდიდან სამხედრო გზამდე ახლად გაყვანილ გზის მოკირწყვლას.

◆ **სკოლების შეკეთება.** აღმასკომი შეუდგა ქალაქის სკოლების შენობების შეკეთებას.

სოც. დაზღვევის სამმართველოში.

◆ **დაზღვეულები.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, ამ ჟამად აფხაზეთში ითვლება 5.560 დაზღვეული, აჭარისტანში—3.012 და სამხრეთ-ოსეთში—790 დაზღვეული.

◆ **დამზღვევი ორგანიზაციები.** მიმდინარე წლის დასაწყისში რესპუბლიკის დამზღვევ სალაროებს აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი 60 ორგანიზაცია.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოში.

ახალი მაუდის ქარხანა. უმაღლესი სამეურნეო საბჭო დიდუბეში ხსნის მაუდის საქსოვ ქარხანას.

◆ **თამბაქოს კულტურის გაუმჯობესების** მიზნით უმ. სამეურნეო საბჭო აწყობს თამბაქოს საცდელ სანიმუშო პლანტაციას ლაგოდეხის რაიონში—სივრცით 10 დესეტინას.

◆ **ცემენტის ქარხანა.** ცემენტის ქარხნის ასაგებად საბჭომ დაამტკიცა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა 10.000 მან. რაოდენობით.

სხვადასხვა.

◆ **პურის ფქვილის ფასები.** შინავაჭრობის სახკომის დადგენილების თანახმად, დამოკიდებულება 1-ლი, მე-2-ე და მე-3-ე ხარისხის ფქვილის ფასებს შორის მარტის 20-დან შეცვლილია შემდეგნაირად: სახელმწიფო ორგანოებზე და კოოპერაციებზე ფქვილი უნდა გაიყიდოს: 1-ლი ხარისხის—3 მან. 50 კაპ. ფუთი, მე-2-ე—2 მან. 60 კაპ. და მე-3-ე—1 მან. 80 კაპ.

შემთხვევები.

◆ **დაჭრა.** 31 მარტს რკინისგზის სადგურის მახლობლად უცნობ ბოროტმოქმედის მიერ დანით ხუთ ადგილას დაჭრილ იქნა მოქ. ალი-ასან-ოღლი.

◆ **ქურდობა.** 31 მარტს გაქურდეს „ზაკტოპის“ ფარდული № 9.

— ამავე დღეს გაქურდეს მოქ. ელისაბედ აბრამოვის ბინა.

სხვადასხვა ამბები

— ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს მეორე პლენუმი გაიმართება მაისის დამლევს თბილისში.

— ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ცალკე ბროშიურად გამოსცეს ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მე-3 ყრილობის რეზოლიუციები.

— ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველო გზავნის საზღვარგარედ 3.000 ტონა ძირტკბილას.

— ამჟამად საქართველოს „რემედასი“ აერთიანებს 78 ათას წევრს, აქედან გლეხები—26.000, პროფკავშირთა წევრები და მოსამსახურეები—52.000.

საქართველოში არსებობს „რემედასის“ 40 კუთხე. აქედან ყველაზე უკეთესი კუთხეა თბილისში ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოში.

ერთი წლის განმავლობაში „რემედასის“ ცეკაში შემოვიდა დაახლოვებით 50.000 მან. რევოლიუციონერებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

— გლეხ-მოანგარიშეების გადასამზადებელი კურსები წელს თბილისში დაამთავრა 42 გლეხმა, ქუთაისში—45 გლეხმა.

კურსები მოაწყვეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და „წარმოკავშირმა“.

— ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პლენუმმა დაადგინა სთხოვოს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, დაუთმოს ამიერ-კავკასიას 7 ადგილი სრულიად საკავშირო კულტთათბირზე; 2 ადგილი მიეცემა საქართველოს, 2—აზერბეიჯანს, 1—ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს, 1—სომხეთს, 1—ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირის საბჭოს.

— საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სტატისტიკური განყოფილების ცნობით, რესპუბლიკის თამბაქოს მრეწველობაში პაპიროსის დამზადება აღწევს ომამდე არსებულის 76 პროცენტს.

— ახლო მომავალში თბილისში მოელიან ტრაპიზონის (ოსმალეთი) ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებებში. შესაძლებელია გუნდი გაემგზავროს ბაქოშიაც.

— მარტის განმავლობაში ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობამ მარსელში გაგზავნა 100 ტონა აფხაზეთის სამშიტი.

— აფხაზეთის სამშიტზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვა-გარეთ.

— ა.-კ. სავაჭრო სააქციო ამხანაგობამ მიიღო მიწვევის ბარათი სალონიკის (საბერძნეთშია) ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ბაზრობა გაიხსნება 15 მაისს.

— წარსულ წელთან შედარებით ამიერ-კავკასიის საოლქო კავშირის საფოსტო შემოსავალი გაიზარდა 60 პროცენტით, ტელეგრაფის შემოსავალი 100 პროც.

ხელოვნება

სანიტთეატრის მოგზაურობა დასავ. საქართველოში

ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით, ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტთეატრი ამ დღეებში გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში ხალხში სანიტგანათლების გავრცელების მიზნით უფასო წარმოდგენების გასაკეთებლად. სანიტგანათლების თეატრი წარმოდგენებს გამართავს გორში, ხაშურში, ჭიათურაში, საჩხერეში, ზესტაფონში, შორაპანში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ახალ-სენაკში, ოზურგეთში და ფოთში. თეატრის რეპერტუარში შედის: „ვისი ბრალია?“ (სიფილისის შესახებ), „მეძაობის მსხვერპლი“—პროსტიტუციის წინააღმდეგ, „მზისაკენ“—ჭლექის შესახებ, „დაღუპული ოჯახი“—ლოთობის წინააღმდეგ და რევოლიუციონური პიესა „გლეხი იგლიანე გობეჩია“. წარმოდგენების წინ წაკითხული იქნება ლექცია-დარიგებანი და ხალხს დაურიგდება უფასოთ შესაფერი პოპულიარული წიგნები. პირველი წარმოდგენა გაიმართება ქუთაისში. დასში მონაწილეობენ: დამსახურებული მსახიობები: ვ. გამყრელიძე, ვ. ბალანჩივაძე, ზ. რონელი, არეთა ლოლუა, აჩკარა, ს. ერუშაძე, ი. ბიტძიაშვილი, გ. ძნელაძე, ვ. ტყეშელაშვილი და სხვანი.

ხელოვნების ქრონიკა.

◆ **სანდრო ინაშვილი** დღეს იმღერებს ოპერა „სევილიელ დალაქ“-ში.

◆ **გრ. პიროგოვის** გამოსათხოვარი გასტროლი გაიმართება კვირას, 4 აპრილს.

◆ **„ვირის ჩრდილი“.** აკადემიურ დრამაში მორიგ პრემიერად წავა კომედია „ვირის ჩრდილი“.

◆ **„დეზერტირკა“.** შაბათს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

◆ **„ჯავშნოსანი პოტიომკინი“.** ახლო ხანში თბილისში ნაჩვენები იქნება რეჟისორ ეიზენშტეინის ახალი სურათი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“.

◆ **წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში** დაიწყო უკრაინულ დასის წარმოდგენები.

დღეს კინოებში.

◆ **აპოლო, სოლეი, არფასტო**—**„ნათელა“.**

◆ **მინიონი** „მისი ქმარი“.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი.

„კომუნისტი“—„მიწათმოქმედების კომისარიატი“.

დღეს, დღის 4 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების—გაზეთ „კომუნისტი“-ს სახელობის და „მიწათმოქმედების კომისარიატი“-ს შეჯიბრება.

გუნდების შემადგენლობა ასეთია:

„კომუნისტი“: დომბრავა, კობზინაძე, ვირტაუსოვი, ილისეევი, ჩალაბოვი, გოლიაშვილი, როსტიაშვილი, გრინევი, ნავაგრამოვი, ბიბილაშვილი და ვარლამოვი.

„მიწათმოქმედების კომისარიატი“: ბაკურაძე, ხორბალაძე, ადეიშვილი აკაკი, ადეიშვილი ვახტანგ, მელაძე, ჩიქოვანი, ქუთალაძე, კვარაცხელია, გელენიძე, მაჭარაშვილი და ცქიტიშვილი.

„დურუჯი“ II—„არსრაიონი“ II.

შაბათს, 3 აპრილს, ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების—„დურუჯი“ II და „არსრაიონი“ II შეჯიბრება.

დასაწყისი დღის 4 საათზე.

გუნდების დანაწილება ჯგუფებად.

ფეხბურთელთა იმ გუნდების დანაწილებაში, რომლებიც პირველობაზე თამაშობენ, მოხდა ზოგიერთი ცვლილებები. გუნდები დაყოფილია სამ ჯგუფად: ა, ბ და ვ. ჯგუფი ა თავის მხრივ გაყოფილია პირველ და მეორე კატეგორიად. ჯგუფი ა და ბ თამაშობენ ერთეულების სისტემით, ჯგუფი ვ კი—ოლიმპიური სისტემით.

„ზველი დრო აღარ არის“

თბილისში რა არის შესანიშნავი?

— აბანოები!

ათასი ღირებულება რომ წარმოშვას თბილისმა, მაინც იმის აღმოსავლეთური სახისათვის ყველაზე მომხიბლავ ხალად დარჩება ისევ აბანოები.

ეს არის მისი სიმდიდრე, სილამაზე და თავისებურობა.

ეს ჩვენი ნიადაგის ცხოველი მკერდიდან გადმომსკდარი ნაკადები ულეველ სიამოვნებას წარმოადგენენ თბილისის ხანგრძლივ ცხოვრებაში.

ჩვენს ხალხს არ უყვარდა თავისი ყოფა-ცხოვრების და დროის გატარების აღწერა, თორემ ბევრი ლამაზად მოვარაყებული სურათი დარჩებოდა აბანოების ცხოვრებიდანაც.

მაგრამ ვის არ ახსოვს ათი-თორმეტი წლის წინედაც როგორი ადათები სუფევდა აბანოებში?

წლიდან წლობამდის იმათი კარი არასდროს არ დაიკეტებოდა.

ის, ალბად, ღია იყო აბანოების პირველივე დღიდან, ე. ი. თვით თბილისის დაარსებიდან.

როგორც არასდროს არ სწყდებოდა დარში მოქაფქაფე ნაკადი, ისე არასდროს არ სწყდებოდა იქ მუშტრის ფეხიც.

თბილისის ყარაჩოღელი ხალხისათვის ხომ აბანოში წასვლა—ნამდვილი დროის გატარება იყო.

დღე იმას სათაკილოდ მიაჩნდა იქ წასვლა. საამისოდ ღამე იყო დალოცვილი.

შევიდოდა. კარგად დააზელინებდა თავს წლით-წლობამდე შეჩვეულ მექისეს. გემოზე დაიღვრიქნებოდა ულეველად მოჩხრიალე სამო ნაკად-ქვეშ. თუ ლამენატები იყო, ერთს ლაზათიანადაც დაიძინებდა. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, როცა აჭრელებულ სინით აბანოშივე შემოუტანდენ ბრტყელ-ბრტყელ ლავაშებში თბილად შეხვეულ ლულა-ქიაბაბს. იმის გაშლისთანავე ხახვ-შერეული საგანგებო სურნელება სიამოვნებით ზნედავდა გამახვილებულ ყნოსვას. ამას ზედ მოსდევდა გაწურწური ხელადა (ბოთლს ჯერ ისევ მტრულად უცქეროდენ). მოიკეცავდენ აუზის პირად ფილაქანის ტახტზე და ყუათიანად შეექცეოდენ.

ეს იყო ყველაზე დარდიმანდული, სასიამოვნო და თავისებური დროს გატარება, რომელიც რაღაც ლაზათს აძლევდა ყარაჩოღელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

მაშინ ზნეობაც სხვანაირი იყო აბანოებში. მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა და ჯიბგირობა, შეიძლება, მაშინ უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე ეხლა, მაინც აბანო შეულახავი რამ იყო ამ მხრივ.

მაშინ არც ტანისამოსის მიბარება იყო, არც საგანგებო ყუთში ჩაკეტვა. შეახვევდენ აბნოს გრძელ ტილოში და მისდებდენ იქავე საერთო ტახტზე. არავის არ მოუვიდოდა ფიქრად ან მოპარვა, ან შეცვლა. ამისი თავდები იყო შეულახავი ტრადიცია უხსოვარ დროიდან.

როგორც ბესტში ჩამჯდარ სპარსელს ვეღარ შეეხება ვერც კანონი, და ვერც ხელისუფლება, ისე აბანოში შეუძლებელი იყო ქურდობა და ჯიბგირობა.

აბანო—ეს ერთგვარი ბესტი იყო, ან წმინდათა-წმინდა, სადაც კაცს აღარ სჭირდებოდა საგანგებო სიფრთხილე თავის ქონების ხელუხლებლობისათვის.

მაშინ თუ კი კაცი მოინდომებდა, რამდენ ხანსაც მოისურვებოდა, იმდენხანს იოლად წავიდოდა უბინაოთ.

ორი შაური, აბანო და იმისი ჯანი!

მთელ ღამეს იბანავებდა, გამოიძინებდა, გამოიუშმდებოდა სითბოში კარგად და დილა ადრიან ისევ გამოვიდოდა ქვეყნის გულზე.

* * *

ამას წინად აბანოში ვარ.

წამოსასვლელად ვემზადები.

ერთბაშად ფართედ გაიღო კარი და შეზარხოშებული გუნებით შემოვიდა ორი შუახნის გადაცილებული კაცი.

ერთმა მხიარულად მიიხედ-მოიხედა, დარდიმანდულად გადააგდო ქუდი ტახტზე და მიუბრუნდა მეაბანოე თათარს:

— თუ ძმა ხარ, ერთი ხელადა წითელი ღვინო მოატანიე! ან კვარტი იყვეს, სულ ერთია! თავის რამე-რუმეთი!

თათარმა ჩაიცინა.

— რას იცინი? მოატანიე, რაღა, ერთი ხელადა!

თათარს ისევ ეცინება.

— შენ აქამდის სულ გეზინა, ზმობილო?

— როგორ თუ მეძინა?

— აბა, შენ ზველი დროება ხომ არა გგონია!

ნაწყენმა ძველმა ყარაჩოღელმა გაჯავრებით ხელი ჩაიქნია და თავის ამხანაგს მიუბრუნდა:

— მაშ, ისევ ცარიელ-ტარიელმა უნდა ვიბანაოთ!

—მეტი რა ჩარაა!

თათარი ისევ გულმშვიდათ ეუბნება:

— აქამდის სად იყა ზმობილო?

— როგორ თუ სად ვიყა?

— ათი საათი ხდება, ეხლა გვიან არის!

— მა აღარც ბანაობა შეიძლება?

— ათ საათის მერე აღარ იქნება, კასო! ზველი დრო აღარ არის, ვერ გაიგე?

ყარაჩოღელი გაჯავრდა. დაავლო ქუდს ხელი და მიუბრუნდა თავის დოსტს:

— წამო ბიჭო! წამო, ისევ ჩვენ ბახოას ვეწვიოთ!

გულნატკენი ყარაჩოღელი მიდის და თან მიბურტყუნებს:

— ზველი დრო აღარ არის!

— ზველი დრო აღარ არის!

მოკეთე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მორიგი შვებულების შესახებ

კითხვა

ვმსახურობ ა.-კ. რკინისგზის დამცველ რაზმში 1925 წლ. 15 ივლისიდან და 5 ნახ. თვე შემისრულდა 30 დეკემბერს იმავე წლისა.

მერგება თუ არა 1925 წლის ანგარიშში შვებულება, რამდენი ხნით ან და ფული შვებულების ნაცვლად; რადგან ასეთით არ მისარგებლია.

ადმინისტრაციამ როგორც ფულის, ისე შვებულების მიცემაზე უარით გამისტუმრა.

რკინისგზელთა კავშირის წევრი (წიგნაკის № 34.978) **პეტრე ვახტანგიშვილი.**

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ის თანახმად, დამქირავებელი ვალდებულია ხუთნახევარ თვის განუწყვეტელ მუშაობის შემდეგ მისცეს მუშა-მოსამსახურეს საკალენდრო წლის განმავლობაში ერთხელ მორიგი შვებულება ხანგრძლივობით არა ნაკლებ ორი კვირისა. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციას არ ჰქონდეს უფლება გადასდვას მორიგი ორკვირეული შვებულება რამოდენიმე ხნით ანდა ერთი მორიგი შვებულება შეუერთოს მეორე წლისას.

პირიქით, ამის უფლება მას აქვს შრომ. კანონთა კოდექსის მუხ. 120-ის თანახმად.

გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდო კი გაიცემა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დასტურით.

ჩემ მიერ გაწეული ხარჯები ამინაზღაურდება თუ არა

კითხვა

მე ვმუშაობ რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად, ჯამაგირს ვღებულობ მე-6-სე თანრიგით, ვარ რკინისგზის კავშირის წევრი 1922 წლიდან. ვარჩენ 5 სულს, ვცხოვრობ გოგოლის ქ. სახლი № 42-ში—ქუჩის პირა დარაბაში № 9.073. საცხოვრებელი ბინის სივრცე 48 კვ. არშინია. ვცხოვრობ ამ ბინაში 1925 წლის მარტის 9-დან. თვეში ვიხდიდი 4 მანეთს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გადამახდევინეს 6 მანეთიც, ამ დარაბას ესაჭიროებოდა შეკეთება და მე თითონ გავაკეთებინე ის ჩემი ბინისათვის, ორი კარების კლიტეში მივეცი 5 მან., იატაკის შესაკეთებლათ 5 მან., სახურავის შესაკეთებლად 5 მან., კედლებისათვის 3 მან. (კედლები დახეთქილი იყო). ხუთი მინა 4 მან. 50 კ.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა და ის ფული, რომელიც მე დამიხარჯავს ბინის შეკეთებაზე, ამინაზღაურდება თუ არა.

რკ. გზ. მუშა **შალვა ხუბულური.**

პასუხი

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის წ. წ. ივლისის თვის დადგენილება № 88-ის თანახმად სახლის ყოველგვარი კაპიტალური რემონტი, როგორიც არის დაზიანებული ჭერ-იატაკის, კედლების და სახურავების შეკეთება, ევალება სახლის მფლობელობას, თუ კი მდგმურები იძულებული ხდებიან თითონ გაუკეთონ სახლს კაპიტალური რემონტი (რადგან სახლის მფლობელი მას არ აკეთებს) მდგმურებს აქვთ სრული უფლება მოითხოვონ სახლის მფლობელობისაგან კაპიტალურ რემონტზე დახარჯული ფულის ანაზღაურება.

ბინის ქირას თქვენ გადიხდით თქვენი ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

ვარ თუ არა ღირსი ვიქნე დაზღვეული

კითხვა

მე ვმსახურობდი დ. სუჯუნის საექიმო პუნქტში ბებია-ქალად 1922 წლის 23 იანვრიდან წარსული წლის ოქტომბრამდე (მოწ. № 30.591); ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 9.443); ვიყავი დაზღვეული (ამავე წლიდან დაზღ. წიგ. № 873). წარსული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ოჯახური მდგომარეობით იძულებით, გადაველი ქ. ფოთში სამსახურში (ამავე დარგში) დადგომის მიზნით, მაგრამ ამ დღიდან დავრჩი უადგილოთ და უმუშევრად. გადმოსვლის დღესვე გამოვცხადდი ჩემ კავშირში ქ. ფოთში და ვიქენი აყვანილი აღრიცხვაზე ოქტომბრის თვიდან. გამოცხადების მეორე დღიდან გავხდი ავად მალიარიით და სისხლ ნაკლულევანებით; ვიყავი ორსული ორი თვით, ავადმყოფობის გამო გამოწვეული იქნა ჩემი ხელოვნური მუცლის მოწყვეტა. საექიმო დახმარებას ვღებულობდი ექიმისაგან სახლში მწოლიარედ იანვრის ბოლო რიცხვებამდე, რაზედაც მაქვს ექიმის მიერ მოცემული სათანადო მოწმობა. მაქვს სიღარიბის მოწმობა, ადგილობრივ მილიციის მიერ მოცემული (№ 1054).

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, მე, როგორც ასეთ მდგომარეობაში მყოფი ვარ თუ არა ღირსი დაზღვევისა და მეკუთვნის თუ არა თვიური დახმარება, როგორც უმუშევარს საერთო წესით?

ბებია-ქალი **ქსენია წერეთელი**

პასუხი

როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს, თქვენ უკვე დაზღვეული ყოფილხართ 1922 წლიდან და კავშირის წევრიც; ქალაქ ფოთში ახალი სამსახურის მიღების მიზნით გადასახლება სრულიად არ გართმევთ თქვენ უფლებას იყოთ დაზღვეული; არც უმუშევრობა უშლის მას ხელს. თქვენ უნდა წარუდგინოთ მხოლოდ სათანადო საბუთები ფოთის დამზღვევ სალაროს და უნდა იქნეთ მის აღრიცხვაზე აყვანილი.

დახმარება კი მოგეცემათ როგორც კავშირის წევრს, უმუშევარს და დაზღვეულს საერთო წესით.

მაქვს თუ არა უფლება მივიღო მიწის ნახევარი ნორმა

კითხვა

ვმსახურობ არსენალის ცეხში „მეთუნუქედ“. ვღებულობ ჯამაგირს მე-6-სე ხარისხით 36 მან. 25 კაპ. ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან დედა, შრომის უნარს მოკლებული და სამი მოსწავლენი. გორის მაზრა სოფ. თეზში მაქვს მამაპაპეული მამული (ნახევარი ნორმა) სახლ-კარით და ვენახ სახნავ-სათესი მიწით, რაც მაქვს სანახევროდ გაცემული.

გთხოვთ მომცეთ განმარტება აქვს თუ არა სოფელს უფლება ჩამომართვას აღნიშნული მამული.

(საწევრო წიგნაკი №871).

მუშა ქალი ალექსანდრა შერმადინი.

პასუხი

მიწის კოდ. მუხ. 67-ის თანახმად, თქვენ, როგორც ფიზიკური შრომის მუშას, გაქვთ უფლება მოითხოვოთ მიწის ნახევარი ნორმის (პირადი სარგებლობისათვის) დატოვება.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ სამანის ჩიხი № 5-ში. მიჭირავს ერთი ოთახი, რომელიც შეიცავს 20 კვად. არშინს, ვმსახურობ საქართველოს ფინსახკომში, მაქვს თვიურად 30 მან.; ვარ პროფკავშირის წევრი (№ 12.466). ჩემთან ცხოვრობს ჩემი ბიძაშვილი და არის უმუშევარი, მასთან მოწაფე და იმყოფება ჩემს ხარჯზე.

გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რამდენი გადავიხადო ბინის ქირა თვეში.

ა. გურგენიძე.

პასუხი

თვითეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ორ კაპეიკს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

დებულება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შესახებ.

ა. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დაარსების მიზანი

1. ბოროტმოქმედი პიროვნების მეცნიერულად შესწავლისა და ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზნისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად, მოაწყობს განყოფილებას 15-20 საწოლით, იმ სულით-ავადმყოფთათვის, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ.

2. სულით-ავადმყოფ პატიმართა მეცნიერულად გამოკვლევისა და აგრეთვე სასწავლო მიზნით, ინსტიტუტის დირექტორს შეუძლიან სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილებაში მიიწვიოს სხვა სპეციალობის ექიმები და მეცნიერი ანტროპოლოგები.

ბ. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შტატი და ამ შტატის შენახვა

3. განყოფილების შტატს შეადგენს: ერთი ექიმი, 4 მოწყალების და, 9 სანიტარი და ერთი დამლაგებელი.

4. უმაღლეს და საშუალო პერსონალის შტატს ინახავს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი თავისი საბიუჯეტო სახსრით.

5. დაბალ პერსონალს (სანიტარებს და დამლაგებლებს) ინახავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო თავისი საბიუჯეტო სახსრით.

6. განყოფილების მოსამსახურეებისათვის სპეც-ტანთსაცმელის მომარაგება მოხდება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯით.

გ. განყოფილების მოსამსახურეთა დანიშვნა, დათხოვნა და პასუხისმგებლობა

7. ექიმების და მოწყალების დების დანიშვნა მოხდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

8. დაბალი პერსონალის (სანიტარებისა და დამლაგებლის) დანიშვნა და გადაყენება მოხდება ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ადმინისტრაციის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს თანხმებით.

შენიშვნა. დაბალი პერსონალის დანიშვნა და დათხოვნა მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს და ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის წერილობითი ბრძანებით.

9. სანიტარი თავის მუშაობაში პასუხისმგებელია განყოფილების ექიმისა და ინსტიტუტის დირექტორის წინაშე და მუშაობას ეწევა იმ ინსტრუქციის თანახმად, რაც დადგენილია ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სანიტარებისათვის.

10. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შინაგანი განრიგების წესების დარღვევისათვის განყოფილების მოსამსახურე პასუხს აგებს დისციპლინარული წესით, საქართველოს ს. ს. რ. საპატიმრო ადგილების მომუშავეთა სამსახურის სადისციპლინო წესდების თანახმად.

დ. სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილების მომარაგება

11. სულით-ავადმყოფ პატიმართა განყოფილების მომარაგება ყოველგვარი კმაყოფით (სურსათ-სანოვაგით, ტანთსაცმელით), აგრეთვე საწოლისა და საცვალი თეთრეულით, მოხდება საქართველოს ს. ს. რ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სალსარით.

12. სულით-ავადმყოფ პატიმართა განყოფილების სადგომის მოწყობა საჭირო ინვენტარით, გარდა საწოლებისა, და აგრეთვე ამ სადგომის რემონტი მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს პენიტენციალური ფონდის საშუალებით.

ე. გამოძიებაში მყოფი და მსჯავრდადებული პატიმრების გამოსაცდელად მიღებისა, გადაყვანისა და გამორიცხვის წესი

13. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებაში სამკურნალოდ და გამოსაცდელად შეიძლება მოთავსებულ იქნეს სულით-ავადმყოფი პატიმარი, როგორც გამოძიებაში მყოფი, ისე მსჯავრდადებული.

14. აღნიშნული პატიმრის მიღება მოხდება მუდმივი კომისიის მიერ—საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლისა, ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ექიმისა და საპატიმრო ადგილის ექიმის შედგენილობით,—როგორც სასამართლოს ორგანოებისა, ისე საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს წინადადებით.

15. ავადმყოფ პატიმართან ერთად;—გამოძიებაში იქნება იგი თუ მსჯავრდადებული,—სასამართლო გაუგზავნის ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებას იმ სასამართლო-საგამომძიებლო მასალასაც, რაც ამ პატიმრის შესახებ მოიპოვება.

16. სულით-ავადმყოფი პატიმრის განკურნების შემდეგ, აგრეთვე, იმის შემდეგ, როცა გამოცდა დამთავრდება, პატიმარი დაბრუნებულ უნდა იქნეს საერთო საპატიმრო ადგილას, რასაც ინსტიტუტის ადმინისტრაცია აცნობებს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს—სათანადო განკარგულების მოსახდენად.

17. საერთო საპატიმრო ადგილას პატიმრის გაგზავნასთან ერთად მთლად სასამართლო-საგამომძიებლო მასალა დაბრუნებულ უნდა იქნეს კუთვნილებისამებრ, ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის დასკვნითურთ.

18. უკეთუ განიკურნება ისეთი მსჯავრდადებული პატიმარი, რომლის შესახებაც სასამართლოს მიერ შეჩერებულია განაჩენი მის განკურნებამდე, ამას განყოფილება აცნობებს სათანადო სასამართლო ორგანოს განკარგულებისათვის.

19. ის სულით-ავადმყოფი პატიმარი, რომლის საქმეც მოსპობილ იქნება გადიყვანება ინსტიტუტში, სადაც იგი როგორც სულით-ავადმყოფი ირიცხება საერთო-სამოქალაქო საფუძველზე, ან, დირექტორის განკარგულებით, გამოირიცხება ინსტიტუტიდან ნათესავების მზრუნველობაზე გადასაცემად.

20. ინსტიტუტის ადმინისტრაცია ვალდებულია წარუდგინოს ხოლმე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს დადგენილი ფორმით თვითეული თვის 1-სა და 15-თვის ცნობა სულით ავადმყოფ პატიმართა რიცხვის შესახებ.

ვ. განყოფილების დათვალიერება თანამდებობის პირთა მიერ, ავადმყოფ-პატიმრების ნახვა და ამანათების გადაცემა

21. სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილების დათვალიერების უფლება აქვთ საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს, აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. შრომა-გასწორების კოდექსის 286. 287 და 288 მუხ. აღნიშნულ პირებს; ამ დათვალიერების დროს დარღვეულ არ უნდა იქნეს საერთო ფსიქიატრიული რეჟიმის წესები.

22. სულით-ავადმყოფ პატიმრის ნახვა მოხდება განსაზღვრულ დღეებისა და საათებში, რაც საერთოა ინსტიტუტის ყველა ავადმყოფისათვის.

23. უკეთუ განსაკუთრებული გარემოების გამო პატიმრის ნახვა დაუყოვნებელია, ეს შეიძლება მოხდეს სხვა დროსაც, ხოლო თვითეულ შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის განსაკუთრებული ნებართვით.

24. გამოძიებაში მყოფი სულით-ავადმყოფი პატიმრის ნახვა მოხდება იმ საგამომძიებლო ორგანოს დასტურით, რომელზედაც ეს პატიმარი ირიცხება; მსჯავრდადებული სულით-ავადმყოფი პატიმრის ნახვა მოხდება განყოფილების გამგე-ექიმის ნებართვით.

25. ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამოძიებაში მყოფი პატიმრის ნახვა შეიძლება ინსტიტუტის დირექტორის ნებართვითაც, ხოლო შემდეგ ეს უნდა ეცნობოს სათანადო სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს.

26. სულით-ავადმყოფი პატიმრის ნახვა შეუძლიან მხოლოდ მის უახლოეს ნათესავს ან უახლოეს პირს, რომელიც საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოში ცნობილია.

27. სულით-ავადმყოფი პატიმრის (გამოძიებაშია იგი თუ მსჯავრდადებული) სანახავად მისულმა პირმა, იმათ გარდა, ვისაც ინსტიტუტის ადმინისტრაცია იცნობს, უნდა წარადგინოს მისი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

28. საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ნახვისათვის დაევალება განყოფილების გამგეს ან ინსტიტუტის მორიგე ექიმს.

29. თეთრეულისა და სხვა, მისაღებად ნებადართული, საგნების გადაცემა მოხდება კვირაში სამჯერ, ხოლო საჭმელი პროდუქტების გადაცემა ყოველდღე.

30. გადასაცემი საგნების დათვალიერებას განყოფილების ექიმი დააკისრებს მოწყალების დას, რომელიც სათანადო სიფრთხილით მიიღებს გადასაცემად ნებადართულ საგნებს, იგი პასუხს აგებს დაუდევრობისათვის.

ზ. განყოფილების შინაგანი განრიგება

31. განყოფილების შინაგან განრიგებას დაადგენს განყოფილების გამგე-ექიმი,—ინსტიტუტის დირექტივების თანახმად.

32. პატიმრების პალატებზე განაწილებას და მათი ერთი პალატიდან მეორეში გადაყვანას მოახდენს განყოფილების გამგე ექიმი.

33. სულით-ავადმყოფ პატიმრისას სასეირნოდ გაყვანა მოხდება განყოფილების გამგე-ექიმის განკარგულებით-სპეციალურად დანიშნულ დროს, [illegible] დავალებით სანიტარებს, რომელნიც პასუხს აგებენ მათი გაქცევისათვის.

34. გამოსაცდელად მოთავსებული სულით-ავადმყოფი პატიმარი, როგორც გამოძიებაში მყოფი, ისე მსჯავრდადებული, მკურნალობისა და გამოკვლევის სფეროში ემორჩილება ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში დამყარებულ საერთო რეჟიმს.

35. გაქცევის თავიდან ასაცილებლად თვალყურისდევნება სულით-ავადმყოფ პატიმრებისათვის როგორც სადგომში, ისე გარედ, დაევალება განყოფილების სანიტარებს.

36. ინსტიტუტის დირექტორს უფლება აქვს განყოფილების პატიმრებისათვის მოაწყოს სახელოსნოები, ლექციები, წარმოდგენები და სხვა საქმე. ხოლო დაცვის საკითხებში უნდა შეეთანხმოს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს.

37. ლექციებზე და სამეცნიერო კრებებზე, შეიძლება მოხდეს სულით-ავადმყოფი პატიმრების დემონსტრაცია, როგორც თვით ინსტიტუტში, ისე მის გარეშე; ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში გაქცევის თავიდან ასაცილებლად მიღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ღონისძიებანი და აგრეთვე საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს თანხმობა.

38. საერთო ზედამხედველობის გაწევა ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილებისათვის ეკუთვნის საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

ღრმად დამწუხრებული დეიდა ვალენტინა ნესტორის ასული და ბიძა დავით ტარასის ძე დევდარიანი თავისი შვილით ეთერიკოთი, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათ უძვირფასეს დისშვილის პაწაწინა მშვენიერ

რენიკოს

უდროოთ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება შაბათს 3 აპრილს საათის 4-ზე რეუტოვის ქ. № 7. 1—1—2034

ღრმად დამწუხრებულნი ოლღა მუჯირისა, შვილებით: პროკოფი, დათიკო, ვალიკო, ვალენტინა და მარგალიტა; ბებიები ლისა და ალათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ პირველ აპრილს, დღის ხუთ საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი შვილისშვილი და მეორეთა დისშვილი

რენიკო (ჰენრიეტა) კილურაძე

გამოსვენება დანიშნულია შაბათს, სამ აპრილს, დღის ოთხ საათზე. მერკვილაძის (ყოფილი რეუტოვის) ქუჩა № 7.

ღრმად დამწუხრებულნი შალვა პავლესძე კილურაძე, შვილებით: გივით და ელეონორა; პავლე და ნიჟფადორა კილურაძენი შვილებით: პლატონიდა, ქსენია, ოლღა, ანა, ბენედიქტე და მარგალიტა; ექიმი დავით ლუკაძე და [illegible] კილურაძენი—აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ პირველ აპრილს დღის ხუთ საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **უძვირფასესი** პირველის შვილი, მეორეთა შვილის შვილი და მესამეთა ძმის შვილი

რენიკო (ჰენრიეტა) კილურაძე

გამოსვენება დანიშნულია შაბათს, სამ აპრილს, დღის ოთხ საათზე. მერკვილაძის (ყოფილი რეუტოვის) ქუჩა № 7

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მატრონე ამბაკოს ასული, შვილი სერაფიონი, შვილიშვილი თამრიკო, რძლები ანიჩქა და შუში, ძმის შვილები მინორად, სერაფიმა ნინიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ და მეგობრებს, რომ 30 მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ანტონ სიმონის ძე ნინიძე

დაკრძალვა მოხდება 4 აპრილს სოფელ ასკანაში გვაპრათის სასაფლაოზე (გურიაში). 1—1 ღ.

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ალექსანდრე, არჩილი და ლადო, რძალი ეფროსინე, ძმის წულები: მარგარიტა და მერიკო მჭედლიძეები, დეიდა ლიდა და ბიძა ნიკო თათარაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 30 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, პოლიტექნიკუმის სტუდენტი

სოსო (იოსებ) დიმიტრის ძე მჭედლიძე

გამოსვენება დღეს, პარასკევს, 2 აპრილს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღის 4 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2030 1—1

საქართველოს კინო მრეწველობის
აქც. საზოგადოების ახალი
სურათი
„ნათელა“
(ცუცუ მიქავა)
რეჟისორი—ა. ი. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი—ს. ა. ზაბოზლაევი
აპოლო არტისტიკო სოლეი
კასა ღიაა საღ. 5 ს—დან. 1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 ს.
0—2 ნ. 864
გაძლიერებული სიმფონიანი ორკესტრი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური დამთვლელი მანქანა
დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კონტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის იოლად მისაწდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გაიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. 3 მანეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.
გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.
შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ეფრშტეინს.
ნ. 896 8—7

რუსთაველის თეატრი
შაბათს, 3 აპრილს,
უკანასკნელად ამ სეზონში
ლ ა მ ა რ ა
კვირას, 4 აპრილს,
საოპერო სტუდიის წარმოდგენა
I. ჯამბაზები
სამშაბათს, 6 აპრილს,
უკანასკნელად ამ სეზონში
დეზერტირკა
ნ.989

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 2 აპრილს,
სანდრო ინაშვილის
გასტროლი
სევილიელი დალაქი
კვირას, 4 აპრილს,
უკანასკნელი გასტროლი
პიროგოვის
ნ. 991 1—1

სახელმწიფო ოპერა
სამშაბათს 6 აპრილს
და
ხუთშაბათს 8 აპრილს
ახალი ორიგინალური ქართული ოპერა
„თამარ ცბიერი“
მუსიკა მ. ა. ბალანჩივაძის
დადგმა ა. რ. წუწუნავასი
დირიჟორობს ს. ა. სტოლერმანი
ახალი კოსტიუმები და დეკორაციები მხატვარ
დ. შევარდნაძის ესკიზებით.
3—2 ნ. 990

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი
აცხადებს, რომ ა | წ. 6 აპრილს დღის 12 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის იულიი იგნატოვს და იმყოფება მე-10 მილიციის უბ. ფეიერვერკის ქ. № 11 და შესდგება საკალბასო ქარხნის მოწყობილობიდან, როგორიც არის: ხუთ ძალიანი მატორი, ხორცის დასანაყი, ელექტრონის მანქანა (ვოლჩოკ) და კუტორი ორივე „ალ. ვერკერის“, ოთხი ფუთი ღორის ქონი და სხვ. შეფასებულია 5069 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობა დაიწყება აგრეთვე შემოძლეული თანხიდან ვინაიდან დანიშნულია მეორეთ. ქონება აწერილია სურსათ გემოვნების კავშირის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 15 მარტს 1926 წ. თარიღით № 921 და სხვ. გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო ნაჩვენებ მისამართზე სადაც შეუძლიანთ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დროს. უპირატესობა მიეცემა იმ მყიდველს რომელიც ისურვებს მთელი ქარხნის ერთათ ყიდვას.
1—1 ქ. 202

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—17

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17.

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს, ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3.
25—8

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—17

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—11

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ლისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59. 12—9

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით პნეიმოტორაკსის და ტუბერკულიოზის, რენტგენის და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—1

დაიკარგა სიღარიბის მოწმობა № 40 ხოტევის თემ-გლეხკომის მიერ გაცემული გალაქტიონ ნესტორის ძე ქევანიშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 2033

დაიკარგა რკინის გზის ტრანსპორტის კავშირის წიგნაკი № 414090 | 7590 და სხვა მოწმობები მატია მესროფიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2026 1—1

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გიორგი არქიპოს-ძე ქიქინაძის სახელზე, ჩ. გ. 2024 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 6560 ვალერიანე მიხეილის-ძე ნუცუბიძის სახელზე, ჩ. გ. 2027 1—1

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ალექსანდრა ალექსის ასული ბაღდავაძის სახელზე, ჩ. გ. 2028 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 451 ამაიაკ დაბაღიანის სახელზე, ჩ. გ. 2031 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ფორმა № 4 ლევან ჭეჩიას სახელზე, ჩ. გ. 2032 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4, № 360 თომა ბალათურიას სახელზე, ჩ. გ. 2032 1—1

დაიკარგა ფოთის კომ. ბანკისგან მიღებული აქცია № 4 თედორე და სტეფანე ლუკას-ძე ჩხარტიშვილების სახელზე, ჩ. გ. 2029 1—1

დაიკარგა ფოთის კომუნალური ბანკის დროებითი მოწმობები № 18 № 116 სეროპ სეროპოვის სახელზე, ჩ. გ. 2029 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სიღარიბის მოწმობა, პროფკავშირის წიგნაკი № 23, მოწმობა სამზარეულო კურსების დამთავრების შესახებ, ეპოს საწევრო წიგნაკი და მეტრიკული ამონაწერი ვარლამ ქორიძის სახელზე, ჩ. გ. 2032 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი ფორმა № 4 № 1249 დავით სიმონისძე გეგიას სახელზე, ჩ. გ. 2033 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68

ტირაჟი—25.543